გაზეთი გამოდის 1999 წლიდან
ქართველობის გადასარჩენად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილორი

E-mail: roland.jalagania@mail.ru
E-mail: r.jalagania@mail.ru

№408 (467) 20 ივნისი – 4 ივლისი 2017 წ. სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო ფასი 50 თეთრი

სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა — აკაკი შანიძე



ლუარა სორდია: მერაბ კოსტავას პოეზია

გვ.2

ჰამლეტ ჭიპაშვილი: ნატოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებული დეკლარაციის შესახებ

გვ.3

ჯაბა ხუბუა: ბატონო თამაზ, მე თქვენი კვახჭირი მიყვარს! თქვენ ჩემი კოკი არ გყვარებიათ!

გვ.6

ფაუსტ ნადარაია: მეგრული პოეზიის ანთოლოგიის შესახებ

გვ.5



ოვაშვილმა მნიშვნელოვანი როლი მანდო — ვინ არის ირანელი მსახიობი, რომელმაც ზვიად გამსახურდიას როლი შეასრულა

გვ.6

ანზორ დანელია: ღია წერილი ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას!

გვ.7

იზა თამაზაშვილი: პრემიერ გ. კვირიკაშვილის ქოც-ნება და ქართველი ხალხის ოცნება შეუთავსებელია

გვ,8

ძირძველი ოდების სახით, აბაშაში ალმოვაჩინე — იშვიათი მუზეუმი ღია ცის ქვეშ

გვ.10

გვ.4

ლავრენტი ბერია — საბჭოთა კავშირის ცილდაწამებული გმირი

გვ.10

ნუგზარ ფოფხაძე: ფრიდონ თოდუა — კაცი!

მერაბ კოსტავას პოეზია

(ეროვნული, რელიგიურ-ფილოსოფიური და სახისმეტყველების ასპექტები)

ნაშრომში შესწავლილია მერაბ კოსტავას ესთეტიკური თვალსაწიერი, მსოფლმხედველობის მთავარი ორიენტირები – საღვთო სიბრძნე, საღვთო სიყვარული, ანტიციპაცია, მხატვრული სიტყვისა და მეცნიერების მისიის გააზრება მაღალი გადასახედიდან.

პოეტის შემოქმედების მთავარ მახასიათებლად წარმოჩნდება ქრისტიანული რწმენისა და სახისმეტყველების საკითხები, ბიბლიურ-რელიგიური პარადიგმები, გრაალის იდეალი.

ფილოსოფიურ ლირიკაში ყურადღებას იქცევს ჰადესის, სოფლისა და ზესთასოფლის კავშირის, სულის მარადიული სამშობლოს ძიების, ზნეობის პრობლემები.

წიგნში ნაჩვენებია "მსოფლიო კაცისა" და "ერისკაცის" მიმართების, ლოკალურისა და გლობალურის, ეროვნულ-კოსმიურის გააზრება ქართველი ლირიკოსის შემოქმედებაში.

სათანადო წყაროების, ტიპოლოგიური პარალელების გათვალისწინებით გამოტანილია დასკვნა, რომ მერაბ კოსტავას პოეტური და პუბლიცისტური ნააზრევი არის ჩვენი კლასიკური მწერლობის ორგანული ნაწილი, "სახიერი ერის" მაღალმხატვრული აპოლოგია, შორსმხედველი "გონის თვალით" მომავლის უცდომელი ჭვრეტა.

ნაშრომი დახმარებას გაუწევს XX საუკუნის ქართული პოეზიის პრობლემებით დაინტერესებულ სტუდენტ-ახალგაზრდობას, ასევე განკუთვნილია ფართო მკითხველისთვის.

რედაქტორი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მარიამ მირესაშვილი,

რეცენზენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნინო ვახანია,

ფილოლოგიის დოქტორი ლელა მირცხულავა

მერაბ კოსტავა საქართველოს თანამდევ, მარადიულ სულთა სამყაროშია დავანებული.

ის იყო ზნეობრივი გმირი, ბუნებით რაინდი, **"ვაჟკაცობის დიდი მოძღვარი"**, ერის სინდისი, **"გონის თვალი"**, ეროვნული მოძრაობის დიდი მედროშე, სულიწმინდით გაბრძნობილი სიტყვის მეუფე.

ალბათ არ არსებობს ეპითეტი, მისი ზნეობრივი და გონებრივი სრულყოფილების ამომწურავად წარმოჩენა რომ ხელეწიფებოდეს.

მერაბ კოსტავა უსათუოდ იყო შოთა რუსთაველის **"ვეფხისტყაოსნის"** იდეალური მეგობრის და ბრძენი პერსონაჟის – ავთანდილის რეინკარნაცია, მეოცე საუკუნის წითელ გრიგალებთან შეუპოვარი მორკინალი, **"დაუცხრომელი სპარაზენი სულიერ ომის", "ჟამთ ასპარეზზე"** გაჭენებული **"ცეცხლოვანი ჰუნეს"** უებრო **მხედარი... მისი ზეკაცური ნატერფალები"** წარუშლელია ჩვენი სამშობლოს მიწაზე თუ ცაში.

ერის ტიტანური ძალების შემკრებმა, სადათას ძილით დაბანგულ ხალხში, ზვიად გამსახურდიასთან ერთად, დაარისხა გამოღვიძების ზარი, პერიოდულ პრესაში და თვითგამოცემის ჟურნალებში (**"ოქროს საწმისი", "საქართველოს მოამბე"**) ეროვნული იდეალებით დამუხტული წერილებით შესძრა თვისტომი, მაგრამ ვერ დაუსხლტა **"ქორმეძებრებიან ცენზურას"** და ათი წლის პატიმრობა იწვნია საბჭოთა გულაგში, თუმცა ერთხელაც არ ჩაუმუხლავს, არ გაუტეხია არაადამიანურ წამებას, არ დაუკარგავს რწმენა.

სამშობლოსათვის დევნილი, ერის სიყვარულისთვის შერისხული და რეპრესირებული პიროვნება იყო მერაბ კოსტავა. მისი გამძლეობის, მრავალთავიან ჰიდრასთან შერკინების მაგალითები ლეგენდად გადაეცემა თაობებს.

"საღვთო ზნეობის" ქართველს, მთაწმინდის მომღერალს, ქრისტესავით ჯვარცმულს, მშობელმა ხალხმა დაუჩოქა და ერის საფიცარი შვილების უპირველეს სავანეში – მთაწმინდის პანთეონში მიუჩინა სამარადჟამო ადგილი, საიდანაც გადმოგვყურებს მისი წუთისოფლისგან აუმღვრეველი, ყოვლისმხედველი თვალი, რათა შეგვახსენოს "**ერის სამერმისო მისია", "ჩვენი მოდგმის ბალავარი ურღვევი მიწყივ", "საძვალენი მამა-პაპათა",** წარუვალი საუნჯის ძიება, რწმენის ერთგულება.

"მხრებზე ფრთაასხმული ცეცხლით", ანგელოსის ფრთებით დაფრინავს მისი სული კოსმოსში ქართული სახით. მაკროკოსმიურ არსებად ქცეული სამყაროს უპირველესი ადამიანის ხატი, ადამიანობის გადაუფასებელ ფორმულას გვთავაზობს: **"საქმეა იქცე მსოფლიო კაცად და არ უმუხთლო ერსა და თვისტომს, ცის მაღალ ყელზე ვარსკვლავთა აცმას ჰმატო ზურმუხტი და ამეთვისტო"** (ტანჯვათა ტიტანი).

პოეტის იდეალი იყო მაკროკოსმიური კაცი, მაკროკოსმიური პოეზია.

მერაბ კოსტავა ბელზებელ-ლუციფერთა ზეობის ჟამს მოევლინა სამშობლოს და სულის მთელი ძალისხმევა მიმართა დამჭკნარ კვერთხზე ყლორტის გახარებისა და დაბზარული ცის კაბადონის გამთელებისთვის, მას არასოდეს არევია **"გეზი ღმერთისკენ"** და **"ბნელში ნათლით გზების გამკვლევი"** თანამოძმეთ მოუწოდებდა: **"ურწმუნოებას ავუგოთ წესი"** (ირაკლის).

პოეტი მუდმივად ეწაფებოდა **"რელიგიის ზედაშეს"**, ღმერთის რჩეულ ბიბლიურ მოსესავით წინ მიძღოდა ერს აღთქმული თავისუფლებისკენ.

რელიგიური, ქრისტიანული იყო მერაბ კოსტავას აზროვნება, პოეზია, რადგან კარგად იცოდა, რომ ჭეშმარიტი კულტურა ყოველთვის რელიგიურია, ხოლო ურელიგიო მსოფლხედვა – ფსევდოკულტურა. რელიგიით ებრძოდა მსოფლიო სევდას: **"მხსნელად მივირქვათ ჩვენ მაცხოვარი, დაგვიშოშმინებს მსოფლიო სევდას"** (იყავ უმწიკვლო, ვითა ცხოვარი).

"დაუშრეტელი ოქროპირობის" მომადლებას შესთხოვდა უფალს **"შეუცდომელი ბრძენი და მისანი"** და, მართლაც, მასზე უხვად იყო **"მადლი ცისა, მოუწყველი, დაულეველი, მადლი ციური, იდუმალი და მისტიური"...**

მაღალი აზრის მსახურთ რომ მიმართავდა, თითქოს, ამავე დროს, თავის თავზეც ეთქვას პოეტს: **"დასანახავად უცდომელი გასხედს თვალებში, შენშია უკვე ზეცის მადლი, რაც გადმოსჩქეფდა, აწ დასაპყრობად მოგელიან სხვა მწვერვალები, მომავალს განდობ შესამოსად შეუმოსველთა"** (ბიბლიური რემინისცენციები).

მერაბ კოსტავას პოეზია ამაღლებული ესთეტიკური ფენომენია, ამაღლებულის ძიება და პოვნა ერთეულთა ხვედრია, **"ამაღლებული მაღალი აზრის ნაყოფია, ხოლო მისი შემქმნელი თავადაც მაღალია და მაღლად მხედი"... "მხოლოდ ამაღლებული ამაღლებს ჩვენს სულს და ღვთაებრივი გონების ჭვრეტად მიაქცევს მას, ყოველივე, დანარჩენი კი კაცთა საარსებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ემსახურება"** (ფსევდო-ლონგინე, **"ამაღლებულისათვის"**).

პოეტი მთელ სამყაროს, მსოფლიოს სატკივრებს, კოსმოსს იტევდა სულში, წარსულის, აწმყოს, მერმისის პრობლემებს ერთდროულად აცნობიერებდა, მოსალოდნელის განჭვრეტას აღწევდა, ბიბლიური წინასწარმეტყველებივით, ენიგმებით, ალეგორიებით, **"სფინქსის ქარაგმების სიბრძნით"** გვაოცებდა.

კარგად არჩევდა მიწიერ, ხორციელ გონებას და საღვთო სიბრძნეს, **"წიაღთა სიბრძნის აიაზმად მასხურებელი"**.

ეძებდა არა სადღეისო, წარმავალ, მატერიალური დოვლათის მოხვეჭისათვის განკუთვნილ ეშმაკეულ სიბრძნეს, არამედ მარადიულ ზეცის საუნჯეს, მისთვის სიბრძნის წყარო იყო ღმერთი და მრავალი ორიგინალური, ახლებურად გააზრებული სახე-სიმბოლოებით მიგვანიშნებდა უზენაესზე.

იზიარებდა მესიანისტურ იდეას, მუხლმოყრილი ლოცულობდა ჩვენი ზეციური დედის წინაშე, ევედრებოდა სამშობლოს ხსნას და ამრავალფეროვნებდა საღვთისმშობლო სახისმეტყველებას.

მერაბ კოსტავა იყო ნათელმხილველი, ნათელმსმენი, ერთდროულად აინტერესებდა მიწა და ზეცა, ხილული და უხილავი, ეს სოფელი და ზესთასოფელი, წარმავალი და მარადიული.

ხედავდა სულს, **"მეუფებას ოქროს ტახტიანს",** ევლინებოდა **"ხილვების გამმა"**. ხედავდა **"მიჯნურთა სამოთხის ხეს"**, მისი სული ისწრაფოდა ედემისკენ: **"ახლოს ვართ, სულ ახლოს ედემთან, როს გული მკერდში არ ეტევა, და სისავსისაგან სრულქმნილი იფრქვევა მეწამულ ღველფებად. ახლოს ვართ, სულ ახლოს ედემთან"** (ივერიის მნათობის ქეთევან წამებულისადმი).

ესმოდა ზეციური ხმები, ანგელოზთა ნანა, მფარელი სულის მუდარა, სამყაროს ენა, დრო-ჟამის ენა, საგანთა ენა, კოსმოსის სუნთქვა, წმინდა მუსიკა, სფეროთა ქნარი.

ხილვას გულთა სმენა და განსჯა ემეზობლებოდა: **"ხილვას დაგანძავს თვალთ მონაგარი და გულთა სმენას წვდომა განსჯისა, ყოველი არსი სად მონა არი უზეშთაესის მფეთქავ მაჯისა"** (სფინქსი).

კოსმიურში გადიოდა მისი **"აღმართხედვა"**. ვარსკვლავებს მიღმა. ხილულის მიღმა, იდუმალი სიტყვის ცა ეხსნებოდა: **"გადაიხსნება ზეცის თავანი, იდუმალ სიტყვის მაღალმშვენებით, გადაევლები ოდენ სამანებს მოგვის არტახში ჩაკრული ვნებით"** (სფინქსი).

"სიბრძნის დედად" სულიწმინდას სახავდა, პოეზიას უზენაეს მადლად აცხადებდა, შთაგონების მაუწყებელ **"ცით მონაბერ უხილავ ქარებს", "ცისფერ ქარებს"** ელოდებოდა.

"სიშმაგის სამანებს" მიღმა მოარული სული **"უმწვერვალეს ექსტაზს"** აღწევდა, **"ქვესკნელეთის ვრცელი ველის მონაპირეებს"** შემდეგ **"ყვავილწნულების სამსჭვალებით"** ზეცაზე იყო გაკრული, ლექსი იყო **"საღვთო ზვარაკი, "საღვთო ქორწილის მაყარი"**. სამყაროს ბედი აწუხებდა, მისი უპირველესი სიყვარული იყო სამება, მერე სამშობლო, მთელი სამყარო და ზეცა.

"დამიწებული ხალხის", რწმენასგაშორებულთა ხვედრი აფიქრებდა, გადაგვარების პროცესებში გადაშენების საფრთხეს ხედავდა და ხსნის ყველაზე სწორ გზას პოულობდა: **"ეგრე დაცემული გიხსნას რელიგიამ, სიბრძნემ, სიყვარულმა და მშვენიერებამ"**. პოეტის, მეცნიერის მაგიდას **"წმინდათა წმინდა საკურთხეველთან აიგივებდა. მერაბ კოსტავა იყო "ბნელში ნათლით გეზის გამკვლევი"**.

სულიწმინდისგან ხელდასხმულს, უზენაესი სიბრძნის მოხელეთება ძალედვა, **"აზრების რთველი"** ედგა, საღვთო ჭეშმარიტების თვალუწვდენელ ჰორიზონტებს ჭვრეტდა, **"ცნობიერების განუწყვეტელ გრადაციას, მსოფლიო კულტურების თანმიმდევრობას, ზეციურ გეომეტრიას, ცის და მიწის ისტორიას ითავისებდა, "უმაღლესი საწყისებიდან მერმისის თავთავს"** იმკიდა, **"ბედის უქცეველი გრაგნილის"** უტყუარი კითხვა დაებედა, ცდილობდა, ზეცის ზნეობა მიწაზე გადმოენერგა. მრავალი რამ გვამცნო უტყუარი ჭვრეტით და მინდიასებური სმენით მომადლებულმა, ბიბლიურ წინასწარმეტყველთა დარად, დროს უსწრებდა და მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს განჭვრეტდა, თემიდა იყო მისი იდეალი: **"...თემიდას სვეტი, მეკვლე დამდეგის, პიროვნულ ეგოს სულმთლად დამთმობი"** (შიმშილობა).

თემიდას სასწორის მომარჯვება საშუალებას აძლევდა მერმისში გადაეხედა, გიორგი გურჯიევივით, აზრები აეწონა, **"სულეთის სიღრმე"** განეცადა.

აღაშფოთებდა დემონთა მძლავრობა და ლოცვის, სინანულის, მსხვერპლის გზით ცდილობდა ცოდვის მორევში ჩათრეულთა მოქცევას, რომელთაც მოუწოდებდა: **"სიქველის ნათელით იხსენ სამშვინველი, თვითონ სამშვინველი გარდაჰქმენ სულადა"** (ეტიუდი).

სულის საჭრეთლით, რწმენის აბჯრით, სიტყვის მახვილით აღჭურვილმა, **"ერისთვის გახელილი თვალით"**, **"მამულის ტრფობით ნაშიმშილებმა",** ეროვნული თავისუფლებისთვის შეწირულმა ახალი იმპულსებით დამუხტა მშობელი ხალხი, სიტყვით და საქმით ემსახურა ქართული სულის ზრდას, მისი სანუკვარი იდეალების ხორცშესხმას.

ქრისტეს მებაღემ, მევენახემ, სამკალის ერთგულმა მუშაკმა ძნებად შეკრული კონები ზოდიაქოებში აიტანა, მარადიული საუნჯისკენ მიმართა მზერა.

სამშობლოს თავზე ზეცის ხელს ხედავდა მისი ერისთვის გახელილი თვალები, **"შემოქმედის განზრახვას"** სცნობდა, ქვეყნის **"ახალ მეტამორფოზას"** იგულვებდა **"ქართლის ბედის თანამდგომად",** ამირანად სახელდებული სამშობლოს ბორკილების ახსნას წინასწარმეტყველებდა.

იყო პოეტი ფილოსოფოსი, მორალისტი, **"ზეცის ზნეობის"** მიწაზე გადმომნერგველი, საღვთო ეთიკის, **"ზეციური ნესტრით"** ვნებული, "უზეშთაესის მფეთქავ მაჯას" მიყურადებული.

"ზოდიაქალურ ველებზე" გაჭრილი, ხედავდა "წუთისოფლის დასასრულის" მიღმა მოსალოდნელს, სულთა განსჯას, განწმენდას, გაღვიძებას, რეინკარნაციას, ახალ მიზნებს, **"ორი სამყაროს შემტკიცებაზე ზრუნავდა"**.

"ახალი ხედვა, ახალი დონეა" მიღწეული პოეტის შემოქმედებაში.

გრაალის ორდენის რაინდების, დავით აღმაშენებლის, მამა დავითის, გალაკტიონის დარად, მზად იყო ბარძიმში ჩაღვრილი თავისი სისხლით დაერწყულებინა იბერიის შვილები.

მარტვილი, ჯვარცმული, დევნილი და შერისხული პოეტი სულის შიმშილს ზეციური მანანათი იოკებდა, ცით მონადენი წყაროთი იკლავდა უზენაეს წყურვილს.

"სულიერი ომის სპარაზენი" იყო, ჩვენი ქვეყნის წაუქცეველი ბასტიონი, ერის სახიერებისთვის იღვაწა, სიცოცხლით გაიღო მსხვერპლი, თავისი ხალხის **"ჭეშმარიტ ერად"** ქცევას, მისი სამერმისო მისიის შეცნობა-მსახურება დაისახა უპირველეს მიზნად,

მერაბ კოსტავა იყო **"დაულეველი ტრფობის, სამების მძლე სიყვარულის, საღვთო ტრფობის, სრულქმნილი სიყვარულის"** ადეპტი.

პოეტის სულის პლანეტა სფინქსის ქარაგმების სიბრძნით გაბრწყინდა, **"სამყაროს ენის"**, ანგელოზთა ნანას გამგონე მისანს ცის კარი გაეხსნა და სანთლებით გაჩახჩახებული ზენა სამყარო იხილა: **"ანაზდად პირი იბრუნა ბნელმა, ზეცამ სივრცეებს მოხსნა სარქველი და იდუმალი მლოცველის ხელმა ერთად აანთო ყველა სანთელი"**.

ჭვრეტდა **"პატიოსნების თვალს"** (ღვთისმშობელს), ზეციურ მანანას (ქრისტეს), ესმოდა ანგელოზური უჩინარი ბაგის ნანა, ანუ საღვთო მუსიკა, რაც მხოლოდ ჭეშმარიტ მორწმუნეთა ხვედრია: **"და როგორც თვალი პატიოსნების, ცით მონაბერი უკვდავი მანა, სივრცეებს ავსებს ანგელოზებრი უჩინარ ბაგით ნათქვამი ნანა"** (თეთრი ქალწული).

მიწიერთა სიამაყე **"იმ სოფლის"** გადასახედიდან გაზომა, სადაც სულ სხვა კრიტერიუმით განიკითხებიან ადამიანები, სადაც მიწიერი პლანეტის მილიარდერები მათხოვრად წარმოჩინდებიან.

პოეტმა ზეკაცური ნებელობით დაიოკა სული-ოკეანე და მასში ოქროს ზოდები, მარგალიტები აღმოაჩინა, **"მამულის ტრფობით"** იმარტვილა, ქვეყნის **"სახიერ ერად"** გარდაქმნას ემსახურა, ქრისტესმიერი ძმები დაიყენა სატრფოს – მამულის სახსნელად, ზნეობრივი გმირობით, **"საღვთო ზნეობით"** გაგვაოცა, თაობებს გაუნათა სული, რადგან მას ჰქონდა ერისთვის გახელილი თვალი, ერის **"გონის თვალი"** დაუშრეტელი.

მერაბ კოსტავას სული პრეისტორიიდან მოაჭენებს ცეცხლოვან რაშს, მან უკვე მიაღწია XXI საუკუნემდე და ასევე იქროლებს საუკუნეთა ასპარეზზე. ქერუბიმული ცეცხლი ტრიალებს მის ნაკვალევზე.

პოეტი **"წუთისოფლის საცერსაც"** ხედავდა, **"უფლის საცერსაც"** და სამართლიანად ეიმედებოდა დაფარულთა მხილველის მსჯავრი.

გააცნობიერა რა თავისი გზები, საქმეების სიდიადე, უტყუარი დასკვნა გააკეთა: **"...ცხოვრება ჩემი განვლიე სწორად, მუდამ მთლიანი ვიჯექ ინახად, არ გავთიშულვარ აროდეს ორად... წილხვდომილ სიკვდილს თუ ვმზერდე ავად, მაშინ ნამუსის ქუდი გავთელო, ჩემი სამშობლო ზეცაა თავად, შემდეგ ეს მიწა და საქართველო"** (შიმშილობა).

"შეუცდომელი ბრძენის და მისნის" მრავალი სასიკეთო წინასწარმეტყველება უკვე ასრულდა.

მართალი აზრის მსახური, ჭეშმარიტების მჭვრეტელი პოეტი ზეცის მოქალაქედ, მაკროკოსმიურ კაცად აქცია არსთაგანმრიგემ, რადგან სჯეროდა: **"მაღალი აზრი უფსკრულთა ზედა, გარეშემოთა და შენდა ბედად, კვლავაც** აღგმართავს ხელთუქმნელ სვეტად, ჭეშმარიტების შენისა ჭვრეტად, მშობლიურ ცასთან კვლავ შეგაერთებს" (შიმშილობა).

ლუარა სორდია

(გაგრძელება შედეგ ნომერში)

ᲜᲐᲢᲝᲡ ᲡᲐᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲝ ᲐᲡᲐᲛᲑᲚᲔᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲔᲙᲚᲐᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოში ამასწინათ ჩატარებულმა ნატოს საპარლამენტო ასამბლეამ ახალი სტიმული მისცა ქართულ პოლიტიკას – გამუდმებით ილაპარაკოს ამ ორგანიზაციაში შესვლაზე, თუმცა არც მანამდე აკლებდა ხელს და ყოველდღიურად გვახსენებდა საქართველოს მოსახლეობის **„მტკიცე“** გადაწყვეტილებას – გახდეს ნატოს წევრი.

რამდენი ითქვა და დაიწერა ნატოზე, ცხადია დადებითი, მაგრამ არავის უკითხავს არის თუ არა საჭირო საქართველოს ნატოში შესვლა; რას მოუტანს ამ ორგანიზაციაში ყოფნა საქართველოს; ნატოში შესვლით, გამთლიანდება თუ არა საქართველო; რა პრობლემებს წააწყდება ქვეყანა ნატოში შესვლით; როგორი დამოკიდებულება ექნება ნატოში შესულ საქართველოს მიმართ მის მეზობელ ქვეყნებს, განსაკუთრებით რუსეთს; იქნება თუ არა მოსალოდნელი რუსეთის მხრიდან საპასუხო ნაბიჯი; ნატოში შესული საქართველო, შეძლებს თუ არა საკუთარი ეროვნული შემოსავლის 2%-ის გადახდას საწევროს სახით; საქართველოს მოსახლეობის რამდენი პროცენტი უჭერს მხარს ნატოში შესვლას და არის თუ არა საჭირო რეფერენდუმის ჩატარება ზუსტი რაოდენობის დასადგენად. არის სხვა მნიშვნელოვანი კითხვებიც, რომლებიც განმარტებას მოითხოვენ.

ნატოსთან დაახლოების თემა ქართულ პოლიტიკას 1990 წლის საპარლამენტო არჩევნებამდეც ჰქონდა. გაუთვითცნობიერებლობის გამო ის მიიჩნევდა, რომ ამ ორგანიზაციაში შესვლა მხოლოდ ქვეყნის სურვილზე იყო დამოკიდებული. იმჟამინდელი ქართული პოლიტიკის ცოდნა ნატოს საქმიანობასთან დაკავშირებით – მხოლოდ სახელის ცოდნით შემოიფარგლებოდა. დღევანდელ პოლიტიკას მეტი ინფორმაცია აქვს ნატოს თაობაზე, თუმცა ღრმა ანალიტიკური აზრის დეფიციტის გამო, მისი ცოდნა დამოუკიდებელი ქართული პოლიტიკის პირველი პლეადის **„ცოდნის“** დონეზე დარჩა.

ნატოს თაობაზე არ იცის პოლიტიკამ და არ იცის ხალხმა. მიუხედავად ნატოს საინფორმაციო ცენტრის გახსნისა და მრავალწლიანი **„მოღვაწეობისა“** საქართველოს მოსახლეობას ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს ნატოზე. ეს წარმოდგენა ნეგატივისკენ გადაიხარა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს და შემდეგ. სწორედ უცოდინრობამ აფიქრებინა ხალხს, რომ რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩართულ საქართველოს ნატო უნდა დახმარებოდა, ცხადია აშშ-ს თაოსნობით.

აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოში მოქმედმა ამერიკულმა ორგანიზაციებმა NDI-იმ და IRI-იმ არაერთხელ ჩაატარეს მოსახლეობის გამოკითხვა და იმავე მოსახლეობას ამცნეს, რომ ის მხარს უჭერს ნატოში შესვლას, თანაც დიდი პროცენტით.

ძალს ეს ორგანიზაციები – თავიანთი ცრუ გამოკითხვების შედეგებით და ძალს ურწმუნო თომებად ქცეული მოსახლეობა, რომლის სურვილი – იყოს ნატოში, შარშანწინდელი თოვლივით დნება. ერთ-ერთმა ამერიკულმა ორგანიზაციამ **„გელაპმა“** გამოკითხა საქართველოს მოსახლეობას – სურს თუ არა ნატოში ყოფნა და დაადგინა, რომ ასეთთა რაოდენობა 36%-ს არ აღემატება. ეს მაჩვენებელი გაცილებით დაბალია ზემომოყვანილი ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებულ პროცენტებთან შედარებით. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ **„გელაპი“** უფრო რესპექტაბელური ორგანიზაციაა, ვიდრე IRI და NDI, საქმე არცთუ დამამშვიდებელია ქართული პოლიტიკისთვის და მათი დასავლელი გულშემატკივრებისთვის.

შექმნილი ვითარება გვიკარნახებს, რომ ნატოში შესვლა-არშესვლასთან დაკავშირებით ახალი რეფერენდუმი უნდა გაიმართოს, მანამდე კი მედიის დახმარებით ფართო გასაქანი უნდა მიეცეს ნატოში შესვლისა და არშესვლის მსურველთა მოსაზრებას. ორივე მხარემ უნდა აუხსნას ხალხს – რას მოუტანს მას ნატოში შესვლა.

ზემომოყვანილი კითხვებიდან უპირველესად სწორედ ისაა გასარკვევი – რამდენ პროცენტს სურს ნატოში შესვლა. თუ რაოდენობა 50%-ზე ნაკლები იქნება, მაშინ დანარჩენ კითხვებზე პასუხის გაცემა აღარ იქნება აუცილებელი.

არის თუ არა ნატო უსაფრთხოების ქოლგა?

ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, რუსეთი რომ თავზე დასხმოდა ნატოს რომელიმე წევრ ქვეყანას. ფაქტის წინაშე დამდგარი ბრიუსელი როგორ გადაწყვეტილებას მიიღებდა – არავინ იცის. არც ის იცის – ავტომატურად ამოქმედდებოდა თუ არა ნატოს წესდების მე-5 პუნქტი – **„ყველა ერთისთვის, ერთი – ყველასათვის“**.

ამ პუნქტის სიმტკიცე უდავოდ გამოჩნდებოდა, რუსეთს რომ თურქულ გამოწვევაზე (რუსული გამანადგურებელი თვითმფრინავის ჩამოგდება) ეპასუხა. მაგრამ რუსეთმა სხვა ზომებს მიმართა და არა თვითმფრინავის ჩამოგდებას, რომლებმაც დიდი ეკონომიკური ზარალი მიაყენეს თურქეთს.

ძველი ურთიერთობები, მიუხედავად ორი ქვეყნის პრეზიდენტების ძალისხმევისა, ჯერაც არ აღმდგარა. დრო არის საჭირო. რუსეთს რომ თურქთივით, სამხედრო თვითმფრინავი (თურქული) ჩამოეგდო, მოჰყვებოდა თუ არა ბრიუსელის მკაცრი რეაქცია? ძნელი სათქმელია, თუმცა გასათვალისწინებელია ნატოს შტაბ-ბინის განცხადებაც – რუსეთ-თურქეთმა თვით მოაგვარონ საქმეო.

ნატომ უარი თქვა ორთა კონფლიქტში ჩარევაზე და ირიბად არ გაიზიარა ნატოს წევრი თურქეთის პოზიცია. არადა რუსული თვითმფრინავის ჩამოგდებასთან ერთად მთელი თურქეთის პოლიტიკა ნატოს შტაბ-ბინას მიაწყდა – დახმარებისთვის, საიდანაც ცივი შხაპის გარდა ვერაფერი მიიღო. თუ თურქეთისთვის ნატო ვერ იღებს გადაწყვეტილებას – ქვეყნისთვის, რომლის სამხედრო ძალები მეორეა აშშ-ს შემდეგ ნატოში, ახალგაწევრებული მონტენეგროსთვის მიიღებს ან მითუმეტეს საქართველოსთვის?

რუსეთს არაერთხელ უთქვამს, რომ უკრაინის, საქართველოს, მოლდოვას ნატოში შესვლას ეწინააღმდეგება, მაგრამ არ ანაღვლებს თუკი სამივე ევროკავშირში შევა. რა ბერკეტი აქვს რუსეთს ისეთი, ნატოს წევრები რომ ანგარიშს უწევენ?

ოფიციალური ბრიუსელის განცხადებით ნატოში შესვლა – ნატოსა და საქართველოს საქმეა და არა რუსეთის ანუ მესამე მხარის, რაც კიდევ ერთხელ დაფიქსირდა ნატოს საპარლამენტო ასამბლეის დეკლარაციაში: **„ნატოში გაწევრება არის მოკავშირეებისა და ასპირანტი ქვეყნის მიერ მისაღები გადაწყვეტილება და მასზე გავლენის მოხდენა არ შეუძლია მესამე ქვეყანას“**.

დიახ! ყველაფერი ასეა, მაგრამ რეალობაში – არც ისეთი, როგორიც ნატოს დოკუმენტებშია. რუსეთი ბირთვული სახელმწიფოა და მას ანგარიში ეწევა, რაც უნდა გაითვალისწინოს საქართველოს პოლიტიკამ. ჩვენი მეზობლებიდან, გარდა რუსეთისა, ნატოში შესული საქართველო ნაკლებად სასურველია აზერბაიჯან-სომხეთისთვის, რომ აღარაფერი ვთქვათ ჩვენი მეზობლის-მეზობელ ირანისთვის, რომელსაც აქვს საკუთარი ინტერესები ამიერკავკასიაში.

ნატოში შესული საქართველო უდავოდ მურმანის ეკალივით იქნება ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისთვის, იქ მიმდინარე დაპირისპირებიდან გამომდინარე. ნატოში შესული საქართველო ერთობ უხერხულ პოლიტიკურ ვითარებაში აღმოჩნდება, ნატოსთან არცთუ კარგ ურთიერთობაში მყოფ მეზობლებს შორის.

საქართველოს ნატოში შესვლა ვერ მოაგვარებს საქართველოს ტერიტორიულ საკითხებს, ვერ შეძლებს დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას. რატომ? – იკითხავს მკითხველი. უპირველესად იმიტომ, რომ ნატო არ იხილავს მისი წევრი ქვეყნების ტერიტორიულ საკითხებს, ვინაიდან არ თვლის მას ნატოს გადასაწყვეტ თემად. სწორედ ამიტომაც ნატო თავის რიგებში არ მიიღებს ისეთ ქვეყანას, რომელსაც აწუხებს ტერიტორიული პრობლემები.

ერთი სიტყვით – ნატო თავს არ აიტკივებს ასეთი პრობლემით. საქართველოს კი ასეთი 2 აქვს – აფხაზეთი და სამაჩაბლო. გარდა ამისა, მას არცერთ მეზობელთან, გარდა თურქეთისა, საზღვრები არ აქვს შეთანხმებული, კონფლიქტურ დამოკიდებულებაშია თუნდაც ერთ მეზობელთან (რუსეთი). რა გამოდის? ნატოში შესვლამდე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა უნდა ვაღიაროთ?

თუ ნატო გვინდა, ასე უნდა მოვიქცეთ. ღირს კი ნატოში შესვლა აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის დაკარგვად?!

მართალია დაკარგულ ტერიტორიებს ვერც დღეს და ვერც უახლოეს პერიოდში ვერ დავიბრუნებთ, თუნდაც რუსეთთან ჩახუტებით, მაგრამ დღევანდელი პოლიტიკის დაუფიქრებელმა გადაწყვეტილებამ შესაძლოა მომავალ თაობებს საერთოდ წაართვას დაკარგულის დაბრუნების შანსი.

აღნიშნულის ფონზე ერთობ ქარაფშუტულად აღიქმება პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარის სესიაშვილის განცხადება – ნატოს სურს რუსეთის ცივილიზებულ ჩარჩოებში მოქცევა და მისი იძულება გადადგას ისეთი ნაბიჯები, რასაც ბრიუსელიდან ეტყვიან, მათ შორის დააბრუნოს საქართველოს ტერიტორიები; უკრაინას დაუბრუნოს ყირიმი და ა.შ.

როგორც ჩანს ქართველ „პოლიტიკოსებს“ ავიწყდებათ მათივე ნათქვამი, რომ ნატოში შესული საქართველო ან ნატოს აღმოსავლეთით გაფართოება არ ემუქრება რუსეთის უსაფრთხოებას. იგივეს აცხადებს ნატოც, მაგრამ რუსეთს ამის არ სჯერა და მართალიც არის. ძნელია დაიჯერო დასავლეთის, კერძოდ ნატოს, როდესაც სიტყვა და საქმე დაშორებულია ერთმანეთისგან. დასავლეთი, კერძოდ აშშ-ი დაბეჯითებით უმტკიცებდა სსრკ-ს, რომ ვარშავის პაქტის დაშლის შემდეგ ნატო აღმოსავლეთით არ გაფართოვდებოდა. დაპირება არ შესრულდა. ნატომ არა მარტო აღმოსავლეთ ევროპის ყოფილი სოცქვეყნები მიიღო თავის რიგებში, არამედ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები და ჯერი უკრაინა, საქართველო, მოლდოვაზე მიდგა.

მაინც რა ემუქრება რუსეთს, საქართველოს, მოლდოვას, უკრაინის ნატოში გაწევრებით?

ძალიან მარტივი რამ, ნატოს სამხედრო პოტენციალის რუსეთის საზღვრებთან განლაგება, ომის შემთხვევაში გამოიწვევს რუსეთის სამხედრო-სტრატეგიული ობიექტების და ქალაქების სწრაფ განადგურებას. რუსეთის რაკეტსაწინააღმდეგო სისტემებისთვის გაჭირდება სწრაფი რეაგირება, ვინაიდან გასროლის შემდეგ წამები დარჩება რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის ასამოქმედებლად.

სანკტ-პეტერბურგის ეკონომიკური სამიტის ფარგლებში მსოფლიო მედიის წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს, რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა მარტივად ახსნა რუსეთის პოზიცია სამხრეთ კორეაში და ევროპაში ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განლაგებასთან დაკავშირებით. მისი აზრით, აშშ-ის ეს გადაწყვეტილება ემუქრება რუსეთის უსაფრთხოებას და რომ ამას ადგილი არ ჰქონდეს, რუსეთი იძულებულია გამოიგონოს ახალი იარაღი მოსალოდნელი თავდასხმის გასანეიტრალებლად ან თვალი დახუჭოს ყოველივეზე, დანებდეს დასავლეთს და შეასრულოს მისი ნებისმიერი ბრძანება, როგორც მარიონეტმა.

სესიაშვილისეული **„ცივილიზებულ ჩარჩოებში მოქცევა“** რუსეთისთვის, ისე, როგორც დასავლეთისთვის ნიშნავს კაპიტულაციას, რაც გიგანტი სახელმწიფოსთვის მიუღებელია. გორბაჩოვ-ელცინის დროს დაშვებულ უხეშ შეცდომებს რუსეთის ხელისუფლება აღარ გაიმეორებს, რაც თავისთავად წინა პლანზე წამოწევს შეიარაღების ზრდას, კონფრონტაციას. ასეთ ვითარებაში სიბეცეა ქართული პოლიტიკის გამუდმებული ლაპარაკი ნატოში შესვლასთან დაკავშირებით. ქართული პოლიტიკა ვერ აცნობიერებს იმ საფრთხეებს, რაც უდავოდ მოჰყვება საქართველოს ნატოში გაწევრებას. საქართველოს პოლიტიკას ჰგონია, რომ ნატოში შესვლით ქვეყნის უსაფრთხოების საკითხი ერთხელდასამუდამოდ გადაწყდება, რაც აბსურდია, ვინაიდან პროვოკატორად გადაქცეულ საქართველოს მოსარჯულებლად რუსეთი არც სამხედრო ძალას დაიშურებს და არც სხვას.

საქართველოს ხელისუფალთათვის საგანგაშო უნდა ყოფილიყო ბრიუსელის შტაბ-ბინაში ტრამპის სიყრუე – აგრესიის შემთხვევაში ნატოს წესდების მე-5 პუნქტის ამოქმედებასთან დაკავშირებით. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები – პოლონეთი, ბალტიისპირა სახელმწიფოები სწორედ ამას ელოდნენ ტრამპისგან. მან კი სიჩუმე ამჯობინა. მართალია, მას არ უთქვამს წინასაარჩევნო მარათონში არაერთხელ ნათქვამი, რომ ზემომოყვანილი ქვეყნები ავანტიურისტები არიან და მათ შეუძლიათ წაჰკიდონ ერთმანეთს აშშ და რუსეთი, მაგრამ სიჩუმე იმის მომასწავებელი იყო, რომ ამერიკა თავს არ გასწირავს არც მათთვის და არც დავუშვათ ნატოში შესული საქართველოსთვის.

პრეზიდენტობამდე ტრამპი აცხადებდა, რომ ნატო მოძველებული ორგანიზაციაა და აღარ უნდა არსებობდეს, ვინაიდან ვის საწინააღმდეგოდაც შეიქმნა (სსრკ), ის აღარ არსებობს. პრეზიდენტად გახდომის შემდეგ მან აზრი შეიცვალა, მაგრამ შეიცვალა? იქნებ სხვა გზით უტევს ნატოს? და ეს გზა საწევროს გადახდაა. ანუ ეროვნული შემოსავლის 2%. ნატოს 29 წევრი სახელმწიფოდან, მხოლოდ 4 იხდის საწევროს, დანარჩენი აშშ-ს ხარჯზე ცხოვრობს, რაც აღიზიანებს ტრამპს და აცხადებს, რომ გადაუხდელობის შემთხვევაში ამერიკა დატოვებს ნატოს.

მართალია, ტრამპს ნატოს დატოვების შესახებ ბრიუსელში არ უთქვია, მაგრამ გადახდაზე კატეგორიულად თქვა და აიძულა პარტნიორები ფიცი გადახდისა დაედოთ. შეძლებს ტრამპი ნატოს წევრების დაყოლიებას? ძნელი სათქმელია, ვინაიდან 2% ეროვნული შემოსავლისა საკმაო თანხაა, თუნდაც ისეთი წარმატებული ქვეყნისთვის, როგორიც გერმანიაა. ასე რომ, ნატოს ყოფნა-არყოფნის თემა ისევ მწვავედ დგას დღის წესრიგში, ისე, როგორც პარიზის ხელშეკრულება კლიმატთან დაკავშირებით.

ტრამპმა აუსრულა დაპირება ამომრჩეველს და გამოვიდა ხელშეკრულებიდან, მიუხედავად მთელი მსოფლიოს საწინააღმდეგო გნიასისა, ტრამპმა არ გაიზიარა სხვების აზრი. ხომ შეიძლება იგივე მოხდეს ნატოსთან მიმართებაშიც?

ნატოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ საქართველოს მხარდამჭერი დეკლარაციის მიღება, რაღაცას ნიშნავს, მაგრამ არა მთავარს, ვინაიდან ასამბლეა თვით არ არის ისეთი ორგანიზაცია, სერიოზულ გავლენას რომ ახდენდეს ნატოს შტაბ-ბინაზე, მითუმეტეს მის ისეთ ბობოლა წევრებზე, როგორებიცაა აშშ, გერმანია, საფრანგეთი, ინგლისი და ა.შ., მაგრამ სამგლე გოჭივით ატროკებული ქართული პოლიტიკისთვის, საკუთარი თავისა და ხალხის მოსატყუებლად უძვირფასესი დოკუმენტია.

თვით ნატოს საპარლამენტო ასამბლეის წევრებმაც კარგად იციან რისი მაქნისები არიან, მაგრამ რუსეთისთვის კიდევ ერთი არასასიამოვნო ჩხვლეტა მათ უდიდეს კმაყოფილებას გვრის. ვერც ისინი და ვერც საქართველოს ხელისუფალნი ვერ ხვდებიან, რომ მსოფლიოში სხვა პროცესები მიმდინარეობს, რომლებიც მრავალპოლუსიანობის მომტანია. მას უდავოდ ექნება ადგილი და მაშინ ვინღა იფიქრებს ნატოზე ან გლობალიზაციაზე. ეს თემები დავიწყებას მიეცემა.

ᲰᲐᲛᲚᲔᲢ ᲯᲘᲞᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
�პᲝᲚᲘᲢᲝᲚᲝ�გᲘ

ლავრენტი ბერია – საბჭოთა კავშირის ცილდაწამებული გმირი

(გაგრძელება წინა ნომრიდან)

სწორედ ეიჰემ და ხრუშჩოვმა გამოსტყუეს მაშინ სტალინს ნებართვა, რათა ქვეყანა გაეწმინდათ დამნაშავე ელემენტებისაგან, კულაკებისაგან, სხვადასხვა ჯურის კონტრრევოლუციონერებისაგან, ჰქონდათ რა მხედველობაში საკუთარი კეთილდღეობის დაცვა და არა ქვეყანაზე ზრუნვა. ისინი წმენდის ეგიდით გეგმავდნენ სისხლიან ანგარიშსწორებას იმ პირების მიმართ, ვინც მათ კეთილდღეობას ემუქრებოდა. საბოლოო მიზანი გახლდათ მთელი ქვეყნის გაღიზიანება და ამის საფუძველზე სტალინის დამხობა და ფიზიკური ლიკვიდაცია. სწორედ ამას ეძღვნებოდა ეჟოვის შეთქმულება, რომელსაც მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა დამყარებული ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების თითქმის ყველა პირველ მდივანთან. ეჟოვმა ეს კონტაქტები დაამყარა ჯერ კიდევ სკკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტში მუშაობის წლებიდან.

1939 წლის 4 აგვისტოს მოწყობილ დაკითხვაზე ეჟოვმა სავსებით დაადასტურა ეს "ეჭვი". აი, ფრაგმენტი მისი დაკითხვიდან.

"შეკითხვა: გამოძიებისათვის ცნობილია, რომ სსრკ შინსახკომის მიერ 1937-1938 წლებში მოწყობილი მასობრივი რეპრესიული ღონისძიებები, რომელიც შეეხო ყოფილ კულაკებს, სასულიერო პირებს, სისხლის სამართლის დამნაშავეებს და საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკების პოლიტიკურად არასაიმედო შრეებს, მიმართული იყო სსრ კავშირის წინააღმდეგ და ემსახურებოდა ანტისაბჭოთა ელემენტების ინტერესებს.

რამდენად შეესაბამება ეს ყოველივე ჭეშმარიტებას?

პასუხი: დიახ, ეს სრულიად შეესაბამება ჭეშმარიტებას.

შეკითხვა: მიაღწიეთ თუ არა თქვენს კონტრრევოლუციურ მიზანს ამ პროვოკაციების მოწყობით?

პასუხი: რეპრესიების პირველი შედეგები ჩვენთვის სავსებით მოულოდნელი აღმოჩნდა. მათ არა მხოლოდ არ გამოიწვიეს მოსახლეობის უკმაყოფილება ცენტრალური ხელისუფლების მიმართ, არამედ, პირიქით, ამ ღონისძიებებს მოჰყვა დიდი პოლიტიკური აღმავლობა, განსაკუთრებით სოფლებში. იყო შემთხვევები, როცა თავად კოლმეურნეები მიდიოდნენ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის განყოფილებებსა და მათ რაიონულ ქვეგანყოფილებებში და კატეგორიულად მოითხოვდნენ ამა თუ იმ მიჩქმალული კულაკის, თეთრგვარდიელის, ქორვაჭრის და სხვა საეჭვო პიროვნების დაპატიმრებას.

ქალაქებში მკვეთრად იკლო ქურდობის, დანის ტრიალისა და ხულიგნობის ფაქტებმა, რომელიც განსაკუთრებით აზარალებდა მუშა რაიონებს.

...როცა ამოიწურა მიჩქმალული კულაკის, თეთრგვარდიელის, ქორვაჭრის და სხვა საეჭვო პიროვნების დაპატიმრების ე.წ. "ლიმიტები", ჩვენ – შეთქმულებმა და პირადად მე, თავიდან დავაყენეთ საკითხი მთავრობის წინაშე, რათა გაგვეგრძელებინა სადამსჯელო ღონისძიებები და გაგვეზარდა რეპრესიაში მოსაყოლთა რიცხვი.

ამ თხოვნის მტკიცებულებად ჩვენ მოგვყავდა ის ვერსია, რომ ანტისაბჭოთა ელემენტების მიერ დანაგვიანებული გახლდათ კოლმეურნეობები ფაბრიკა-ქარხნები და სახელმწიფო ორგანიზაციები.

შეკითხვა: შესძელით თუ არა, რომ მთავრობისაგან მიგეღოთ რეპრესიების გაგრძელების ნებართვა?

პასუხი: დიახ. ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ მთავრობისაგან მიგვეღო რეპრესიების გაგრძელების ნებართვა.

შეკითხვა: მას შემდეგ, რაც მთავრობისაგან მიიღეთ რეპრესიების გაგრძელების ნებართვა, შესძელით თუ არა, რომ გამოგეწვიათ მასობრივი პროტესტი მთავრობისა და საბჭოთა ორგანოების მიმართ?

პასუხი: დიახ, რეპრესიების პროცესების გაჭიანურებით ჩვენ მივაღწიეთ, რომ მთელ რიგ რეგიონებში მოსახლეობას გაუჩნდა პროტესტის გრძნობა საბჭოთა ხელისუფლების სადამსჯელო პოლიტიკის მიმართ.

შეკითხვა: მაინც რომელ რაიონებში მიაღწიეთ იმას, რომ მოსახლეობას საპროტესტო განწყობა შექმნოდა?

პასუხი: ეს ეხება, უმტავრესად, უკრაინის, ბელორუსიის, შუა-აზიის რესპუბლიკების, სვერდლოვის, ჩელიაბინსკის, დასავლეთ-ციმბირის, ლენინგრადის, დასავლეთის, როსტოვის და ორჯონიკიძის ოლქებში. ეს გამოწვეული იყო, ჯერ ერთი იმით, რომ მათზე იყო გადატანილი სადამსჯელო ორგანოების მთელი ყურადღება, მეორეც – ამ რაიონების შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ყველა ხელმძღვანელი იღებდა მონაწილეობას შეთქმულებაში.

ყველა ამ ოლქებში განსაკუთრებული სისასტიკით მიმდინარეობდა პრაქტიკულად უდანაშაულო ადამიანთა რეპრესიები, რაც გახდა მასობრივი პროტესტების მიზეზი".

როგორ გგონიათ, ეჟოვს ეს ჩვენება მიცემული აქვს გამოძიების დაწოლის შედეგად?

არავითარ შემთხვევაში! მატიანეს შემორჩა სხვა საბუთებიც.

"როცა ხრუშჩოვი უკრაინის კომპარტიის ცეკას პირველი მდივანი გახდა, – წერს იური ჟუკოვი, – მის მიერ მოსკოვში გაგზავნილ პირველ დეპეშაში იგი ითხოვდა 20.000 ადამიანის დახვრეტას. ეს მაშინ, როცა მანამდე უკრაინას რამდენიმეჯერ გადაუარა რეპრესიების ტალღამ.

– რის საფუძველზე მოითხოვდა იგი ხალხის დახვრეტას?

– იმის საფუძველზე, რომ თითქოს შინსახკომმა გამოავლინა იატაკქვეშა შეარაღებული ორგანიზაცია, რომელიც ამზადებდა აჯანყებას. ესე იგი, მიიჩნევდნენ, რომ ასეთ პირობებში ალტერნატიული არჩევნების ჩატარება არ გახლდათ მიზანშეწონილი. ყოველ შემთხვევაში, მანამდე, ვიდრე სრულიად არ იქნებიან ლიკვიდირებული ეს თითქოსდა შეთქმულებაში ჩაბმული ორგანიზაციები".

თავის ცნობილ წიგნში "სპეცოპერაცია, ლიუბიანკა და კრემლი 1930-1950 წლებში", პავლე სუდოპლატოვი აღნიშნავდა:

"უსპენსკი მთლიანად პასუხისმგებელია მასიურ რეპრესიებსა და ხალხის წამებაზე, რაც შეეხება ხრუშჩოვს, იგი ერთ-ერთი მცირეთაგანია პოლიტბიუროს იმ წევრთაგან, რომელიც უსპენსკისთან ერთად ესწრებოდა დაპატიმრებულთა დაკითხვას".

ხრუშჩოვის ბრძანებით უსპენსკი სასწრაფო წესით აპატიმრებდა ყველას, ვინც იცოდა ნიკიტას ტროცკისტული წარსულის თაობაზე. ამ სიაში მოხვდნენ გრიგორი მოისეენკო და სტროგანოვი, რომლებიც ადრე მუშაობდნენ ნიკიტასთან ერთად სტავროპოლის საოლქო კომიტეტში.

როცა უსპენსკიმ მოახსენა ხრუშჩოვს, რომ შეასრულა მისი ბრძანება და დააპატიმრა მოისეენკო და სტროგანოვი, ნიკიტამ უარი ვერ უთხრა საკუთარ თავს მიეღო დიდი სიამოვნება მტრებთან შეხვედრით. ახლა მას შეეძლო დაემცირებინა დატუსაღებულები და ეჩვენებინა მათთვის საკუთარი ძალა.

– რაო, გრიშა, – ირონიულად ჰკითხა მან მოისეენკოს, – ვინ არის ტროცკისტი. შენ მუდამ ჩემზე მიანიშნებდი, სინამდვილეში კი შენ აღმოჩნდი ტროცკისტი და ხალხის მტერი.

– ამხანაგო ხრუშჩოვ, – დააპირა მოისეენკომ რადაცის თქმა, მაგრამ ხრუშჩოვმა გააწყვეტინა, – შენ ხალხის მტერი ხარ. შენ ეს თავად აღიარე. შენ ტროცკისტი ხარ!

მოისეენკო დუმდა. ნიკიტა ხრუშჩოვთან შეხვედრამდე იგი სასტიკად აწამეს და ცემეს, აიძულეს ხელი მოეწერა დაკითხვის ოქმზე, სადაც მან ცილი დასწამა საკუთარ თავს.

– მე თავად დაგისისხლიანებდი თავპირს, – მძვინვარებდა ნიკიტა, – მაგრამ არ მინდა ხელები გავისვარო. თუმცა, ვიდრე შენ კედლთან მიგაყენებენ, კიდევ ბევრჯერ მოგხვდება.

მოისეენკო იატაკზე წამოაქციეს და ურტყამდნენ, ვიდრე გრძნობა არ დაკარგა. ამ "პათოსით" ელაპარაკებოდა ნიკიტა ხრუშჩოვი სტროგანოვსაც.

– ჩავარდი, ბებრო მელავ? – მიმართა ნიკიტამ სტროგანოვს, რატომ აგებდი ჩემზე ინტრიგებს სტალინოს საოლქო კომიტეტში მუშაობისას?

– მე არავითარ ინტრიგებში არ ვმონაწილეობდი, – უპასუხა სტროგანოვმა, – ეს თქვენ ცდილობდით, რომ ჩემი სიბრიყვე დაგემტკიცებინათ!

– შენ ნამდვილი ბრიყვი ხარ, – აფეთქდა ხრუშჩოვი, – მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანი ცდილობდნენ შენს აზრზე მოყვანას. მაშ შენ არ აღიარებ, რომ ხალხის მტერი ხარ?

– არ ვაღიარებ.

– გინდა რომ სუფთა ადამიანად მოკვდე? არაფერი გამოგივა!

მალე სტროგანოვმა მოაწერა ხელი დაკითხვის ოქმს, სადაც იგი "გულწრფელად" აღიარებდა, რომ ტროცკისტი და ხალხის მტერი იყო.

"ტერორისტებისა და ხალხის მტრების" ისტერიკამდე მისულმა ძებნამ აბსურდული სახე მიიღო და იგი თითქმის მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით მიმდინარეობდა.

ნეკრასოვი ალექსანდრე ივანეს ძე – მექანიკისა და ჰიდროდინამიკის დარგის სპეციალისტი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრი 1932 წლიდან. ნეკრასოვი დააპატიმრეს ამერიკის შეერთებული შტატებიდან დაბრუნების შემდეგ, სადაც იგი სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა, მოჰყვა ავტოავარიაში და დაინვალიდდა, თუმცა მის ინტელექტუალუარ შესაძლებლობებზე ამას არ უმოქმედია. დააპატიმრეს 1937 წელს, გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტობის ბრალდებით, ვოლგისპირეთის გარკვეული ტერიტორია მიჰყიდა ერთ-ერთ ამერიკელ მილიარდერს. მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

დურნოვო ნიკოლოზ იკოლოზის ძე – ფილოლოგი, სლავური ენების სპეციალისტი, ძველი რუსული დამწერლობის და რუსული ენის დიალექტის მკვლევარი, 1924 წლის 6 დეკემბრიდან სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრი ფილოლოგიის განხრით. დააპატიმრეს მოსკოვში, 1933 წლის 28 დეკემბერს "რუსეთის ნაციონალურ პარტიასთან" კავშირის გამო. ვ.ნ. სიდოროვთან ერთად გაასამართლეს იატაკქვეშა "რუსეთის ფილოლოგიური პარტიის" შექმნაში. მიუსაჯეს 10 წელი. გადაასახლეს სოლოვკიში. მისი ნაშრომები ენათმეცნიერების დარგში არ შემორჩენილა. განმეორებით გაასამართლეს 1937 წლის 9 ოქტომბერს და იმავე წლის 27 ოქტომბერს დახვრიტეს.

1937 წელს, ლენინგრადში, ერთი საქმის გამო დააპატიმრეს 53 ადამიანი, რომელთა შორის 51 იყო ყრუ-მუნჯი. მათ დაბრალდათ ტერორისტული აქტის მოწყობა ჟდანოვის, მოლოტოვის და სტალინის წინააღმდეგ. ყველანი **გაასამართლეს და 34 მათგანს დახვრეტა მიესაჯა.**

ბორისეენკო ზინაიდა ტიმოთეს ასული (დაბადებული 1917 წელს) იაპონიის დაზვერვასთან თანამშრომლობის ბრალდებით მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა (ამონაწერი 1937 წლის 26 აგვისტოს №6 ოქმიდან).

ერმაკოვი სამუელ ფილიპის ძე – დაბადებული 1898 წელს, დააპატიმრეს იაპონიის სასარგებლოდ შპიონაჟის ბრალდებით. მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა (ამონაწერი 1937 წლის 26 აგვისტოს №6 ოქმიდან).

ხუდოლეევი პეტრე გაბრიელის ძე – დაბადებული 1911 წელს, იაპონელ ჯაშუშებთან კავშირისათვის მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა (ამონაწერი 1937 წლის 26 აგვისტოს №6 ოქმიდან).

საინტერესოა, რას დაეძებდა იაპონიის დაზვერვა ისიკ-კულის, მარიანოვსკის და კორმილოვსკის რაიონების მიყრუებულ, გაღატაკებულ სოფლებში, სადაც აგურით ნაშენები სახლები თითზე ჩამოსათვლელი იყო?

და ასეთი "საქმეები" ასეულობით ითხზვებოდა ომსკის ოლქის სოფლებში. და კიდევ ერთი დანაშაულებრივი იდიოტიზმის კლასიკური ნიმუში.

ჩეხური, გერმანული, ფინური დაზვერვის ინტერესი ირკუტსკის ოლქის ციცქნა დაბა ბოდაიბოში, სადაც მთავარი გზიდან მოსახვედრად მარხილით რამდენიმედღიანი მგზავრობა დაგჭირდებათ!

იდიოტიზმის ნათელი დადასტურება გახლავთ ოფიცერ კულვეცის პატაკი, შედგენილი შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსის სახელზე:

"რაც შეეხება გერმანულ დაზვერვას, ამ საქმეში წარმატებით ვერ დავიკვეხნი, რადგან ისინი არალეგალური საქმიანობის სპეციალისტები არიან. ვეცდები მათ კვალს მივაგნო. ფინელები გამოვავლინე, ჩეხოსლოვაკებიც. მთლიანი კოლექციისათვის ვერ ვახერხებ იტალიელებისა და ფრანგების გამოვლენას... თითქმის ყველა ჩინელი ვამხილე, დარჩნენ მხოლოდ მოხუცები, თუმცა, მათ შორის 7 ადამიანი მხილებულია ჯაშუშობასა და კონტრაბანდისტული საქონლის შემოტანაში. ვთვლი, რომ მათზე დრო არ უნდა დავკარგოთ, ძალიან მოფამალებულები არიან, თუმცა ზოგიერთი ყოჩაღი დავატუსაღე". (კულვეცის საქმე ირკუტსკის რაიონის სახელმწიფო უშიშროების ფედერალური ბიუროს არქივიდან. საქმე № 7912).

მაგრამ რეპრესიის ყველაზე "დიდი ბუმერანგი" თავად ნიკოლოზ ეჟოვს მოხვდა თავში.

"დადგენილება

ქ. მოსკოვი, 1939 წლის 10 ივნისი

მე. სსრკ შინსახკომის საგამოძიებო ნაწილის უფროსმა გამომძიებელმა, სახელმწიფო უშიშროების უფროსმა ლეიტენანტმა სერგიენკომ, განვიხილე 1895 წელს დაბადებულ, წარმომავლობით მუშათა კლასიდან, ეროვნებით რუსი, უმაღლესი განათლებით, რუსეთის კომპარტიის წევრზე 1917 წლიდან 1919 წელს სამხედრო ტრიბუნალის მიერ გასამართლებულ და ერთი წლით პირობასასჯელმისჯილ, მოსკოვში მცხოვრებ, ამჟამად სსრკ სამდინარო ტრანსპორტის სახალხო კომისარ ნიკოლოზ ეჟოვზე შემოსული მასალები, და დავადგინე შემდეგი:

...მოქმედებდა რა ანტისაბჭოთა და ანგარებითი მიზნებით... მას სქესობრივი კავშირი ჰქონდა მამაკაცებთან (მამათმავლობა)".

თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი,
(გაგრძელება იქნება)

მეგრული პოეზიის ანთოლოგიის შესახებ

ახლახან მკითხველმა მიიღო გამომცემლობა **„ივერიონის“** მიერ 2000 ტირაჟით გამოცემული 700 გვერდიანი **„მეგრული პოეზიის ანთოლოგია“**. (პროექტის ავტორი გური ოტობაია). ფაქტია, ასე სრულად და ამ სახით მეგრული პოეზიის ნიმუშები ჯერ არავის გამოუქვეყნებია.

– ამ წიგნის გამოცემა ძველი კოლხეთის სულის სიდიადის გამოვლენაა... კოლხ კაცს ეს წიგნი აუცილებლად სჭირდებაო, – თქვა ერთმა ჩემმა მეგობარმა და ვფიქრობ, რომ ეს მართლაც ასეა.

მადლობა გური ოტობაიას და ყველა იმ პიროვნებას, ვინც მონაწილეობდა ამ დიდებული წიგნის გამოცემაში.

ანთოლოგიაში შესულია როგორც ხალხური, ასევე ორიგინალური ლექსები.

მარტო ამ კრებულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ავტორების მეგრული პოეზია პერსპექტივის თვალსაზრისით დიდ მომავალს გვპირდება.

მეგრული პოეზიის თანამედროვე წარმომადგენლებზე უფრო ვრცლად და კონკრეტულად სხვა წერილში ვისაუბრებ.

ახლა კი თავს ნებას მივცემ ამ ანთოლოგიის შესახებ გამოვთქვა რამდენიმე შენიშვნა.

1. წინასიტყვაობაში გვეუბნებიან, რომ **„მეგრული პოეზიის ანთოლოგია“** ფოლკლორის კვალდაკვალ წარმოგვიდგენს განსხვავებული ასაკისა და პოეტური ტემპერამენტის ერგას (50), ნათელში მყოფ თუ სვეკურთხეულ ავტორს. სინამდვილეში კი, როცა წიგნს გაეცნობით, ნახავთ რომ იქ 50 კი არა 63 ავტორია. 15 რატომღაც ფოლკლორის განყოფილებაშია მოხვედრილი. გაუგებარია რა ნიშნით მოხვდა მათი განცალკევება? მაგალითად, თუკი ცნობილი **„ჩელას“** დამწერი პავლე აკობია **„ავტორების“** განყოფილებაშია შეყვანილი, საინტერესოა რატომ მოხდა **„ფოლკლორის“** განყოფილებაში ასევე მთელ სამეგრელოში ცნობილი ლექსის – **„თიწკმა იპიიქ გაჭირებულის“** – ავტორი ლადი სალაყაია, ვისაც ეკუთვნის ეს შედეგრიც:

ვაი, შური, საყვარელი,
რინა მუში მამარდა რე,
რინაშ ნება ქორდასუნი
ქიანა მუში მაფართა რე.

მე ამით იმის თქმა მინდა, რომ როცა ლექსს ჰყავს ავტორი (ვიცით ვინ არის, სად ცხოვრობს და ა.შ.) არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ის ფოლკლორულ ნაწარმოებად გამოვაცხადოთ.

2. 2016 წელს ჩემს მიერ შედგენილ და გამოცემულ მეგრული ლექსების კრებულში – **„ბჟა დია ჩქიმი“**, ფოლკლორის განყოფილებაში 99-ე გვერდზე დაბეჭდილია ლექსი **„ნანა“**, რომელიც ასე იკითხება:

ნანაია, ნანა სქუა
ნანაშ ჭირიმა,
არკვანიშა იშამჯანუ ვარდიშ პირი მა,
გამნუონწყი შქართუნი დო
აშვოჯინი მა,
ბჟა დო თუთას ქოგურაფუ
მუში ჭირიმა.
დღასუ ვეშეჭყოლიდუა
გოლვაფირი მა
ყათე ნანა მარგალური
სქანიჭირიმა.
სქანფაცხა დო სქანკებური
სქანი ჭირიმა.

სამეგრელოში გავრცელებული ეს საკვნე სიმღერა, რომელიც სპირიდონ კვარაცხელიასგან ჩაუწერია და პირველად გამოაქვეყნა კალისტრატე სამუშიამ, მეგრელმა კაცმა არასოდეს არ უნდა დაივიწყოს. მიტომ გული დამწყდა, როცა ეს ლექსი ვერ ვიხილე ანთოლოგიაში. მართალია, იქ 26-ე გვერდზე დაბეჭდილია **„სისატურა“**, რომლის დასაწყისი სტრიქონები ემთხვევა ჩვენს მიერ აქ წარმოდგენილ **„ნანას“** დასაწყის სტრიქონებს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ **„სისატურა“** მაინც სხვა ნაწარმოებია, რომელიც, როგორც ნუგზარ ანთელავას სტატიიდან მახსოვს, ლადი სალაყაიას კალამს ეკუთვნის და ის პოეტმა თავის ვაუს – ბონდოს უძღვნა:

სისა ტურა მურსია,
ბონდო ბოშის ლურსია,
ბონდო ბოში მუში ნანას
ოხუტოლუ გურსია. და ა.შ.

მეგრული პოეზიის შემდგომი გამოცემისას აუცილებელია **„ნანას“** ხალხური და ავტორისეული სტრიქონების ერთმანეთისგან გამიჯვნა.

3. ქართველი მკითხველისთვის კარგადაა ცნობილი ნიჭიერი პოეტისა და ჟურნალისტის თამაზ ფიფიას სხვადასხვა პროზაული თუ პოეტური ნაწარმოებები, მათ შორის მეგრული ლექსებიც. ამიტომ გამიკვირდა, ანთოლოგიის სარჩევში, ავტორთა ჩამონათვალში თამაზი რომ ვერ ვნახე. 2016 წელს ჩემს მიერ გამოცემულ კრებულში **„ბჟა დია ჩქიმი“** (რომლითაც ანთოლოგიის შემდგენლებსაც უსარგებლიათ). მე შევიტანე მისი ლექსი **„ნანაია ნანა“**:

ნანაია ნანა სქუა,
ოცქვაფურსუ ირო ვთქუა,
აშამჯანუქ მურიცხჯგუა
ბჟა დო თუთას გიგურუა.
ონწეს რწკინუნქ, ბაია რექ,
სქანქიანა აია რე,
გურიშ ჰამო ნაია რე,
ირო გიბირს ინა ნანას და ა. შ.

მშვენიერი ლექსია, სულ 8 სტროფისგან შედგება და ის, როგორც გითხარით, თამაზ ფიფიასია. ანთოლოგიაში კი რატომღაც კაპიტონ გახარიას ლექსადაა წარმოდგენილი, რაც უნდა გასწორდეს.

4. 402-ე გვერდზე ვახტანგ ხარჩილავას ლექსის – **„ართიხატის“** შენიშვნაში გვეუბნებიან, რომ ვახტანგ ხარჩილავას ამ ლექსებში სალიტერატურო ქართული და მეგრული შერწყმია ერთმანეთს, ასეთი რამ **პირველად ხდება ჩვენს პოეზიაშიო**, საიდანაც ისე გამოდის, რომ მეგრულ-ქართული ლექსი ვახტანგ ხარჩილავამდე არავის დაუწერია. მაგრამ ეს ასე არ არის. **„მეგრული პოეზიის ანთოლოგიის“** გამოსვლამდე ჯერ კიდევ ერთი საუკუნით ადრე იოსებ ყიფშიძე წერდა: **„...თვით მეგრელი ხალხი ქმნის აუარებელ ხალხურ სიტყვიერებას არამარტო მეგრულ ენაზე, არამედ რაც მეტად საინტერესოა – მეგრულ-ქართულზედაც“**.

და იქვე ნიმუშად მოჰყავს ერთი მაგალითი:

ბღურუქ მარა მუ ფქიმინა,
ვხედავ აღარ გებრალები,
ლეხი ვორექ მაღურუუ,
ვერ მიშველის ექიმები.

ლექსი **„ვღურუქ მარა მუ ვქიმინა“** სულ 14 სტრიქონისაგან შედგება, რომელთაგან 7 მეგრულადაა დაწერილი, 7-კი ქართულად. ასე რომ, ქართულ-მეგრული სტრიქონების მონაცვლეობით ლექსების წერა **ჩვენში „არ ახალია, ძველია“**. ვახტანგ ხარჩილავა ამ საქმის პიონერი კი არ არის, ღირსეული გამგრძელებელია.

5. „მეგრული პოეზიის ანთოლოგიაში ჩემი 9 ლექსია შეტანილი, მაგრამ ერთი ლექსისთვის სათაური რატომღაც თვითნებურად შეუცვლიათ და დაურქმევიათ **„ლაზებს“**. არადა ის ლექსი ჯერ კიდევ 2012 წელს დაიბეჭდა გაზეთ **„გალში“** და ეძღვნება გაზეთ **„გალის“** თანამშრომლებს, ყველას ვინც იღწვის დღეს აფხაზეთში მეგრული ენობრივი კულტურის განვითარებისათვის. გაგაცნობთ ამ ლექსს:

თქვარეთ ჩქინი და დო ჯიმა

(გაზეთ „გალიშ“ მოხანდეეფს)
თქვან ნაჭარემს ვკითხულენქ დო
მოკო თქვან გურს ინოჯინა,
თქვა ვარეთუ შხვაშიანი,
თქვა რეთ ჩქინი და დო ჯიმა.
ვორწყექ მუჭო ომინჯუთუ
ნანას ნინას მარგალურსუ,
მოჯგირეემს ახარენთ დო
ნტერემს უსოფუნთუ გურსუ.
ჩქინი ნერჩი ართი რე დო
ჩქი მიღუნა ართი ჯინჯი,
თქვა მელეშე, ჩქი მოლეშე
ოკო ქუგობდვათუ ხინჯი.
ჯვეშ აიაშ ხონარიე
მარგალური ნინა სქვამი,
ღორონთქ დღასუ ვამოლასას
ჯიმალობა ჩქინ დო თქვანი.

მე ამ ლექსით მოვეფერე ჩვენს ღვიძლ დებსა და ძმებს, გალში მცხოვრებ მეგრელებს, განსაკუთრებით გაზეთ „გალის“თანამშრომლებს, რომლებიც თავიანთ გაზეთში რუსულსა და აფხაზურთან ერთად მეგრულ ტექსტებსაც სისტემატურად აქვეყნებენ და ასე იბრძვიან თავიანთი **„მეობის“** გადასარჩენად აფხაზეთში. არ მესმის, რა შუაშია აქ **ლაზები**?

მე ამ ლექსში, როგორც გითხარით, გალში მცხოვრებ მეგრელებს ვეუბნები: **„ვორწყექ, მუჭო ომინჯუთუ ნანას ნინას მარგალურსუ“**, რასაც, ბუნებრივია ლაზებზე ვერ ვიტყოდი, რადგან:

მართალია, 10-15 საუკუნის წინათ მეგრული და ლაზური ენები სულაც არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან, მაგრამ შემდეგი საუკუნეების განმავლობაში ჯერ ბერძნულმა, შემდეგ თურქულმა გარემომ ისე შეცვალა ლაზთა მეტყველება, რომ დღეს მეგრული და ლაზური სხვადასხვა ენებია. მკითხველს ვთხოვ სწორად გამიგოს.

მე პოლიტიკოსი არა ვარ და აქ არაფერს ვამბობ გაზეთ **„გალის“** პოლიტიკურ შეხედულებებზე, მაგრამ ეს გაზეთი მომავალშიც თუ უფრო ხშირად დაუთმობს ადგილს მეგრული ფოლკლორის ნიმუშებს, ლექსებს, მოთხრობებს, ანდაზებს, წარმოაჩენს მეგრულენოვან ახალ ავტორებს, მე ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. პირიქით, მათ ამისთვის ჩვენგანაც თანადგომა და წახალისება სჭირდებათ.

მეც სწორედ ამიტომ შევიტანე ჩემს მიერ შედგენილ ზემოხსენებულ კრებულში გალში მოღვაწე პოეტის ნარგიზა ბასარიას ლექსი – **„ლიმაქ ოკო ვეყუას“**.

იმისათვის, რომ ლექსის შინაარსი ცნობილი გახდეს მეგრულის არმცოდნე პირთათვისაც, გთავაზობთ, მის თარგმანს ქართულად:

მიყვარს ჩემი აფხაზეთის
მოკაშკაშე მზე და მთვარე,
მიყვარს ჩემი აფხაზეთის
წყლები ლაღად მოწკანწკარე.
როგორც მიწას მზის სხივები
უალერსებს სიყვარულით,
მიყვარს ჩემი ოდაბადე
მასთანა ვარ მთელი გულით.
აღარ უნდა იყოს ომი
ქვეყანაზე არასოდეს,
ბრძენს ხალხს შვენის ყველაფერში
სიყვარული წინ უძღოდეს.

მე კარგად მახსოვს 2011 წლის 28 სექტემბერს ენგურის ხიდზე ქართველი და აფხაზი ენათმეცნიერების, საზოგადო მოღვაწეებისა და ჟურნალისტების შეხვედრა, რომელიც მიეძღვნა საქართველოსა და აფხაზეთის მეგრულენოვანი მოსახლეობის კულტურისა და მეგრული ენის განვითარებაზე მომუშავე კულტურული თანასაზოგადოების შექმნის საკითხებს.

მახსოვს ამ შეხვედრის შესახებ პრესაში დაბეჭდილი ინტერვიუც გაზეთ **„ილორის“** მთავარ რედაქტორთან, ბატონ როლანდ ჯალაღანიასთან, სადაც ბატონი როლანდი აღფრთოვანებით საუბრობდა იმ სითბოსა და სიყვარულზე, რაც აფხაზმა მასპინძლებმა გამოიჩინეს ქართული დელეგაციის მიმართ.

ცამდე მართალია ბატონი როლანდი როდესაც ბრძანებს, რომ სწორედ სამეგრელოა ის ძალა, რომელსაც შეუძლია შეინარჩუნოს ჩვენსა და აფხაზებს შორის ისტორიული მეგობრულ-ნათესაური ურთიერთობები.

მეც ამიტომ ვამბობ, მომავალში, **„მეგრული პოეზიის ანთოლოგიის“** ხელმეორედ გამოცემისას მეტი ადგილი უნდა დაეთმოს აფხაზეთში მოღვაწე ავტორებს, რომლებიც დღეს იქ მეგრულ ენაზე ქმნიან ნაწარმოებებს, წერენ ლექსებს, მოთხრობებს, მოიძიებენ და პოპულარიზაციას უწევენ ხალხური შემოქმედების ნიმუშებს.

დასასრულს მინდა ვთქვა, რომ, მიუხედავად შენიშვნებისა, **„მეგრული პოეზიის ანთოლოგია“** არის მაღალპროფესიულ დონეზე გამოცემული და, რაც მთავარია, საინტერესოდ შედგენილი უძვირფასესი წიგნი, რომელიც ყველა კოლხმა კაცმა უნდა შეიძინოს და წაიკითხოს.

კიდევ ერთხელ მადლობა გური ოტობაიას იმ დიდი ეროვნული საქმისათვის, რაც მან **„მეგრული პოეზიის ანთოლოგიის“** გამოცემით გააკეთა.

ფაუსტ ნადარაია

პოეზიის კუთხე

ჩქინი ცოდა უღუდას!

რინა ვემურს შურო ჯგირო,
ენა მუჭო იფულუ?
ხალხ გილეფაფ უმინჯურო,
დღალეფცალო ითირუ.
გინაღურა მუნაწის,
დამორჩილშა ვემიართ,
ჯვეშით ვადოფსკილადუნა,
იბჭუთ დაჩხირ-გენიათ.
ჩქინი ცოდა უღუდას
ეშმაკებს დო მოცილეფს...
ალბათ ღორონთ გომრჩქინანა
ინეფწკუმა მორკინეფს!
კოჩ კოჩიშო გერ რენ თენა
მითინიშო ახალ ვარე,
მარა ამდღა თიშნერს ვორწყექ,
ე წუთსოფელს ჯგირ ვამარე.
ვარა მუშ მენდ მიღუდან
თე "ხემანჯღვერეფიშ" ხეს?
სიტყვას სკვამს თქუანა მარა
საქმე შხვანერ მოყუნს ფერს;
თიჯგუემს ათმომქიმინანა,
ჯალეფს მახუმუანს ნერს!

გოკურცხ, ჯარგა!

ქიანა გვალო "მორძგვშე ვერთუნ"
ირ დღაშ რინას მიოხე.
შარას კოჩ ვეშერხვად
დონწყილ აზრიშ დინოხლე.
ჩქინ ზისხირ-ხორც შხვადო მეურს,
შხვადო წენს დო იფაჩუ,
აქ რენ ის, ბრელს ეშ ჭარ ვაჭ,
ფარას ხუშანს "იქვაჩუ".
ბორო მეტ ვარჩქილენ ფერ
ხორხუნს გილახენ თი ყას,
იშო ართ რე, თე ქიანას
მიდგაქ გოკონ, უმინჯას!
გოკურცხ ჯარგა! ვარა ქოძირ,
სკან ნახანდ შხვებს მეუღუდას,
უჩეფ, ჭიფე თოლამეფ
ართო გუგაფაფუდას!

ანონ ბირავა

სათრეველები სულწაწყმედილებზე

გაბერილთა „ეკლესია“

ეს ქარები ნეკრესია,
ჰგავს ტკივილის ხიჩინს,
თუკი არ სწამს ეკლესია
და საუბრობს ყინჩით.
არ სჯერა, რომ რეგრესია,
როცა ნემსებს იჩრის,
თუ „გასაბერ ეკლესიით“
იბერება „გირჩი“.

ამაოება ამაო?

დახურულ სასამართლო პროცესზე ღიად საკითხავი

რამ გაგაბრიყვა, მამაო,
ეშმამ, სკამმა თუ რამაო,
რომ დარჩა სხვათა მოზომვით
მაგ შენი დეკანოზობის
ამაოება ამაოდ?

ალექსანდრე შენგელია

ილორი
ერეკვნული თემა

ჯაბა ხუბუა: ბატონო თამაზ, მე თქვენი კვახჭირი მიყვარს! თქვენ ჩემი კოკი არ გყვარებიათ!

ბატონო თამაზ, მე თქვენი კვახჭირი მიყვარს! თქვენ ჩემი კოკი არ გყვარებიათ!

ღია წერილი „ლიტერატურული საქართველოს" მთავარ რედაქტორს, ბატონ თამაზ წივწივაძეს.
ძვირფასო ბატონო თამაზ!

მე და თქვენ, სულ ცოტა, 10-წლიანი კეთილი ურთიერთობა გვაკავშირებს ერთმანეთთან და ამ ხნის განმავლობაში, როგორც პრივატულ საუბრებში, ისე, გაზეთის ფურცლებიდანაც, არაერთხელ დამიდასტურებია თქვენთვის ჩემი ღრმა პატივისცემა. იცით, რომ თქვენი ერთგული მკითხველი ვარ და ყოველთვის სულმოუთქმელი ინტერესით ვეცნობი თქვენს პუბლიცისტიკას „ლიტერატურული საქართველოს" ფურცლებზე.

გამონაკლისი არც თქვენი გაზეთის უკანასკნელი ნომერი ყოფილა. (**„ლიტერატურული საქართველო"**, 2017 წლის 19 მაისი.)

წავიკითხე თქვენი ორივე პუბლიკაცია, რომელიც სააკაშვილის რეჟიმის მიერ **„ლიტერატურული საქართველოსათვის"** ოფისის წართმევასა და თბილისის ამჟამინდელ მერს დავით ნარმანიას ეხება.

ბატონო თამაზ, პირდაპირ გეტყვით – ჩემს ცხოვრებაში პირველად ვინანე თქვენი ნაკალმარის წაკითხვა!

თქვენი წერილის წაკითხვის შემდეგ ცხოვრებაში პირველად ვთქვი – **„ნეტავი, არ წამეკითხა!"**

ნეტავი, სულ არ ამეღო ხელში თქვენი გაზეთის უკანასკნელი ნომერი, ბატონო თამაზ!

ნეტავი, ეს ერთი კვირა **„ლიტერატურული საქართველოს"** გადაუფურცლავად გამეცდინა და ხომ ავცდებოდი იმ გულისტკენასა და შეურაცხყოფას, რაც თქვენი წერილის წაკითხვის შემდეგ მივიღე!

ბატონო თამაზ, მე თქვენ ის ადგილი გამილანძღეთ, სადაც დავიბადე, გავიზარდე და სადაც ჩემი ბავშვობის ნათელი დღეები ჰგიებს!

მე თქვენ ის ადგილი შემიგინეთ, ბატონო თამაზ, სადაც ჩემი უძვირფასესი ადამიანები – ჩემი მშობლები – დღემდე პირუთვნელად ეზიდებიან ცხოვრების მძიმე ჭაპანს და რუდუნებით მინახავენ ჩემი ბავშვობის სიმსუბუქითა და სურნელით გაჯერებულ გარემოს, რომელიც ჩემთვის წმინდათაწმინდაა!

დიახ, ბატონო თამაზ, თქვენ მე ჩემი მშობლიური სოფელი – კოკი გამილანძღეთ!

თქვენ, დავით ნარმანიაზე გაბრაზებულმა, ეს დაწერეთ:

„გააჩერეთ! ეს შობელძაღლი!.. სანამ თბილისი თავისი მშობლიური სოფლისთვის, კოკისთვის დაუმსგავსებია!.."

ბატონო თამაზ, თუ თქვენ დავით ნარმანიასთვის შეურაცხყოფის მიყენება გინდოდათ, ამისათვის ისიც საკმარისი იყო, მას **„შობელძაღლი"** რომ უწოდეთ!

დათო ნარმანია, ეს შინაგანი წესიერებითა და პატიოსნებით გამორჩეული ახალგაზრდა კაცი, ასეთ შეურაცხყოფას რამდენად იმსახურებს, ეს კიდევ ცალკე საკითხია და ამას აქ არ შევეხები.

მე დათოს ადვოკატობას არ ვაპირებ და არც მგონია, მას ეს სჭირდებოდეს!

ამ წერილის მიზანი ნარმანიას დაცვა არ არის, ბატონო თამაზ, უბრალოდ, გეკითხებით: ამ კაცმა ისეთი რა დაგიშავათ, რომ მისთვის **„შობელძაღლის"** დაძახებაც არ იკმარეთ და მშობლიური სოფლის გათახსირებაც დაუპირეთ?!

ბატონო თამაზ, ნუთუ თქვენს ერთ დროს ძალმოსილ კალმს ოპონენტთა **„გასანადგურებლად"** ახლა **„აკრძალული ხერხების"** გამოყენება სჭირდება და **„წელს ქვევით"** დარტყმებით ცდილობს ფონს გასვლას?!

ნარმანია გააჩერეთ, სანამ თბილისი კოკისთვის არ დაუმსგავსებიაო – წერთ თქვენ.

ე.ი. ნარმნია გააჩერეთ, სანამ თბილისი არ დაუმახინჯებია და **„გაუბანძებიაო"**!

ე.ი. კოკი თქვენთვის სიმახინჯისა და **„ბანძობის"** ეტალონია, ბატონო თამაზ?!

კი მაგრამ, რატომ ბატონო თამაზ?!

როდის იყავით თქვენ კოკში და როდის შეგიწუხათ გული იქაურობის **„სიმახინჯემ"?!**

როდის იყავით თქვენ ჩემს სოფელში და ჩემმა თანასოფლელებმა რა ისეთი შავი გული გაჩვენეს, რომ ასეთი განაჩენი გამოუტანეთ?!

გული მტკივა, ბატონო თამაზ, ძალიან მტკივა გული, თქვენგან რომ მესმის ეს, თორემ, რომელიმე ტვინგადაღეჭილ ნაციონალს რომ ეთქვა, არც გამიკვირდებოდა!

ამბობენ კიდეც ისინი ასეთ რამეებს, დავით ნარმანიას კოკელობას იქედნურად უსვამენ ხაზს და ამით, ვითომ, თბილისის მერის დაკნინებას ცდილობენ, მაგრამ იმაზე კი არ ფიქრობენ, სოფელს და იქ მაცხოვრებელ ადამიანებს რომ აყენებენ შეურაცყოფას!

დიახ, ნაცები აკეთებენ ამას და ამით, უპირველეს ყოვლისა, თავიანთ ქაჯობასა და პროვინციალიზმს უსვამენ ხაზს, მაგრამ თქვენ რაღა დაგემართათ, ბატონო თამაზ?!

თქვენც ხომ გვარამიას გაბუნია არა ხართ, დათო ნარმანიას მისი მშობლიური სოფლის გალანძღვითა და დაცინვით რომ ებრძვით?!

რა, ნამდვილად არ ხართ თქვენ გვარამიას გაბუნია და ამიტომაც მიკვირს თქვენგან, ბატონო თამაზ!

ბატონო თამაზ, თქვენ, თერჯოლის რაიონის სოფელ კვახჭირში დაბადებულმა და გაზრდილმა კაცმა, ისიც კარგად იცით, რომ ადამიანის წარმომავლობაზე აპელირება და **„სოფლელობაზე"** ხაზგასმა შეგნებულ და ცივილიზებულ საზოგადოებაში ცუდ ტონად ითვლება!

ღირსეული ადამიანები, ასეთ რამეს, როგორც წესი, არ კადრულობენ!

ღირსეული ადამიანები არც იმას კისრულობენ, რომ ერთი კაცის ბოღმით მთელი მისი სოფელი, ქალაქი ან ქვეყანა რომ გალანძღონ!

მე თქვენ სწორედ ღირსეულ კალმისკაცად გიცნობთ და სწორედ ამიტომ მიკვირს თქვენგან, ბატონო თამაზ!

სწორედ ამიტომ მწყინს და მტკივა თქვენგან, თორემ, ვიღაც მართლა შობელძაღლისგან არც გამიკვირდებოდა არც მეწყინებოდა!

აბა, დაფიქრდით, ბატონო თამაზ, თქვენმა რომელიმე ოპონენტმა თუ მტერმა თქვენს გამო თქვენი მშობლიური სოფელი კვახჭირი რომ გალანძღოს, როგორ მოგეწონებათ?

თქვენით უკმაყოფილო რომელიმე ადამიანმა თქვენს კვახჭირელობას, ანუ სოფლელობას რომ გაუსვას ხაზი, რა ჭკუაზე დადგებით?!

ზუსტად ვიცი, რომ უმძაფრესი რეაქცია გექნებათ, რადგან ისიც ზუსტად ვიცი, რომ თქვენი მშობლიური სოფელი ძალიან გიყვართ და ეთაყვანებით!

აბა, წარმოიდგინეთ ბატონო თამაზ, დავით ნარმანია კოკიდან კი არა, კვახჭირიდან რომ იყოს და ვინმემ დაწეროს: **„გააჩერეთ! ეს შობელძაღლი!.. სანამ თბილისი თავისი მშობლიური სოფლისთვის, კვახჭირისთვის არ დაუმსგავსებია!.."**

„შენ, ეი, ხელსუფლებავ! შეიძლება სოფლელი კაცი თბილისის მერად დანიშნო?!", – წერთ თქვენ!

დაიხ, ამას წერთ თქვენ, სოფელ კვახჭირში დაბადებული კაცი!

ალბათ, იტყვით – მერე რა, კვახჭირელი რომ ვარ, თბილისის მერი ხომ არა ვარო?!

ბატონო თამაზ, თქვენ თბილისის მერზე გაცილებით მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო თანამდებობა გეკავათ – საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ბრძანდებოდით!

მწერლობას კი ერის ცხოვრებაში მუნიციპალიტეტის მმართველ ორგანოზე გაცილებით დიდი როლი რომ აკისრია, ეს თქვენზე უკეთ ვინ იცის?!

ქართველ მწერალთა წინამძღოლობა რომ მერიის თანამშრომელთა წინამძღოლობაზე საპატიო და საპასუხისმგებლო საქმეა, ამას რა ლაპარაკი უნდა?!

ჰოდა, წარმოიდგინეთ, ბატონო თამაზ, ვინმეს რომ ეთქვა, ამ კვახჭირელ კაცს საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ რა უნდაო?!

თქვენი ძმაკაცი შევარდნაძისათვის რომ ვინმეს მიეწერა: **„შენ, ეი, ხელსუფლებავ! შეიძლება სოფლელი კაცი საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ დანიშნო?!"**

ანდა, ბატონო თამაზ, თქვენს ძმაკაცს შევარდნაძეზე რომ დაეწერა ვინმეს: **„გააჩერეთ! ეს შობელძაღლი!.. სანამ თბილისი თავისი მშობლიური სოფლისთვის, მამათისთვის დაუმსგავსებია!.."**

არადა, შევარდნაძემ, თავისი ხუნტამხედრიონით, თბილისი რომელიმე სოფელს დაამსგავსა კი არა, მთლად მოასოდომგომორა!

ბატონო თამაზ, მე თქვენი კვახჭირი მიყვარს!

თქვენ ჩემი კოკი არ გყვარებიათ!

მე საქართველო მიყვარს, თავის კვახჭირიან-კოკიანად!

თქვენ საქართველო კოკის გარეშე გიყვართ, როგორც ჩანს!

რას ვიზამ, რაც არ გიყვართ, იმას ძალით ვერ შეგაყვარებთ, მაგრამ ერთი თხოვნა მექნება თქვენთან – ამიერიდან, დავით ნარმანიას გალანძღვასა და შეურაცხყოფას თუ გადაწყვეტთ, ზედ ჩემს მშობლიურ და საყვარელ სოფელს ნუ მიაყოლებთ!

ბატონო თამაზ, სანამ ჩემი საყვარელი კოკის გალანძღვას დააპირებთ, თქვენი საყვარელი კვახჭირი გაიხესენეთ და ეგზიუპერის სიტყვები – ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ!

კოკი ჩემი ბავშვობაა!

ნუ შემიბღალავთ ბავშვობას!

პატივისცემითა და ქრისტესმიერი სიყვარულით

ჯაბა ხუბუა

ოვაშვილმა ძალზე მნიშვნელოვანი როლი მანდო – ვინ არის ირანელი მსახიობი, რომელმაც ზვიად გამსახურდიას როლი შეასრულა

"ჩემი ფილმი დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის ბოლო 50 დღეს შეეხება, თუმცა, ფილმში არ ვნახავთ დასასრულს. ჩვენ იქამდე მივიყვანთ ამბავს, რის მერეც მაყურებელი თავად გააგრძელებს მას.

მე ვყვები ლიდერზე, რომელიც კარგავს ძალაუფლებას და რჩება საკუთარ თავთან მარტო. ამას ნაპოლეონის მაგალითზე გავაკეთებ, სტალინის თუ სხვა ლიდერის მაგალითებზე, ჩემი გადასაწყვეტია... ეს არის ფილმი, სადაც პრობლემაზე ვსაუბრობ ზვიად გამსახურდიას მაგალითზე. ფილმში მას სახელსაც კი არავინ ეძახის. ის არის "ბატონი პრეზიდენტი".

ჩვენ არც ის გვაინტერესებს, მისი გარემოცვის თითოეულ წევრს რა ჰქვია, ჩვენ მოვლენის არსი გვაინტერესებს", – ეს ცნობილმა ქართველმა რეჟისორმა გიორგი ოვაშვილმა **"კვირის პალიტრასთან"** ინტერვიუში 2015 წელს, ჯერ კიდევ მაშინ განაცხადა, როდესაც ფილმის **"ხიბულა"** პროექტი მზად იყო და რეჟისორი და პროდიუსერები დაფინანსების მოძიებას ცდილობდნენ.

დღეს კი ფილმი უკვე დასრულებულია და მსოფლიო პრემიერას ელის.

"ხიბულა" ოვაშვილის კინოტრილოგიის დასასრულად მიიჩნევა, რომელშიც ასევე შედის: **"გაღმა ნაპირი"** და **"სიმინდის კუნძული"**. როგორც საზოგადოებისთვისაა ცნობილი, ოვაშვილის ფილმში აღწერილია ზვიად გამსახურდიას ცხოვრების ბოლო 50 დღე, რომელიც მშობლიური ქვეყნის მიუვალ მთებში გახიზნულმა გაატარა. პრეზიდენტი ძალაუფლების დაბრუნებას ცდილობს, თუმცა უხილავი მდევარი აიძულებს მას, თვითონ აირჩიოს გზა საკუთარი დასასრულისკენ. როგორც უკვე ვთქვით, **"ხიბულას"** სცენარს საფუძვლად უდევს 1991 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ქვეყანაში განვითარებული რეალური მოვლენები.

ფილმის გადაღებები ორი თვის განმავლობაში თბილისსა და დასავლეთ საქართველოში მიმდინარეობდა. სცენარის ავტორი ოვაშვილთან ერთად ჰოლანდიელი დრამატურგი როლაფ იან მინებოოა. ფილმი საქართველოს, საფრანგეთისა და გერმანიის ერთობლივი ნაწარმოებია, მასში მონაწილეობენ როგორც ქართველი, ისე უცხოელი მსახიობები.

გიორგი ოვაშვილი: "ხიბულას" მსოფლიო პრემიერა ივლისშია დაგეგმილი, საქართველოში კი ფილმის საპრემიერო ჩვენება სექტემბერში გაიმართება. ამ ეტაპზე სხვა რამის თქმა გამიჭირდება, მირჩევნია, ფილმზე ვრცლად მაშინ ვისაუბრო, როდესაც ფართო მაყურებელი ნახავს".

"ეს იქნება ისტორია, ზოგადად, ადამიანის მარტოობაზე, უფრო კონკრეტულად კი ეს არის ფილმი ძალაუფლებასა და ძალაუფლების დაკარგვაზე, სამყაროს შეცვლაზე, მათ შორის ჩვენში. იმის შესახებ, თუ, მაგალითად, როგორ ხდება ილუზორული სამყაროდან რეალურ სამყაროში გადასვლა, რომელსაც, ჩემი აზრით, ძალაუფლების იდეა მოაქვს. ასევე იმაზე, თუ რა ხდება ადამიანში, როცა ის ამ ძალაუფლებას კარგავს", – განაცხადა კინორეჟისორმა გიორგი ოვაშვილმა ერთერთ ადრეულ ინტერვიუში.

როგორც გავარკვიეთ, **"ხიბულას"** პრემიერა ჩეხეთში, კარლოვი ვარის კინოფესტივალზე გაიმართება, რომელზეც 2 ქართული სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმია წარმოდგენილი. ფესტივალი ჩეხეთში 30 ივნისიდან 8 ივლისის ჩათვლით გაიმართება.

ფესტივალის მთავარ კონკურსში სწორედ გიორგი ოვაშვილის ახალი ფილმი **"ხიბულა"** მონაწილეობს.

შეგახსენებთ, გიორგი ოვაშვილი კარლოვი ვარის კინოფესტივალზე 2014 წელსაც მონაწილეობდა და მისმა ფილმმა **"სიმინდის კუნძული"** კინოფესტივალის გრან პრი აიღო, მოგვიანებით კი თავად რეჟისორი კინოფესტივალის ჟიურის წევრად მიიწვიეს.

ჩვენი ინფორმაციით, საკმაოდ კარგა ხნის განმავლობაში ეძებდნენ მთავარი როლის შემსრულებელს. ერთი პერიოდი, მოლაპარაკება დანიელ მსახიობ მედს მიკელსენთან მიმდინარეობდა, რეჟისორი ამბობდა იმასაც, რომ ათამაშებდა ამ როლს ჟან რენოს...

საბოლოოდ როლზე ირანელი მსახიობი შეირჩა.

ვინ არის ჰუსეინ მაჰჯუბი?!

"რა თქმა უნდა, აქამდეც ვიცოდი, ვინ არის ზვიად გამსახურდია, მაგრამ მას შემდეგ, რაც მისი როლი შემომთავაზეს, მასზე ბევრი რამ წავიკითხე, ვნახე ბევრი ჩანაწერი და დოკუმენტური კადრი. გიორგი ოვაშვილმა ძალზე მნიშვნელოვანი როლი მანდო. გამსახურდია არა მარტო საქართველოს პრეზიდენტი, არამედ განდისა და სხვა დიდი მოღვაწის დონის მოაზროვნე იყო. სამწუხაროდ, ის თავისი დიდი იდეების განხორციელებას არ დაელოდა", – განაცხადა ფილმზე საუბრისას, ირანელმა მსახიობმა ჰუსეინ მახჯუბმა.

ის 1948 წლის 1-ლ აგვისტოს ირანში, რეშტში დაიბადა. თავდაპირველად უმაღლეს სასწავლებელში ლიტერატურას სწავლობდა, თუმცა მოგვიანებით, სხვადასხვა სამსახიობო კურსი გაიარა და 1968 წელს პირველად წარსდგა თეატრის მაყურებლის წინაშე და მას შემდეგ ინტენსიურად მონაწილეობდა სხვადასხვა თეატრალურ დადგმებში.

ირანში ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი 1984 წელს ფილმით **"ფაშატი"** გახდა, რის შემდეგაც, მსახიობი, რომელიც დრამის ერთ-ერთ საუკეთესო შემსრულებლად მიიჩნევა, სხვადასხვა ცნობილ ფილმში გადაიღეს. საყურადღებოა მსახიობის სარეჟისურო კარიერაც. მისი პირველი მოკლემეტრაჟიანი ფილმია **"სარკე"**, რომელიც 1979 წელს გადაიღო.

მაჰჯუბი სხვადასხვა კინოფესტივალის პრიზიორია. როგორც მამაკაცის როლის საუკეთესო შემსრულებელმა 5 ირანულ კინოფესტივალში გაიმარჯვა. ის მთავარ როლს ასრულებს ფილმში **"სამოთხის ფერი"**, რამაც როგორც ირანში, ასევე მის ფარგლებს გარეთ განსაკუთრებული წარმატება მოუტანა.

ეკა გაღლახბაძე

დიას წერილი ბატონ ალექსანდრე ჯაჯიას!

„არსაიდან ხმა, არსით ძახილი!..“
„მარად და ყველგან, საქართველოვ, მე
ვარ შენთანა!..“
ილია

წარსულისაგან, არის იმედი
მომავალისა!“
ლაიბნიცი

მოგესალმებით, ბატონო ალექსანდრე!

ის, რომ გადავწყვიტე წერილობით თქვენი შეწუხება, ეს ყოველივე განაპირობა დღეს საქართველოში არსებულმა უკიდურესად გაუსაძლისმა სოციალურ-პოლიტიკურმა ვითარებამ და იმედია კადნიერებაში არ ჩამითვლით! რის თქმასაც ვაპირებ, თქვენთვის ყოველივე არის ცნობილი და დღესავით ნათელი, მაგრამ ნათქვამია, **„გამეორება ცოდნის დედააო“**. როგორც დიდი ილია ბრძანებს, **„რა გითხრათ, რით გაგახაროთ“** – სამწუხაროდ, ეს ვითარებაა დღეს ჩვენს სამშობლოში. ქვეყანა მიიყვანეს უფსკრულის პირას და პატარა წკიპურტიდა აკლია ხრამში გადასაჩეხად! და ყოველივე ამის შემოქმედნი იყვნენ და არიან ყოფილი და ამჟამინდელი ვაიხელისუფალნი! დაწყებული იუდა შევარდნაძის მეორედ მოსვლისა საქართველოში, 1992 წლის 7 მარტიდან, გაგრძელებული მისი გაზრდილი, პირწავარდნილი ანტიქართველით და ანტიმართლმადიდებელი მიშა სააკაშვილით, თავისი ბანდით და დაგვირგვინებული დღევანდელი **„ხელისუფლებით“**, ბიძინა ივანიშვილის **„თამადობით“**! ქართველების მრავალ ბრძნულ გამონათქვამებში არის ერთი ასეთი: **„კარგ მთქმელს, კარგი გამგონე უნდაო“**. საუბედუროდ დღეს საქართველოში კარგი მთქმელები დაბლოკილნი არიან და ჩვენთან ძაღლების მაგივრად, კატები იყეფებიან, და ამიტომაც ვართ ამ უბედურ დღეში!

თქვენთან ჩაწერილი ინტერვიუები, ანდა თქვენი წერილები, ყველა არის დაფუძნებული წინასწარ განჭვრეტილ, ქვეყნისათვის საჭირბოროტო საკითხებზე, მაგრამ რად გინდა, ვინმემ მოგისმინათ, ან ყურად იღო? ყველა წერილში, რა საკითხზეც თქვენ საუბრობთ, იგრძნობა სამშობლოსადმი დიდი სიყვარული, რომელიც გადადის თემის აუსრულებლობის გამო, გამოხატულ ტკივილში!

ბატონო ალექსანდრე, დაწყებული 1956 წლის მარტის მოვლენებიდან დღემდე, არ გამომიტოვებია თბილისში მიმდინარე დიდი თუ პატარა მიტინგი. 1956 წლის მარტში, დიდი სტალინის ძეგლთან მიმდინარე აქციების დროს, თბილისში არ მომხდარა არცერთი დანაშაული! იქ, მრავალ გვირგვინთა შორის იყო ერთი დიდი და ლამაზი გვირგვინი წარწერით – „დიდ სტალინს, უღირსი შვილებისაგან“! 9 მარტს, როდესაც მიტინგის წამყვანმა გამოაცხადა, რომ დღეს არის მოლოტოვის დაბადების დღე და ამიტომ გადავწყვიტეთ, გავუგზავნოთ მისალოცი დეპეშა. შეიქმნა ჯგუფი, რომელსაც უნდა განეხორციელებინა დეპეშის გაგზავნა. ამ ჯგუფთან ერთად, კავშირგაბმულობის სამინისტროსაკენ წავედით უამრავი მოხალისე. როდესაც მსვლელობის წინა რიგი მიუახლოვდა რუსთაველის გამზირს, მე ამ დროს ვიყავი, დაახლოებით კაფე „მუხამბაზთან“, ბაღის მხარეს, ჯერ გაისმა კანტი-კუნტი სროლის ხმა. მერე იქ რაც მოხდა ყველამ კარგად იცის და ამიტომ დეტალებზე აღარ შევჩერდები. ერთს ვიტყვი მხოლოდ, რომ როდესაც გავეცალე იქაურობას და წამოვედი ლენინის მოედნისაკენ, მოვუახლოვდი სასტუმრო **„ინტურისტს“**, მთავრობის სახლის წინ მდგარი ორი ტანკიდა ჩვენსკენ, ხალხისკენ დაიწყეს სროლა, მე ამ დროს შემოხვევით აღმოვჩნდი **„ინტურისტის“** წინ არსებული ორი ხიდან ერთის უკან (ის ხეები ეხლაც იქ დგას!) და ამან გადამარჩინა სიკვდილს. ნეტავ არ გადავრჩენილიყავი და ჩემი შვილების უბედურებას არ მოვსწრებოდი! ამას ყოველივეს იმიტომ ვყვები, რომ ამდენი უბედურებების მიუხედავად, სამშობლოსადმი პასუხისმგებლობის გრძნობა არ გამნელებია! როგორც პოეტი ამბობს – **„სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი(!)“**, არ დამიკარგავს! მინდა ვკითხო დღევანდელ ვაი ხელისუფლებას, ასე თავგამოდებით, რომ ლანძღავენ მსოფლიოში ფაშიზმის დამმარცხებელ იოსებ სტალინს, ის რომ არ ყოფილიყო დღეს, რომელი მათგანი იქნებოდა მართვის სტრუქტურებში გაპარპაშებული და ფულის ტომრებზე წამოსკუპებული? ანდა, ივანიშვილს ექნებოდა თავისი მილიარდები და შეძლებდა ასწლოვანი ხეების წინ და უკან ტარებას?!

დღეს საქართველოში არსებული გაუსაძლისი სოციალურ-პოლიტიკური ვითარების გამო, პირდაპირი პასუხი უნდა მოვთხოვოთ ბ-ნ ივანიშვილს, და აი რატომ. 2011 წლის 7 ოქტომბერს იგი გამოვიდა ტელევიზიით და მიმართა საზოგადოებას, რომ გადაწყვიტა პოლიტიკაში ჩართვა! იმ დროისათვის ეს იყო მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნის ტოლფასი განცხადება! მან მაშინ ბრძანა, რომ პოლიტიკაში მოვდივარ იმიტომ, რომ ვიგრძენი სამშობლოს დაკარგვის საშიშროება! საქართველოში ყველა საღად მოაზროვნე ადამიანმა ყოველივე მიიღო, როგორც ქვეყნის გადარჩენისკენ გადადგმული ნაბიჯი და დაიწყო ხალხმა მისდამი ლოცვების აღვლენა! მაგრამ, ვაი რომ მწარედ შევცდით! შემდგომში მის მიერ გაკეთებული ყველა განცხადება გამოდგა ლიტონი! აქ არ დავიწყებ მის მიერ უხვად გაცემულ დაპირებებზე საუბარს! ეს ყოველივე საზოგადოებისათვის ნათელია! მაგრამ მე მინდა მივმართო მას კითხვით: ბატონო ბიძინა თქვენ ვინ და რის საფუძველზე მოგცათ უფლება კანონზე მაღლა დადგომის? როდესაც იყავით საქართველოს პრემიერ-მინისტრი, თანამდებობით ყველაზე მაღლა მდგომი, თქვენ, არაფერს ვამბობ თქვენს მიერ დაპირებულ სამართლიანობის არ აღდგენასა და მრავალი სხვაზე, რატომ არ მოსთხოვეთ პასუხი დ. ბაქრაძეს, მის მიერ ბიუჯეტის სახსრების თავისი ოჯახის წევრებისათვის მობილური ტელეფონებით სარგებლობისათვის? თქვენი განცხადება იყო ის, რომ ბოკერიამ, უშიშროების საბჭოს მდივნად მუშაობის დროს გაურკვეველ ვითარებაში დახარჯა 60 მლნ (!?) ლარი! რატომ არ გაარკვიეთ სად წავიდა დასახელებული თანხა? ანდა, საქართველოს ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტის მიერ ჩადენილი რიგი დანაშაულებების (თუ რომლებიც, ეს თქვენ უკეთ იცით!) გამო არ მოსთხოვეთ ასევე პასუხი? მაშინ, თქვენ განაცხადეთ, რომ მისი დაუსჯელობა განაპირობა მსოფლიო ბანკიდან (?!) თხოვნამ! არ შეიძლება არ არ შეგახსენოთ თქვენს მიერ, 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისათვის ჰაი-ჰარად, უპრაგონოდ, დეპუტატობის კანდიდატებად დასახელება მიცვალებული პარტიების წევრებისა, როგორებიც იყვნენ – „რესპუბლიკური“ პარტია, „ახალი მემარჯვენეები“, „კონსერვატორები“ და ბევრი სხვა მოპარტიო სუბიექტები. აქვე უხვად აიკიდეთ საზღვარგარეთიდან დაფინანსებული (ალბათ საქართველოს საკეთილდღეოდ(?), არა?) **ასო**-ები! სასტიკი შეცდომა დაუშვით, ალბათ უვიცობის და გამოუცდელობის ბრალია ის, რომ თანამდებობებზე მოიყვანეთ ყველა უვიცი და გზა აბნეული! და რაც ყველაზე მთავარია, ყველა ვინც მოიყვანეთ ხელისუფლებაში, გაჟღენთილები არიან საქართველოსა და ქართველობის სიძულვილით! აქ არ დავიწყებ მათ ჩამოთვლას, ვინაიდან დიდ დროს წაიღებს, და ისინი ამდენი ყურადღები ღირსნი ნამდვილად არ არიან! საინტერესოა, რომელმა ჩვენი ცოდვით სავსემ მოგცათ ის **„ბრძნული“** რჩევა, რომ ჯერ პირად მრჩევლად აიყვანეთ სოროსის ძუძუნაწოვი თამარ ჩუგოშვილი და მერე პარლამენტში შეჩურთეთ სხვა უვარგისებთან ერთად. ნეტავ რა რჩევებს გაძლევდათ? მაგის და სხვა მაგისთანების რჩევების ბრალია, საქართველო ამ დღეში რომ არის! ისე, როგორც ვატყობ ჭკვიანი ადამიანის მოსმენა დიდად არ გიყვართ! ებრაელებს ჰქონიათ ასეთი გამოთქმა: **„შენი არ იცოდე და სხვისი არ შეგესმინოსო“!** და კიდევ ერთი. თქვენგან, ნაცებთან ერთად შერისხულ დიდ პიროვნებას, მსოფლიოში, ყველა დროის დიდ პოლიტიკოსს და მხედართმთავრის, იოსებ ბესარიონის ძე სტალინს აქვს ნათქვამი: **„რომ აშენო უნდა იცოდე, რომ იცოდე უნდა ისწავლო“! „სწავლა სიბერემდეო“**. ესეც ჭკვიან კაცს აქვს ნათქვამი! ასე, რომ ივანიშვილის მიმართ სასაყვედურო ძალზე ბევრია! ზოგიერთები ერიდებიან თქმას. ალბათ მისგან არიან რადაცით დავალებულნი და ამიტომ(?)! ნათქვამია: **„კარგის გაკეთებისთვის გმადლობთ, ხოლო ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხი აგე!“** მოდით აქ დავსვათ წერტილი, დროებით! ბატონო ბიძინა, იცით, რომ სიყვარულსა და სიძულვილს შორის, ერთი ნაბიჯია? თქვენ, სიყვარულიდან სიძულვილამდე, ეს ერთი ნაბიჯი უცებ გადადგით!

ბატონო ალექსანდრე, ზემოთ ვთქვი და კიდევ გავიმეორებ. ყოველივე ჩემს მიერ თქმული, თქვენთვის არის დღესავით ნათელი. ვინაიდან საქართველო თითქმის დაღუპულია, ამიტომ მინდა მოგმართოთ თხოვნით, თქვენ საქართველოს კეთილდღეობისათვის დამაშვრალ ადამიანს ძალგიძთ და ხელგეწიფებათ ის, რომ შემოიკრიბოთ თქვენსავით სამშობლოს მოყვარული ადამიანები და დაიწყოთ მისი ამ მდგომარეობიდან გამოყვანისათვის ბრძოლა, ყველა სახით! თქვენი ხმალი და ჩვენი კისერი! ჩემისთანა რიგითი ჯარისკაცები მრავლად მოიძებნებიან! უმორჩილესად გთხოვთ, უსაშველეთ საქართველოს! თუ როგორ მოახერხებთ, ეს თქვენ არ გესწავლებათ!

ჩემი უსტარი მინდა დავამთავრო დიდი ვაჟას სიტყვებით:

„ამბობენ: შააძლებინა სნეულსო ფეხზე დადგომა; ეღირსებაო ლუხუმსა ლაშარის გორზე შადგომა!“

ამინ!

გფარავდეთ მამაზეციერი და დედა ღვთის მშობელი, საქართველოს საკეთილდღეოდ!

პატივისცემით და კეთილი სურვილებით,

ანზორი დანელია

ძვირფასებო...

ასე მგონია, რომ ერთმანეთისადმი სიყვარულის და სოლიდარობის გარეშე ადამიანები ვერ გაბედნიერდებიან. ღვთის ხატად შექმნილი თითოეული ადამიანი უნდა შეეხიდოთ ერთმანეთს და შეეუმსუბუქოთ ამქვეყნიური ყოფა. თუ ასე არ მოვიქცევით, რაც არ უნდა ვიქადაგოთ ჩვენ, მერწმუნეთ, რომ ფარისევლობაა ეს და სხვა არაფერი. პირადულის პრიორიტეტულობის უარყოფა და საზოგადოების კეთილდღეობისათვის უშურველი, უანგარო გარჯა უნდა იყოს ყველაზე დიდი სიქველე ამქვეყნად. საზოგადოებრივი პრობლემატიკის გაცნობიერებაში და მისი აღმოფხვრისათვის გარჯაში უნდა ვიპოვოთ ამ საუთროში საკუთარი არსებობის გამართლებაც. თუ მოყვასი მწყურვალია და მშიერი; თუ მოყვასი ამა ქვეყნის ბობოლათა მიერ უსულგულოდ მოსროლილია ასოციალურობის გუბეჭაობში, მაშინ, თუ ადამიანი ხარ და თანაც ქრისტიანი – შეუძლებელია არ გაგიჩნდეს მის მიმართ სიბრალულის განცდა და დახმარების ხელის გაწვდენის სურვილიც. თვითონ არ ვიკლებდეთ ამ ქვეყნიურ სიამეს და სხვას მუდმივად ვუჩიჩინებდეთ საიქიო, ზეციურ და მარადიულ ბედნიერებაზე – ურცხვობა მგონია და ზეციერის ღვთაებრივი ნების საწინააღმდეგო მკრეხელობაც...

მესმის, რომ სურვილის შემთხვევაშიც კი, ყველას როდი ძალგვიძს მძიმე ჯვარი ვატაროთ. რთულია ეს და ნურავინ, ნურც მე და ნურც სხვა ვინმე ნუ დავიჩემებთ მაინცდამაინც მე ვარ სწორედ ასეთი წმინდანი თუ ანგელოზიო. არავინ იცის ნებისმიერი ჩვენთაგანი ბელზებელის მზაკვრობით ნებსით თუ უნებლიედ სად და როდის შეიძლება ვცდუნდეთ, სული წაგვიბილწდეს და ფეხიც დაგვიცდეს... ხომ გაგიგიათ: **„მრავალნი არიან მოწოდებულ, მცირედნი რჩეულ“...** მაგრამ ერთიცაა: უნდა მოვინდომოთ, უნდა შევეცადოთ ვიცხოვროთ ისე, როგორც ეს, ჩვენთვის ჯვარცმულის მიმდევართ გვეკადრება და შეგვეფერება... შემდეგ, შემდეგ კი, ვიქონიოთ იმედი, რომ უფალიც შეგვეწევა...

აი, ამის თქმა მომინდა თქვენთვის და ბოდიშს გიხდით, თუ მაინცდაინც არ იყო ეს ვინმესთვის მთლად სასიამოვნო...

ზურაბ კვარაცხელია

ომარი სულაქველიძის გახსენება

23 ივნისს, 80 წელი შეუსრულდებოდა შესანიშნავ მოქალაქეს და თავისი დარგის უბადლო სპეციალისტს, ომარ სულაქველიძეს! 2016 წლის 18 მაისს მოულოდნელად შეწყდა მისი გულის ცემა, იმ გულის, რომელიც მუდამ ძგერდა სამშობლოსა და მოყვასის საკეთილდღეოდ! როგორი კარგი ადამიანიც იყო, სიკვდილიც (თუ შეიძლება ასე ითქვას), ასეთივე კარგი ერგო! დაწვა და ვეღარ შეძლო ადგომა, ისე განუტევა სული!

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის, სამშენებლო ფაკულტეტის დამთავრების, თბოაირმომარაგებისა და ვენტილაციის სპეციალობით, სადაც კი იმოღვაწა, ყველგან დატოვა კვალი ნათელი. მისი ნამოღვაწარიდან ბოლო ნამუშევარი იყო წმინდა სამების საკათედრო ტაძარი, რისთვისაც მიღებული ჰქონდა პატრიარქის ჯილდო და საპატიო სიგელი! იგი იყო დიდი ბუნების ადამიანი. მუდამ იყო იმის ცდაში, ვისთვის რა სიკეთე გაეკეთებინა და ესიამოვნებინა. უზომოდ იყო სამშობლოზე შეყვარებული. მისი წყლული ყოველთვის აჩნდა წყლულად!

დიდია მისი მონატრებით გამოწვეული ტკივილი!

მერაბ კოსტავა – ეროვნული გმირი

26 მაისი ქართველი დისიდენტის, საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ლიდერის, საზოგადო მოღვაწის, მუსიკისმცოდნე და პოეტის, საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას დაბადების დღეა. ამავე დროს 26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეცაა, რიგით 26-ე წლისთავი იზეიმა ქართველმა ხალხმა.

მერაბ კოსტავა იყო ნამდვილი მამულიშვილი, სამშობლოზე და თავის ხალხზე უზომოდ შეყვარებული.

საოცარი იყო მერაბ კოსტავას ცხოვრება და მოღვაწეობა, ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლემ, ფეხი შედგა ერის თავისუფლებისათვის ბრძოლაში. სრულიად ახალგაზრდას ციხეშიც მოუწია ჯდომამ, თუმცა ამან ვერ გატეხა მისი მეამბოხე სული. სამოცდაათიანი წლების, ეგრეთწოდებულ უძრაობის წლებში, როდესაც ბევრი ჩვენთაგანი თავის ნაჭუჭში იყო ჩაკეტილი და მხოლოდ ამქვეყნიურ კეთილდღეობაზე ზრუნავდა, მერაბი მაშინ ერის ტკივილებით ცხოვრობდა.

მერაბმა და ზვიადმა გადაწყვიტეს ერთად ებრძოლათ სამშობლოს გასათავისუფლებლად, დევიზით: **„სჯობს მონობაში გადიდკაცებულს, თავისუფლების ძებნაში მკვდარი“**. ამის გამო მათ გოლგოთის გზის გავლა მოუხდათ და ხშირად აპატიმრებდნენ, თუმცა ციხიდან ყოველთვის გაუტეხელნი ბრუნდებოდნენ. ორივეს გამორჩეული ხვედრი არგუნა განგებამ, მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი ქართული მიწა ჩვენო ომარ!

ოჯახისა და სამეგობროს სახელით

ანზორ დანელია

„ბრძენი“ ... ?

ეს ამბავი ... ?

ბიჭიკო თუნთია,
ქ. სენაკი

პრემიერ გ. კვირიკაშვილის ქოცნება და ქართველი ხალხის ოცნება შეუთავსებელია

ამერიკის პრეზიდენტთან – დ. ტრამპთან შეხვედრით აღფრთოვანებული პრემიერი გ. კვირიკაშვილი ქართველ ხალხს მიმართავს: **„ჩვენ მივიღეთ მყარი გარანტიები აშშ-სთან პარტნიორობის გაღრმავების. 25 წლის მანძილზე ასე იყო და მომავალი 25 წლის განმავლობაში შევძლებთ რომ კიდევ უფრო მჭიდრო პარტნიორობა შევქმნათ აშშ-სთან“** – ამაყად და თავმომწონედ აცხადებს პრემიერი თავისი ოცნების შესახებ, რითაც ქართველ ხალხს იდეოლოგიურად უპირისპირდება. ეს ნიშნავს, რომ კიდევ 25 წელი უნდა გაგრძელდეს ამერიკისადმი მონური მორჩილება, ქართველებისათვის ღირსების შემლახველი ყოფა და ლიბერასტების მიერ **„მემკვიდრეობით“** მიღებული ქართული მიწების უცხოელებზე გაყიდვა თუ თურქეთისათვის გადაცემა; ეს ნიშნავს, რომ თუ დღემდე 2 მილიონით შემცირდა საქართველოს მოსახლეობა, 25 წლის შემდეგ იმ ნიშნულს მიაღწევს, როცა ჩვენმა ეროვნულმა გმირმა – მეფე ერეკლემ და ქართველმა ხალხმა 600.000 ქართველისა და ქვეყნის გადასარჩენად გონების თვალსაწიერი რუსეთისაკენ მიმართეს; 25 წელი უნდა გაგრძელდეს არაბების, ინდოელებისა თუ ჩინელების სოფლების მშენებლობა, ეროვნული მენტალიტეტის ნგრევა და ახალგაზრდების გადინება ქვეყნიდან. როგორ ფიქრობთ, 25 წლის შემდეგ ამ ღვთისგან ნაბოძებ ქვეყანას კვლავ საქართველო ერქმევა? ეს რეგრესი შევარდნაძე-სააკაშვილმა მოუვლინა ქვეყანას, რომელიც კვირიკაშვილმა „პროგრესად“ მონათლა. ეს ის ხელისუფლება არ არის პატრიოტიზმი სისხლს რომ აუჩქროლებს, ქვეყანას და ქართველ კაცს ღირსებას რომ დაუბრუნებს. ეს ის ხელისუფლებაა ფეხქვეშ რომ გაეგება უცხო ძალებს და ისტორიულ მტერს მეგობრად წარმოაჩენს. დიახ, საქართველოს პრემიერს ეამაყება მსოფლიოს №1 ტერორისტი ქვეყნის პრეზიდენტმა დამამცირებელი შეხვედრის პატივი რომ დასდო! ამ შეხვედრამ შუა საუკუნეების აღმოსავლეთის მბრძანებლები გამახსენა, როცა მოხეტიალე დერვიშები შაჰისგან ნაბოძებ მცირე ნასუფრალსაც დიდ პატივად მიიჩნევდნენ.

ხელისუფლების მხრიდან მსგავს განცხადებებს მოჰყვა ნატოს საპარლამენტო ასამბლეის თბილისში გამართვა და არავინ ფიქრობს ამ პროვოკაციულ ნაბიჯს რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს რუსეთის მხრიდან, რომელიც თავისი ქვეყნის უსაფრთხოებას იცავს. რაც მეტ პროვოკაციულ ნაბიჯს გადადგამს საქართველო, მოახლოვდება ის დრო, როცა რუსეთიც გადადგამს გადამწყვეტ ნაბიჯს ამ მიმართულებით, მაგრამ მსხვერპლი, რომელიც ამ ნაბიჯს მოჰყვება, ჩვენი ხელისუფლების კისერზე იქნება. რუსი პოლიტოლოგი – ალ. დუგინი უკვე ღიად აცხადებს: თუ საქართველოს ოკუპაცია მოგვიწევს, ეს უნდა გავაკეთოთო. ამ გარემოებების ფონზე ქართველი ლიბერასტები კიდევ უფრო ამძიმებენ პილიტიკურ ფონს: – საქართველო თუ გადარჩა და დამოუკიდებლები ვართ, ეს ამერიკის შეერთებულ შტატებთან პარტნიორობამ განაპირობა – აცხადებს ამერიკის დღეებისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე ზურაბ აბაშიძე. ჩვენ არც დამოუკიდებლები ვართ და ვერც გადარჩენას დავარქმევ მოსახლეობის კატასტროფულ შემცირებას ქვეყანაში, რაც ევროპული გზის დამსახურებაა და არა რუსული საფრთხეების:

– საშიში მტრისგან – როგორც რუსეთია, უნდა დავიცვათ ქვეყანა (ვ. მაისაია);

– ქართული პოლიტიკა რუსეთის აგენტებისაგან სრულიად უნდა გაიწმინდოს (ზაალ კასრელიშვილი). როგორც ჩანს, რუსეთისადმი დამოკიდებულება პათოლოგიურ ფსიქოზში გადაიზარდა და თუ იუმორით მივუდგებით, ჯეჯელავას სინდრომით არიან შეპყრობილნი – ვის კომბალი აშინებს, ვის – საფრთხე რუსეთიდან. ხელისუფლების ბრიყვული პოლიტიკის მიუხედავად, ჩვენთან სირია ან ლიბია რომ არ განმეორდა, ამასაც რუსეთს უნდა ვუმადლოდეთ.

ამერიკა მზაკვრულად მხარს უჭერს ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას და აფხაზეთში, შავი ზღვის სანაპიროზე თავისი გავლენის გავრცელებაზე ოცნებობს, რათა რუსეთს უფრო მიუახლოვდეს. პატრიოტული სულისკეთებისაგან დაცლილი, ფულზე და თანამდებობებზე ორიენტირებული ლიბერასტული ხელისუფლება ამერიკას თავისი ინტერესების გაფართოებაში ეხმარება, რაც ქართველი ხალხის ოცნებასთან შეუთავსებელია. განა როგორ უნდა გაამწარო შენი ამომრჩეველი, რომ ნაცკრიმინალების აქციაზე მივიდეს? ეს, რა თქმა უნდა, ქართველების არაპატრიოტიზმზეც და პოლიტიკურ გაუნათლებლობაზეც მეტყველებს. თუ ადრე მუსულმანი სახელმწიფოების გავლენას განიცდიდა საქართველო და ქართველები ფიზიკურად იღუპებოდნენ, ახლა გადარჩენისთვის გარბიან საქართველოდან და მონად ემსახურებიან უცხოელებს. ამავე დროს სულიერ ღირებულებებს ვკარგავთ, ხელისუფლება მიწებს გვიყიდის, რაც ქართველების სრული გადაშენების წინაპირობაა. ვეღარ უნდა მივხვდეთ, რომ სამშობლოს ვკარგავთ, ჩვენს სულიერებას, ეროვნულ ღირებულებებს ებრძვიან და ჩვენი იდენტობის გაქრობა უნდათ ამ ქვეყნიდან შავბნელ ძალებს?! ვინ ვართ ჩვენ, მზაკვრობით მოსულ შენიღბულ მტერს ფეხქვეშ რომ ვეგებით? ვინ ვართ ჩვენ, ქვეყნისთვის სასურველი საგარეო კურსი რომ ვერ გაგვიტარებია ჩვენი მენტალობის გადასარჩენად?! – **„ესენი ევროპისკენ კი არა, ფულისკენ მიდიან, ლამის მთელი საქართველო ჯიბეში ჩაიდონ. კომუნალური გადასახადი მომსახურების დანამატის გარეშე რომ გადავიხადო დიდი მანძილის გავლა მიწევს, ხოლო ხელფასი მინიმუმზე ნალები მაქვს“** – მესაუბრება ექიმი-ინფექციონისტი ქალბატონი. რისთვის გვახდევინებენ მომსახურების გადასახადს ყაჩაღი ბანკირები, ბანკის თანამშრომელთა ხელფასებიც ხალხის ჯიბიდან რომ დაფარონ? დღეს ფული სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილად იქცა და ქველმოქმედი – ბ. ივანიშვილის პოლიტიკაში ჩართვა – ანეკდოტების თემად: ორი ახალგაზრდა ერთმანეთს ეჯიბრება ნატვრაში, – ნეტა ივანიშვილი მამაჩემი იყოსო. ხანდაზმული მამაკაცი მოუტრიალდა და უთხრა: ბიძიკოებო, თქვენ ფული გდომებიათ, თორემ თქვენს დედებს მეც მოვიკითხავდიო. ქართველმა ხალხმა ღიად უნა შეძლოს თავისი პოზიციის გამოხატვა ქვეყნის საგარეო კურსთან მიმართებაში. ი. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტი, რომელიც სრულიად ეთანხმება საგარეო ვექტორის შეცვლას, თავისი ვინაობის ღიად დაფიქსირებისაგან თავს იკავებს: მე ახლა გავდივარ ცხოვრების ასპარეზზე და არ მინდა პრობლემები შემექმნასო. მსგავსი თავშეკავება არაერთმა ზრდასრულმა პიროვნებამ გამოავლინა. როგორც ჩანს, ქართული საზოგადოების ნაწილი კვლავ სააკაშვილის რეჟიმის მმართველობის ტყვეობაშია და თავისუფალი აზრის გახმოვანებას უფრთხიან. ჩემო ძვირფასებო, მაშ როგორ გავაგებინოთ ამ ხელისუფლებას, რომ მათ მიერ არჩეულ ევროპულ კურსს მხარს არ ვუჭერთ? პრემიერის ოცნების ასრულებას შევუწყოთ ხელი და მუდმივ მონობაში ვიცხოვროთ?

პოლიტოლოგმა ვ. კვარაცხელიამ თავის საავტორო გადაცემაში წარმოგვიდგინა კადრი, როგორი შემართებით და ემოციით უმღერის 4 წლის რუსი ეროვნების ბიჭი ფაშიზმზე გამარჯვების დღეს – 9 მაისს. სიმღერის ბოლოს კი განმარტავს: **„დედამ მითხრა, ისე იმღერე, რომ მთელი ხალხი აღდგეს!“** ამ სიმღერამ ცხადი გახადა რა იდეოლოგიით იზრდებოდნენ და იზრდებიან დღეს თაობები რუსეთში, რამაც დიდი ტიციანის ლექსიდან ერთი ბწკარედი გამახსენა: **„რა მოკლავს ასეთ ქვეყანას“?** დიახ, ასეთ ქვეყანას **„მოვა სიკვდილი შეხედავს და შერცხვენილი გაიარს“,** როგორც ეს არაერთხელ მომხდარა და არამცთუ შერცხვენილი, სიკვდილი თავად კვდება და ნადგურდება პატრიოტული სულისკვეთების წინაშე. გამოგიტყდებით, მშურს იმ ქვეყნის, რომელიც ასეთი იდეოლოგიით იმართება, მაგრამ ჩვენი გაუნათლებელი განათლების მინისტრი, რომელმაც შ. რუსთაველის აფორიზმებიც არ იცის ამ იდეოლოგიას ვერ დაამკვიდრებს. ალ. ჯეჯელავამ სტუდენტებს გრანტით დაფინანსების ვადები შეუზღუდა, ხოლო სკოლებისათვის მაღალი და დაბალი კვალიფიკაციის მინიჭებაც დააანონსა. ამ **„ინოვაციით“** ვისარგებლებ და ხელისუფლების წარმომადგენლებს (სიძულვილის ენით საუბარში რომ არ ჩამითვალონ) ბგერით კვალიფიკაციას მივანიჭებ. მგალითად, ალ. ჯეჯელავა **„ჭ“** კვალიფიკაციის მქონე პოლიტიკოსია, დანარჩენი – მკითხველის გემოვნებისთვის მიმინდვია. სტუდენტებისათვის ლექციების გაცდენა და მუშაობა ოფიციალურად არის დაშვებული, რაც მხოლოდ სწავლის საფასურის გადახდისკენ არის მიმართული და არა ცოდნის შეძენისკენ. არავინ ფიქრობს სტუდენტების ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე, როცა დღეში 2 გამოცდას უნიშნავენ. ასეთი განათლების სისტემა შეგნებულად შექმნეს, რათა სულიერი განვითარება ვერ მიიღონ და არ იაზროვნონ, მსოფლიო პოლიტიკა კი ცვლილებებს ითხოვს და საქართველოს ხელისუფლებამ თვალსაწიერი უნდა გააფართოვოს. ბელორუსმა უფასო განათლებისა და ჯანმრთელობის სისტემა შეინარჩუნა, საქართველოში კი დღემდე გრძელდება ჯანმრთელობის ობიექტების „პრივატიზაციის“ პროცესი, რაც პროფესიონალი ექიმის მომსახურების ფასებსაც ზრდის. ადრეულ წლებში გასხვისებას გადარჩენილი ერთადერთი პოლიკლინიკა (№3 სამკურნალო ცენტრი, 70-იან წლებში რუსი კარდიოლოგის – ევგენი ჩაზოვის ინიციატივით და ძალისხმევით აშენდა), რომელიც პროფესიონალი ექიმებითაა დაკომპლექტებული და სანიმუშო-საჩვენებელ ობიექტად ითვლებოდა, დღეს იყიდება. მიუხედავად ექიმებისა და პაციენტების ძალისხმევისა, ამ დაწესებულებას არ აღირსეს გარემონტება, რათა მომსახურე პერსონალს ელემენტარული პირობები შეუქმნან. სამაგიეროდ ხელისუფლება თავისი ფუფუნებისთვის მილიონების ხარჯვას არ ერიდება.

ყურადსაღებია, რომ იტალია, რომელიც შეუერთდა ევროკავშირის მიერ დაწესებულ სანქციებს, პოლიტიკას ცვლის და რუსეთთან ერთად შავი ზღვის აუზში ენერგორესურსების მოპოვებას აანონსებს. ხელისუფლება ანალიზს არ აკეთებს მოლდოვას პრეზიდენტის – იგორ დოდონის გადაწყვეტილებაზე ევრაზიულ კავშირში დამკვირვებლის სტატუსის მოპოვებასა და ნატოში გაერთიანებაზე უარის თქმის შესახებ. ამ გადაწყვეტილებისთვის ეს ქვეყანა არავის აუფუთქებია და თუ აგრესიას განახორციელებენ რუსეთი მას დაიცავს. ამიტომ დიპლომატიური პოლიტიკაა საჭირო, რათა ქვეყნისთვის სასარგებლო გადაწყვეტილება მივიღოთ. თუ ადრე გარე ძალები უქმნიდნენ საფრთხეს ჩვენს სამშობლოს, ახლა თავად ქართველები ახორციელებენ ქვეყნისთვის მავნებელ პოლიტიკას. ხელისუფლებას მძლავრი იარაღი აქვს ხალხის წინააღმდეგ: ტყუილი დაპირებები, რომლისაც თავადაც არ სჯერათ და დასავლეთიდან მიღებული ფინანსები, რის გამოც ანგარიშვალდებულად თავს დასავლელი პატრონების წინაშე თვლიან და არა ქართველი ხალხის.

– **„საქართველო აქციეს ტერორისტების, ნარკოტიკების, კრიმინალურ დაჯგუფებათა სატრანზიტო დერეფნად“** – გვესაუბრება თავის ინტერვიუში ამერიკელი მკვლევარი და ჟურნალისტი ჯეფრი სილვერმანი – აი, ეს გახლავთ შედეგი იმ ერთობლივი პროექტისა, რომელიც განახორციელეს საქართველოს წინააღმდეგ ქვეყნის შინაურმა და გარეულმა მტრებმა. ოპოზიციური პარტიები, რომელნიც დღეს მმართველ პარტიას უპირისპირდებიან და თავიანთი „ეროვნულობით“ სპეკულირებენ, მხოლოდ ქულების ჩაწერაზე არიან ორიენტირებულნი და არა საგარეო ვექტორის შეცვლაზე. ყველა დასავლელი პატრონების კეთილგანწყობის მოპოვებას ცდილობს მომავალი ფინანსური კეთილდღეობის იმედად. ნაცებთან მებრძოლი **„რაინდი“** ი. ინაშვილი ქართველთა მაგინებელი პრეზიდენტის ლობისტადაც მოგვევლინა: – **„ზოგჯერ არასამთავრობოებსაც, (ქართული იდეოლოგიის მტრებს – ი.თ.), ზოგჯერ პრეზიდენტსაც უნდა დაუჯეროთ, ის ხომ ხალხმა აირჩია“ (?!)** – მიმართავს იგი ხელისუფლების წარმომადგენლებს. სწორედ ხალხის არჩეულმა ხელისუფლებამ საკუთარი ხალხი გაწირა და ახლა კომუნალური გადასახადების გაზრდას აანონსებს. ამ ხელისუფლებას ხალხისთვის სოციალური ფონის გაუმჯობესებას ლიბერასტ-პედერასტი მომღერლების უკანალის დანახვა და მათთვის მილიონების გადახდა ურჩევნია. საქართველოს თითქმის მთელ პოლიტიკურ სპექტრს ერთი იდეა აერთიანებს – ამერიკული ოცნება და ერთმანეთს მხოლოდ პირველობისთვის ექიშპებიან. დაბოლოს რიტორიკულ შეკითხვას დავსვამ: **„ამერიკულ ოცნებას – რაა?“** პასუხი სააკაშვილის რეჟიმის მმართველობის პერიოდიდან ქართველ ხალხს კარგად ახსოვს.

ქოცებო! ნაცობა გირჩევნიათ თუ კაცობა?!

იზა თამაზაშვილი

„გამზრდელი“ აფხაზურად – სენაკელი მოსწავლეების წარმოდგენა სკოლაში

„აფხაზეთობის“ დღესასწაულთან დაკავშირებით, სენაკში მოქმედი აფხაზეთის თემურ ბოკუჩავას სახელობის საჯარო სკოლაში სპექტაკლის ჩვენება მოეწყო. მე-10 და მე-11 კლასის მოსწავლეებმა აკაკი წერეთლის **„გამზრდელი“** აფხაზურ ენაზე, დიმიტრი გულიას თარგმანის მიხედვით დადგეს.

ენის პედაგოგის თქმით, რომელსაც ვინაობის დასახელება არ სურს, სპექტაკლისთვის ერთი თვის განმავლობაში ემზადებოდნენ. ამ ყველაფერში მას სკოლის ადმინისტრაცია და ქართული ენის პედაგოგები დაეხმარნენ. წარმოდგენის თემატიკად **„გამზრდელი“** იმიტომ შეარჩიეს, რომ ის ქართულ და აფხაზურ ტრადიციებს ეხება, მათ შორის მეგობრობას, სიყვარულს, გამზრდელისადმი ღრმა პატივისცემას.

„თავისი სტრუქტურით აფხაზური ენა ძალიან რთულია. ძალზე რთულია ზოგიერთი ბგერის გამოთქმა, მაგრამ სპექტაკლში მონაწილე ბავშვები ძალიან ცდილობენ, სწავლობენ. მათ აინტერესებთ“, – უთხრა **„ლაივპრესს“** აფხაზური ენის მასწავლებელმა.

ენის ბარიერი რომ არსებობდა, ამის შესახებ სპექტაკლის მონაწილეებიც ყვებიან. ამბობენ, რომ მიუხედავად სირთულეებისა, ყველა წინააღმდეგობა დაძლიეს და დღეს უკვე ხანგრძლივი შრომის შემდეგ შეუძლიათ თქვან – **„სპექტაკლის ჩვენება შედგა“.**

მოსწავლეებისთვის თითოეული აქტივობა, რომელიც აფხაზეთის თემატიკას ეხება, მხოლოდ უბრალო ღონისძიება არ არის. ბავშვები ცდილობენ ამით ხმა ენგურს გაღმა მცხოვრებლებს მიაწვდინონ და შეახსენონ, რომ ისინი არავის დავიწყნია და ახსოვთ.

„სპექტაკლში მე მხოლოდ იმიტომ ჩავერთე, რომ დედა მყავს სოხუმიდან. მესმის, თუ რა ძნელია ოდაბადეს დაკარგვა და იქიდან წამოსვლა. ჩემთვის იგივე ტკივილი გახდა აფხაზეთი, რადგან საქართველომ დაკარგა ისტორიულად თავისი ულამაზესი კუთხე, რომლისთვისაც დღემდე ვბრძოლობთ. იმედი მაქვს ამ სპექტაკლით, თითოეული თუნდაც ლექსით აფხაზურად, შეტყობინება მივა აფხაზეთამდე და ჩვენ ისინი გამოგვეხმაურებიან“, – გვითხრა ნაზიბროლას როლის შემსრულებელმა მონიკა გაბლიანმა.

თავის მხრივ, სპექტაკლით კმაყოფილი დარჩა სკოლის დირექტორის მოადგილე ნარგიზა ნარსია. მას იმედი აქვს, სწორედ ახალგაზრდობა იქნება ძალა, რომელიც შეძლებს კონფლიქტის დარეგულირების პროცესში პოზიტიური იმპულსების შეტანას:

„24 წელი რამდენიმე თვეში მიიწურება, მაგრამ 24 წუთითაც არ მშორდება ფიქრი აფხაზეთზე. მაქვს იმედი, რომ ეს ახალგაზრდობა გააკეთებს ბევრ სასიკეთო საქმეს, რაც იქნება გარანტი ჩვენი დაბრუნების – დიპლომატიური გზით, ადამიანებთან საუბრის გზით, ომით არა“.

სენაკის სკოლაში აფხაზური ენა უკვე მესამე წელია ისწავლება. **„აფხაზეთობა“** საქართველოში 2014 წლიდან აღინიშნება.

ნინო თოლორაია

ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ – ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ-ᲡᲐᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘ "ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲘᲡ" ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲡ

სამოქალაქო გაერთიანება – სრულიად საქართველოს საზოგადოებრივი-სადისკუსიო დარბაზ **„ღირსების“** კრებას მიზანშეწონილად მიაჩნია ხაზგასმით მოგახსენოთ, რომ დარბაზი არ არის ოპოზიციური ორგანო; ის გამოხატავს მხოლოდ საზოგადოების უდიდესი ნაწილის მოსაზრებას, ისწრაფვის ხალხის განაწესის რეალიზაციისაკენ და ქვეყნის ხელისუფლებისაგან ითხოვს კოლეგიალურ თანამშრომლობას, თუ ამის სახელისუფლებო ნება იქნება.

მიმდინარე ეტაპზე უფრო მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური კამპანია სხვა არა არის რა, თუ არა საქართველოს კონსტიტუციის პროექტის საერთო-სახალხო განხილვა, რომელმაც ფარსის სახე მიიღო და ვერ ასახავს ხალხის მოთხოვნას. არადა, კონსტიტუციის პროექტის რიგი მუხლები შეიცავს ქვეყნის აწმყოსა და მომავლისათვის ფრიად საშიშ, სამკვდრო-სასიცოცხლო საფრთხის შემცველ განზრახულობებს.

ამ მიმართვაში შეუძლებელია მოგახსენოთ ყველა მუხლთან დაკავშირებული შენიშვნები, მაგრამ გამოვყოფთ განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რამდენიმე საკითხს, რომელიც, ვფიქრობთ, ქვეყნის ბედისა და მომავლის ქვაკუთხედია. თქვენ კი თავს არიდებთ კონსტიტუციის პროექტის შესწორებას საზოგადოების შენიშვნების მიხედვით და არ აპირებთ ხალხის განაწესის შესრულებას. ამრიგად:

1. კონსტიტუციაში პირდაპირ და არაორაზროვნად უნდა ჩაიწეროს: „აიკრძალოს უცხოელებზე ნებისმიერი კატეგორიის ქართული მიწის გაყიდვა“.

პატივცემულო პარლამენტარებო, ჩვენ და თქვენ ყველამ უნდა ვიცოდეთ, რომ ქართული მიწის ბედი, საქართველოს ბედია და ქართული მიწის გაყიდვა, საქართველოს გაყიდვაა!

ნუ აღმოჩნდებით მამულის ე.ი. საქართველოს გამყიდველები!

ქართული სოფლის პრობლემებზე პრესაში დარბაზ **„ღირსების“** დამფუძნებელთა არაერთი ვრცელი ანალიტიკური სტატიაა გამოქვეყნებული, სადაც წარმოდგენილია ამ საკითხთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემები და გადაჭრის გზები.

საქართველოს სახელმწიფოებრიობის და ქართული ერის თვითმყოფადობის საფუძველთა-საფუძველი ყოველთვის იყო, არის და იქნება ქართული სოფელი.

ამ მოსაზრების სამართლიანობას დიდი მტკიცება არ სჭირდება. რუსთაველი ამბობდა: **„ვა, სოფელო...“** ან ქართველი კაცი რომ იტყოდა: **„წუთისოფელი ასეა, დღეს ღამე უთენებია!“**-ო, ტერმინში **„სოფელი“** დასახლებული პუნქტი კი არა, სამყარო იგულისხმებოდა – სოფელი სამყაროსთან გააიგივა ქართველმა.

ალბათ, ძნელია დედამიწაზე მოიძებნოს ქართველების გარდა სხვა ერი, რომელსაც ასე ღრმად ჰქონდეს გააზრებული სოფელი და მისი მნიშვნელობა ქვეყნისათვის.

არ იქნება ქართული სოფელი, არ იქნება საქართველო!

ქართველმა როცა დასახლებულ უბანსაც სოფელი უწოდა, გულისხმობდა მკაცრად განსაზღვრულ ტერიტორიას, რომელიც შეიცავდა კომლებს – კერძო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო საკარმიდამო მიწებით, საერთო სარგებლობის საძოვრებს, ტყეს, მინდვრებს. სოფელში იყო ყველა პირობა, რომელიც უზურნველყოფდა გლეხის მიერ მეურნეობის გამართვას, სოციალურ პირობებს, ქვეყნის შიგა ბაზრით სარგებლობას და სხვა.

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ჩვენი უთავბოლობით გავაჩანაგეთ სოფლები – სოფელში გლეხს მოვუსპეთ საწარმოო სიმძლავრეები, წავართვით საძოვრები, გავუუქმეთ სკოლები, ბიბლიოთეკები, კლუბები, მაღაზიები, სამედიცინო მომსახურება, გავუბაზრეთ და არ დავიცავით შიგა ბაზარი. ე.ი. ფაქტობრივად მოვკვეთეთ ქვეყნისა და საზოგადოებისაგან, ჩავუკალით პერსპექტივა და იმედი, მივიყვანეთ ფიზიკურ განადგურებამდე.

...და დაიწყო ხალხმა ქვეყნიდან გასვლა. უკვე გაუკაცრიელდა საქართველოს ორასზე მეტი სოფელი, სამასზე მეტრში თითო-ოროლა მოსახლეა დარჩენილი... და ეს პროცესი კატასტროფულ აჩქარებას იღებს. უცხოელებზე უკვე გასხვისებულია ასი ათასამდე ჰექტარი ქართული მიწა.

ასეთ ვითარებაში უცხოელებზე ქართული მიწის გაყიდვის დაკანონების გამართლება ინვესტიციების შემოტანის საბაბით უვიცობა კი არა, ავაზაკობა და ქვეყნის ღალატია!

სწორედ რომ ქართულ მიწებზე უცხოელთა ჩამოსახლებამ დაგვაკარგვინა სამაჩაბლო, თქვენ წარმოიდგინეთ, დაგვაკარგვინა აფხაზეთიც, სადაც ნამდვილი აფხაზები უკვე ეროვნულ უმცირესობას წარმოადგენდნენ და, ეჭვი არაა, ეს ხალხი მალე ბედკრული უბიხი ხალხივით შეიძლება აღიგავოს პირისაგან მიწისა... იქნებ ასეთი ბედი ელის ქართველებსაც საქართველოში.

ომი აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ეროვნულ ნიადაგზე კი არაა, ქართული მიწების დასაკუთრების მიზნით გაჩაღდა... და ამ, ომში არც ქართველის, არც აფხაზის და არც ოსის ბედი აწუხებდა ვინმეს.

ასეთი საფრთხე დღეს რეალურად იგრძნობა არა მხოლოდ აჭარასა და სამხრეთ საქართველოში, არამედ საქართველოში მთლიანად, რადგან ადვილად დაიკარგება ყველა ნასოფლარი ოფიციალურად ან არალეგალურად შემოსული უცხოელების დასახლებებით.

პატივცემულო პარლამენტარებო, ამ ვითარების გაუანალიზებლობას, გაუთვალისწინებლობას და ამით ქვეყნის ინტერესების ღალატს, ხალხი არ გაპატიებთ.

ნუ გაიხდით თავს მომავლის საწყეველად!

ნუ აგვიხვევთ თვალს და ნუ დამალავთ, რომ ქვეყნის ინტერესების ღალატი დღეს საკმაოდ შეგნებულად და გადამთიელთა კარნახით ხდება!

დემაგოგიურად ნურვინ ეცდება თავი იმართლოს, რადგან მალე შეიძლება ამ პროცესმა ისეთი ინერცია მიიღოს, შველაც შეუძლებელი გახდეს და ქვეყანა უფსკრულში გადაიჩეხოს.

თავს თუ არ მოვიტყუებთ, ასეთია რეალობა და ეს ვითარება, რომელიც კარგად აქვს გააზრებული შეშფოთებულ ქართველ ხალხს, თქვენ ნორმალურად მიგაჩნიათ და ქვეყანას მიაქანებთ კატასტროფისაკენ, რაზედაც თქვენ, დიახ, თქვენ დაგეკისრებათ პოლიტიკური და იურდიული პასუხისმგებლობა ქვეყნისა და ხალხი წინაშე.

საზოგადოებრივ-სადისკუსიო დარბაზ **"ღირსებას"** მიაჩნია, რომ ქვეყნის გადასარჩენად უნდა განხორციელდეს ასეთი სახელმწიფო პროგრამა:

– პირველ რიგში კონსტიტუციით უნდა აიკრძალოს ნებისმიერი კატეგორიის ქართული მიწის გაყიდვა უცხოელებზე.

– დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ უცხოელებზე საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებას... და ეს ასეცაა ყველა ნორმალურ ქვეყანაში, რომელსაც პატრონი ჰყავს.

– დადგინდეს საქართველოს ყველა სოფლის და ნასოფლარის ტერიტორიის საზღვრები სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, საძოვრების, ტყეების გათვალისწინებით და განისაზღვროს დასახლებული პუნქტის, თემის, სოფლის, დაბის, ქალაქის სტატუსი. განისაზღვროს კომლთა არსებული, პერსპექტიული და ზღვრული რაოდენობაც, რომელიც თანდათან გაიზრდება შესაბამისი პირობების სრულყოფის კვალობაზე.

– სოფელში მცხოვრებ თუ ცხოვრების მსურველ საქართველოს ყველა მოქალაქეს კომლთა პერსპექტიული რაოდენობის გათვალისწინებით სიმბოლურ ფასად – 1 ლარად გადაეცეს 0,5-1,0 ჰექტარამდე სასოფლო-სამეურნეო სავარგული მიწა. ამასთან, სოფლის საერთო სარგებლობის საძოვრები, ტყის მასივები, მდინარეები და სხვა, გარანტირებულად ხელშეუხებელი უნდა იყოს იქ მცხოვრებთა ნებართვის გარეშე.

– ყველა სოფელში დასახლებულ კომლთა და მოქალაქეთა რაოდენობის ზრდის კვალობაზე უნდა შეიქმნას შესაბამისი სამედიცინო, სავაჭრო და კულტურულ-საგანმანათლებლო ობიექტები, სკოლები, ბიბლიოთეკები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების პუნქტები და გადამამუშავებელი საწარმოებები, საამქროები, გაიმართოს სპორტული მოედნები, მომზადდეს შესაბამისი ადგილობრივი კადრებიც.

– სოფელში მცხოვრები მოქალაქეებისათვის დაწესდეს სოციალური და კომუნალური შეღავათები.

– ყველა დასახლებულ პუნქტს, სოფელს უნდა ჰქონდეს თავისი ბიუჯეტი, ჰყავდეს ხალხის მიერ არჩეული კოლექტიური ორგანო (თუნდაც საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე წევრებით) – სათათბირო, საკრებულო თუ საბჭო, რომელიც აირჩევს თავმჯდომარეს ან გამგებელს. ამ ორგანოებს მიეცეთ ადგილებზე ყველა საკითხის გადაწყვეტის უფლება. უნდა აღიკვეთოს ის მავნე ტენდენცია, რომ ადგილზე ყველაფერი – მიწა, ნაგებობები და ტუალეტებიც კი ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზეა და ზემოდან უჩინარი ხელი ადგილობრივი ინტერესების გაუთვალისწინებლად განკარგავს ხალხის საკუთრებას ხალხის ნების გაუთვალისწინებლად.

– სოფელში მცხოვრებ ადამიანს ყველა წვრილმანზე არ უნდა უხდებოდეს ცენტრში ჩასვლა და საკმარისი უნდა გახდეს მისი ვიზიტი ადგილზე თემის, სოფლის თუ დაბის საკრებულოში ან საბჭოში.

– ყველა დასახლებული პუნქტის, თემის, სოფლის თუ დაბის საკრებულო თუ საბჭო უნდა ექვემდებარებოდეს შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დანაყოფის ცენტრის ხელმძღვანელ სტრუქტურას, რომელსაც მთავრობა უწევს ხელმძღვანელობას.

ამ სახელმწიფოებრივი პროგრამის რეალიზაციაზე დანახარჯი სულ რამდენიმე წელიწადში ანაზღაურდება ქართული სოფლის მოძლიერების საფუძველზე და, რაც მთავარია, განმტკიცდება სოფელი-ქართული სახელმწიფოებრიობის საფუძველი, გაიზრდება დასაქმება, ასრებითად გაუმჯობესდება მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობები.

2. ამრიგად, მეორე საკითხი, რაც კონსტიტუციაში უნდა აისახოს არის: დასახლებული პუნქტების, თემების, სოფლების, დაბების, ქალაქების თვითმართველობის შექმნა და მათი გაუქმება კი არა, უფლება-მოვალეობათა არსებითი გაფართოება, რაც უზრუნველყოფს მართვის გაადვილებას, ეფექტურობის ზრდას, მართვაში საზოგადოების სრულყოფილ ჩამბას და ხელისუფლების გადაწყვეტილებათა ლეგიტიმურობას.

3. ქართველი კაცი სტუმარს ღვთისკაცად მიიჩნევდა, ხოლო მეზობელს თვალის ჩინს უწოდებდა. როგორ წარმოგიდგენიათ, ძვირფასო პარლამენტარებო ასეთი ვითარება: სოფელში ერთმა გლეხმა რომ თქვას, მეზობელთან მე მხოლოდ რომანოზასთან ვიმეგობრებ და სხვები ფეხებზე მკიდიხარათო, იტყვიან ეს კაცი ჭკვიანიაო?.. ცხადია, არა!

ჰოდა, როგორ შეიძლება ქვეყანას, რომელსაც მსოფლიო გზაჯვარედინის საკვანძო მდებარეობა აქვს, ერთი მიმართულების – ერთვექტორიანი საგარეო პოლიტიკა ჰქონდეს?

გამორიცხული არაა მსოფლიოში ვითარება ისე შეიცვალოს, რომ კოსტიტუციით განსაზღვრული ეს ერთადერთი მიმართულება საქართველოს საგარეო პოლიტიკის მძიმე ბორკილებად და ხუნდებად იქცეს, ხოლო ქვეყანა ომის ხანძარში გადაიჩეხოს. ასეთ შემთხვევაში კისრულობთ სისხლის-სამართლის პასუხისმგებლობას ქართველი ხალხის წინაშე?

გახსოვდეთ, კონსტიტუციაში საგარეო პოლიტიკის ერთმიმართულებიანი პრინციპით განსაზღვრა უგუნურება, პოლიტიკური სიბეცე და ქვეყნის ბედისა და მომავლის განწირვაა.

4. კონსტიტუციის პროექტის ე.წ. საერთო-სახალხო განხილვისას თქვენ და თითქმის ყველა პარტია ისევ ხალხის მაგივრად ლაპარაკობთ, დავობთ და ცდილობთ ყურადღება ძირითადიდან გადაიტანოთ მნიშვნელოვან, მაგრამ სახელმწიფოს ბედისათვის მაინც მეორეხარისხოვან საკითხებზე, რასაც ხალხი კარგად გრძნობს.

პარლამენტის პატივცემულო წევრებო, ჩვენ და თქვენ ერთ საქმეს უნდა ვემსახურებოდეთ. ჩვენ თქვენი მტრები კი არა, კეთილისმსურველები, თქვენი თანამემამულენი და კოლეგები ვართ. ჩვენ არ ვსაუბრობთ პირად ინტერესებზე და თქვენგანაც მოვითხოვთ კოლეგიალურ თანამშრომლობას, რომ ერთად გადავარჩინოთ ქვეყანა მოსალოდნელ კატარსტროფას. ბოლოს და ბოლოს ერთი ქვეყნის შვილები მაინც ხომ ვართ?

წინააღმდეგ შემთხვევაში გამარჯვებული არავინ იქნება, ქვეყანა ხელიდან გამოგვეცლება და მაშინ თქვენ ხალხის მსჯავრს ვერ გაექცევით, რაც ქვეყნის საერთო უბედურება იქნება.

უღრმესი პატივისცემით,

ᲘᲠᲛᲐ ᲫᲣᲠᲐᲡᲑᲔᲓᲘᲐᲜᲘ – დარბაზის პრეზიდიუმის თავმჯდომარე, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, პოეტი, დარბაზის დამფუძნებელი.

ᲑᲔᲜᲘᲐ ᲗᲮᲘᲚᲐᲕᲐ – დარბაზის პრეზიდიუმის წევრი, დარბაზის დამფუძნებელი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, ჟურნალისტი, ქუთაისის საპატიო მოქალაქე.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲨᲔᲜᲑᲔᲚᲘᲐ – დარბაზის პრეზიდიუმის წევრი, დარბაზის დამფუძნებელი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ქუთაისის საპატიო მოქალაქე.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲬᲣᲚᲐᲫᲔ – დარბაზის პრეზიდიუმის წევრი, დარბაზის დამფუძნებელი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, ქუთაისის საპატიო მოქალაქე.

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲯᲐᲕᲐᲮᲐᲫᲔ – დარბაზის პრეზიდიუმის წევრი, დარბაზის დამფუძნებელი, ქუთაისის სპორტული მუზეუმის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი, ქუთაისის საპატიო მოქალაქე.

ᲛᲐᲛᲐ ᲔᲫᲕᲗᲘᲛᲘ (ᲩᲘᲕᲐᲫᲔ) – დეკანოზი, წმიდა ილია მართლის ტაძრის წინამძღვარი, დარბაზის წევრი.

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲒᲔᲬᲐᲫᲔ – დარბაზის პრეზიდიუმის წევრი, ქართულ-უკრაინული უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი.

ᲝᲛᲐᲠ ᲖᲘᲕᲖᲘᲕᲐᲫᲔ – დარბაზის პრეზიდიუმის წევრი, ქუთაისის აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲯᲘᲫᲘᲐ – დარბაზის წევრი, ქუთაისის საპატიო მოქლააქე.

ᲜᲐᲗᲔᲚᲐ ᲤᲝᲩᲮᲣᲐ – მწერალი, დარბაზის წევრი, ფილოლოგი.

ᲜᲐᲗᲔᲚᲐ ᲒᲝᲒᲘᲐᲕᲐ – დარბაზის წევრი, ფილოლოგი, პედაგოგი, პოეტი.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲛᲔᲡᲮᲝᲠᲐᲫᲔ – დარბაზის პრეზიდიუმის წევრი, მწერალი, ექიმი.

ᲒᲝᲩᲐ ᲫᲜᲔᲚᲐᲫᲔ – დარბაზის წევრი, პედაგოგი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი.

�პᲔᲢᲠᲔ ᲒᲔᲚᲮᲕᲘᲔᲫᲔ – დარბაზის პრეზიდიუმის წევრი, ქუთაისის აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

ᲒᲣᲚᲜᲐᲖᲘ ᲙᲣᲑᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ – დარბაზის წევრი, ინჟინერ-ტექნოლოგი, ლექტორი.

ᲛᲖᲘᲡᲔᲠᲘ ᲑᲝᲭᲝᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ – დარბაზის წევრი, ინჟინერი.

ᲜᲐᲗᲔᲚᲐ ᲩᲐᲜᲭᲔᲚᲘᲐᲜᲘ – დარბაზის წევრი, მუსიკოსი.

ᲜᲘᲜᲝ ᲫᲝᲬᲔᲜᲘᲫᲔ – დარბაზის წევრი, ჟურნალისტი.

ᲜᲣᲜᲣ ᲘᲝᲑᲘᲫᲔ – დარბაზის წევრი, ინჟინერ-ტექნოლოგი.

ᲨᲐᲚᲕᲐ ᲙᲐᲛᲚᲐᲫᲔ – დარბაზის წევრი, ქუთაისის ახალგაზრდული ცენტრის ხელმძღვანელი.

ᲑᲠᲘᲨᲐ ᲫᲐᲗᲐᲛᲐᲫᲔ – დარბაზის წევრი, ინჟინერ-მშენებლი.

ᲗᲔᲐ ᲑᲔᲑᲔᲭᲙᲝᲠᲘ – დარბაზის წევრი, სტუდენტი.

Ი.ᲫᲣᲠᲐᲡᲑᲔᲓᲘᲐᲜᲘ,
დარბაზ „ღირსების“ თავმჯდომარე

სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს" ზუგდიდის ორგანიზაცია თანაუგრძნობს ბატონ კლიმენტი კიკალიშვილს ძმის,
ᲨᲝᲗᲐ ᲙᲘᲙᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ **გარდაცვალების გამო...**
უფალმა გაანათლოს განსვენებულის სული...

ძირძველი ოდების სახით, აბაშაში აღმოვაჩინე იშვიათი მუზეუმი ღია ცის ქვეშ

არაერთი ეროვნული საგანძურით შეგვიძლია ვიამაყოთ ქართველებმა და ერთ-ერთი ასეთია ქართველი გლეხკაცის საცხოვრისი, რომელიც მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მკითხველის ყურადღებას კოლხურ ოდაზე შევაჩერებთ. სამეგრელოს მკვიდრი, ბატონი პაატა ქურდოვანიძე წლების წინ დაინტერესდა კოლხური ოდების მოძიებით და უკვე არაერთი საოცარი ფოტოპეიზაჟი აქვს შექმნილი. ამბობს, რომ სურს, ეს ყველაფერი მომავალ თაობას დაუტოვოს რელიკვიად.

– რამდენი ხნის წინ დაინტერესდით კოლხური ოდებით?

– პროფესიით პედიატრი, ბავშვთა ნევროლოგი ვარ და წლების წინ, აბაშის მთავარი ექიმის, ბატონ მიხეილ ბოკუჩავას დამსახურებით, ამ რაიონში დაივწყე მუშაობა. მას შემდეგ, აბაშის ყველა სოფელი მოვიარე, რათა ადგილზე გავცნობოდი ვითარებას და ეს **"გაცნობა"** აგერ სამ ათეულ წელზე მეტია, გრძელდება. საყოველთაო ჭეშმარიტებაა, რომ მეგრელი კაცის ეზო-კარი ძალზე ლამაზია. განსაკუთრებულად გამაოცა აბაშაში შემორჩენილმა საუკუნოვანმა ხის არქიტექტურამ. ძველებური ოდები ბევრგანაა, მაგრამ ამ რაოდენობით – იშვიათია! ასეთი ღირებული არქიტექტურა ეროვნული სიმდიდრეა. ნებისმიერი ქვეყანა იამაყებდა წინაპრების მიერ დანატოვარი მსგავსი მშვენიერებით. ხშირ შემთხვევაში, შენარჩუნებულია გლეხური კარ-მიდამოს მთლიანობა, მისი აუცილებელი ატრიბუტიკა: ჯარგვალი, სამზადი, სასიმინდე, ხულა, საქათმე, საღორე...

ბავშვობიდან ფოტომოყვარული ვიყავი და დავიწყე ნიმუშის გადაღება, დაკვირვება... მეგრული ოდისთვის დამახასიათებელია რიკულებით შემკული აივანი, ზოგჯერ ოდას ორი აივანიც აქვს (ეს დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რამდენად წელმაგარი გახლდათ ოჯახი). ყველაზე საინტერესო ამ აივნების დამამშვენებელი რიკულები და ხეში ნაკვეთი ჩუქურთმებია.

დავიწყე ოდებთან დაკავშირებული ნაშრომების მოძიებაც და აღმოვაჩინე, რომ თურმე, არც ერთი ჩუქურთმა არ არის შემთხვევითი. ეს არის ათასწლეულების განმავლობაში მეგრელი კაცის, კოლხის მიერ გამომჟღავნებული დამოკიდებულება სამყაროსთან. მაგალითად, ჩუქურთმად გამოსახული ბორჯღალი არის მზის სიმბოლო, ბოღაური – მთვარის და ა.შ.

– რატომ დაინტერესდით კოლხური ოდების მოძიებით?

– ძირძველი ოდების სახით, აბაშაში აღმოვაჩინე იშვიათი მუზეუმი ღია ცის ქვეშ. საერთოდ, მიყვარს ყველაფერი ძველი, რაც დაკავშირებულია ჩვენს ისტორიასთან. თანაც, კოლხური ეზო საოცარი პეწით გამოირჩევა, ყველაფერს თავისი ადგილი აქვს. წინათ საქონელს წინა ეზოდან არაფრით შემოიყვანდა გლეხი კაცი, ამისთვის სპეციალური შუკა არსებობდა, საიდანაც სადგომში შეჰყავდათ ნახირი. თქვენ წარმოიდგინეთ, თავმოყვარე დიასახლისი ქათამსაც კი არ გაუშვებდა ეზოს წინა მხარეს. ჰიგიენური პირობები ჰქონდათ დაცული. მეგრული ოდები ისეა აგებული, რომ შესაბამისობაშია დასავლეთ საქართველოში არსებულ კლიმატურ პირობებთან. ეს კუთხე ნესტით გამოირჩევა, ხშირად იცის ქარიც. იცოდნენ, ამა თუ იმ ტერიტორიაზე ქარი საიდან **"ურტყამდა"** და ყოველთვის ცდილობდნენ, ოდა ისე ყოფილიყო აგებული, რომ ბუნების ამ მოვლენისგან საცხოვრებელი დაეცვათ.

ხის სახლები სასიამოვნო საცხოვრებელიცაა. განსაკუთრებით ისეთ ნესტიან გარემოში, როგორიც შავიზღვისპირეთია. ნესტმა და ქარმა რომ არ შეაწუხოს, მეგრელ კაცს ისეთი მიგნებები აქვს მშენებლობისას, რომ გაგიკვირდებათ. ჩვენს წინაპრებს შესაშური საინჟინრო ალღო და ესთეტიკური გემოვნება ჰქონდათ.

დღეს სოფლები ფაქტობრივად დაცლილი და შესაბამისად, ოდა-სახლები გამოკეტილია. მო გეხსენებათ, 90-იანი წლების ტრა გიკულმა მოვლენებმა რა აუნაზღაურებელი დაღი დაასვა ქვეყნის ცხოვრებას. ეს განსაკუთრებით იგრძნობა სოფლებში, რადგან სოციალური მდგომარეობა ისეთია, რომ მოსახლეობის მიგრაციამ საშიშ ზღვარს მიაღწია. გამოკეტილ სახლებში თვეობით არ ჩამოდიან მეპატრონეები. ძველი თაობა ნელ-ნელა მიდის, ახალგაზრდობას სოფელში ცხოვრების სურვილი ნაკლებად აქვს. მიტოვებული სახლი კი თანდათან ბერდება, იშლება...

სხვათა შორის, XIX საუკუნეში კაპიტალიზმის შემოსვლამ, ფულადმა მოძრაობამ და მთელმა რიგმა ფაქტორებმა ცოტა სხვაგვარი გახადა მეგრული ოდა, მაგრამ ოდა-სამოსახლოს ძირითადი დამახასიათებელი ნიშან-თვისებები არ შეცვლილა. თავიდან ეს სახლები ისლითა და ყავარით იყო დახურული, მეცხრამეტე საუკუნის ბოლოდან კი მასობრივად იწყება კრამიტის წარმოება და ამ მასალით სახლების გადახურვაც. მეგრული ოდა-საცხოვრისი არის კულტურული ფენომენი, ჩვენი კულტურის შემადგენელი ნაწილი, არქიტექტურული და საინჟინრო საგანძური.

– თბილისშიც გვაქვს მუზეუმი ღია ცის ქვეშ...

– დიახ და ვფიქრობ, საშვილიშვილო საქმე გააკეთეს ქართველმა ეთნოგრაფებმა, ბატონი გიორგი ჩიტაიას ხელმძღვანელობით, როდესაც თბილისში, კუს ტბაზე შეიქმნა ასეთი მუზეუმი. იქ დღეს მთელი საქართველოს სამშენებლო-საინჟინრო საგანძურია თავმოყრილი.

– როგორც ვიცით, თქვენი შეთავაზებით, მხატვარმა რეზო ადამიამ აბაშური საუკუნოვანი ოდების ტილოზე გადატანა დაიწყო და უკვე არაერთი ულამაზესი ნახატი შექმნა. მხატვარი "კოლხური ოდების" გამოფენისთვის ემზადება. რას ისახავს მიზნად გამოფენაზე ძირძველი ოდების უნიკალური ნიმუშების წარდგენა?

– 2014 წელს, როდესაც ქართველმა ლიტერატორმა, აბაშელმა მწერალმა ქალბატონმა – მილდა ჩაგანავამ ჩემი ფოტოები ნახა, მითხრა: თუკი სვანური კოშკები შეყვანილია იუნესკოს კულტურულ მემკვიდრეობათა სიაში, რატომ არ შეიძლება, რომ იუნესკოს ჩვენც წარვუდგინოთ კოლხური ოდა-სახლები, მეგრელი კაცის საცხოვრისი, რათა ის აღიარებულ იქნას, როგორც მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნაწილიო?.. წლების მეგობრობა მაკავშირებს ბატონ რეზო ადამიასთან. ის წარმოშობით ძველი სენაკიდანაა. მას დღესაც უდგას თავის კარ-მიდამოში მამისეული ოდა. გასული საუკუნის 90-იან წლებში, მან შექმნა ორი ციკლი: **"თოვლიანი სამეგრელო"** და **"ნისლიანი სამეგრელო"**. რამდენიმე გამოფენაც ჰქონდა თბილისსა და უცხოეთში. ბატონი რეზო თერთმეტი წლის მანძილზე დადიოდა პარიზში და ამ ციკლიდან ტილოები იქაც გამოფინა. მისმა ნამუშევრებმა ევროპაშიც დიდი მოწონება დაიმსახურა. რეზო ადამიას მთელი სამეგრელო აქვს დახატული, მაგრამ არასოდეს უმუშავია აბაშაში. სურვილი მქონდა, აბაშური ოდების ციკლიც შექმნილიყო და როდესაც ეს იდეა შევთავაზე, სიამოვნებით დამთანხმდა. უკვე თექვსმეტი ტილოა დახატული. დაგეგმილია გამოფენის – **"აბაშური ოდების"** მოწყობა.

ვფიქრობ, ბატონი რეზოს ეს მართლაც, შესანიშნავი ნამუშევრები ქართული ფერწერის შენაძენი გახდება.

აბაშის შემდეგ, ნახატები თბილისშიც გამოიფინება. ისტორიული ძეგლი მხოლოდ ტაძარი და ციხე ხომ არ არის?! ოდაც ჩვენი ისტორიაა, ესეც კულტურის ნიმუშია და თანაც, ტურისტების მოზიდვას ასე ძალიან რომ ვცდილობთ, მათ ხომ სწორედ ისტორია, სიძველე აინტერესებთ. კარგი იქნება, თუ კულტურის სამინისტროს დახმარებით, კუს ტბაზე არსებული ეთნოგრაფიული მუზეუმის ფილიალები რეგიონებშიც გაიხსნება. და კიდევ, სამინისტროსთან ერთი სათხოვარიც გვაქვს: დაიწყოს მუშაობა იმაზე, რომ იუნესკომ მეგრულ ოდა-სახლს მსოფლიო კულტურულ მემკვიდრეობაში მიუჩინოს საკადრისი ადგილი და მას მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭოს.

სხვათა შორის, ჩვენი დეპუტატის, ბატონი ოთარ დანელიას ინიციატივით, აბაშაში მოწვეული იქნა კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ბატონი მიხეილ გიორგაძე, რომელსაც თან ახლდნენ ძეგლთა დაცვის დეპარტამენტიდან ბატონები: ნიკა ანთიძე და დავით ლომიტაშვილი. ბატონ დავითთან მქონდა ამ თემაზე საუბარი და ვაჩვენე კიდეც რამდენიმე ეზო-კარი, ჩვენს გეგმებზეც ვესაუბრე. ძალიან დაინტერესდა. მოგვიანებით, დამიკავშირდა და მითხრა: ლევილის მამულის აღდგენის პროექტით გათვალისწინებულია, რომ დაიდგას ტიპური ქართული სამოსახლო და მთავრობამ გადაწყვიტა, რომ ეს იყოს მეგრული ოდაო. თან საუკეთესო ნიმუშების მოძიება მთხოვა. ჩემ მიერ შეთავაზებული ოდები შეისწავლეს სპეციალისტებმა და რამდენიმე აირჩიეს, როგორც ტიპური, შესანარჩუნებელი, ძალიან საჭირო და საინტერესო ნიმუში – ეს იყო არჩევნებამდე. ბატონმა დავითმა მითხრა, მთავრობა როგორც კი დამტკიცდება, ლევილის პროქტის განხილვის დროს, კომისია ალბათ, ოდას აირჩევსო. შემდეგ მეპატრონეს მოელაპარაკებიან ოდის შესყიდვის თაობაზე. სპეციალისტებიც ჩამოვლენ, სათანადო მეთოდიკით დაიშლება და მეგრული ოდის ერთ-ერთი ნიმუში ლევილში სამუდამოდ დაიმკვიდრებს ადგილს.

შორენა მერკვილაძე

ფრიდონ თოდუა — კაცი!

ჩემი მეგობრების, ახლობლების და არაერთი გაჭირვებული ადამიანის გადამკიდე, ხშირად ვაწუხებ მეგობარ მედიკოსებს და ვთხოვ დახმარებას. ადრე ყველა პრობლემას მიგვარებდა ჩემი ძმადნაფიცი პროფესორი, სააქაოდან უდროოდ წასული პეტრე შოთაძე. აი ის იყო გაჭირვების ნამდვილი ტალკვესი. ჩემი თავი ანდერძად დაუტოვა თავის მეგობარ-კოლეგებს და... ახლა ისინი მყავს ხელში შეკლული. რა თქმა უნდა, მადლიერი ვარ და კიდევ დიდი იმედი მაქვს რომ არ მოაკლდებათ მათი ყურადღება და უანგარო ზრუნვა ბევრ ჩემს ნაცნობს თუ უცნობ, ექიმის დახმარების მომლოდინე ადამიანს.

მაგრამ, ახლა ერთი უნიკალური ადამიანი მინდა გამოვყო. უნიკალური არა მარტო პროფესიონალიზმით და გულისხმიერებით, არამედ მასშტაბებით და უანგარო ერთგულებით.

წინა კვირას, უფრო ადრეც, კიდევ უფრო ადრეც, პრაქტიკულად, გადამირჩინა ჩემი უმცროსი მეგობრებისა და კოლეგების დედები, ახალგაზრდა მეგობარიც და, უნდა გამოვტყდე, არც მე **"დამაკლო ხელი"**...

ჰოდა, ერთი საჭირო ვიზიტის დამთავრების შემდეგ, მადლობა ვუთხარი და...

ამ დროს ტელეფონზე დაურეკეს, დაელაპარაკა, თვალები გაუბრწყინდა და გაუფრთხილებლად მომკიდა ხელი, მიმიყვანა კარადასთან, გამოაღო და... პატრიარქის ნაჩუქარი ჯვრით პირჯვარი გადამწერა გახარებულმა: ახლა დამირეკეს, სურათმა და ანალიზებმა გვაჩვენეს რომ კიდევ ძალიან დიდხანს იცოცხლებო (ვისაც ეს არ გაუხარდება ჩემი **"კეთილმსურველებისგან"**, ვიზიარებ მათ მწუხარებას!)...

ბურთი ყელში მომებჯინა: ჩემზე მეტი მას უხაროდა საფრთხე რომ ამცდა, ამჯერად!

ადამიანი ასეთი უნდა იყოს!

დასტაქარიც!

მეგობარი ხომ უნდა იყოს და იყოს...

ჰოდა, გადავწყვიტე მადლობა საჯაროდ მეთქვა. და **"ამოვქექე"** მის საიუბილეოდ გამოქვეყნებული ერთი პატარა წერილი, სერიიდან **"კაცები!"**.

ამ სერიის პუბლიკაციები მიძღვნილი მაქვს იმ ადამიანებისადმი, რომლებთანაც ურთიერთობით ვამაყობ, რამეთუ მათი ცხოვრების წესია რაინდული!

შენ აქამდე ცხოვრობდი ამ წესით!

შენ ახლაც ცხოვრობ ასე!

შენნაირმა ადამიანებმა ძალიან დიდ ხანს უნდა იცოცხლონ და აკეთონ ყველაზე დიდი, ყველაზე კეთილშობილი საქმე: დაიმედონ, გაამხნევონ, განკურნონ ადამიანები, გაახალისონ ისინი, რათა ბოლომდე და ხანგრძლივად შეიგრძნონ ბუნების ყველაზე ძვირფასი საჩუქარი – სიცოცხლე!

იდღეგრძელე, ჩემო საყვარელო და მოსაფერებელო მეგობარო, ბატონო ფრიდონ!

* * *

კაცი!

08 იანვარი, 2014 წელი

დიდი ხნის წინათ, ერთ ჩემს მეგობარს, სამედიცინო დახმარება დასჭირდა და მოსკოვს გაემგზავრა. იმ დროს მეც იქ აღმოვჩნდი და მისი თხოვნით კონსულტაცია გავიარე კომპეტენტურ ადამიანებთან, რჩევა ვიკითხე საუკეთესო მკურნალის შერჩევის თაობაზე. ლეგენდარულმა ქირურგმა-აკადემიკოსმა, თბილისში დაბადებულ-გაზრდილმა ვლადიმერ ბურაკოვსკიმ რომ მოისმინა უარყოფითი პასუხი მის მიერ დასმულ შეკითხვაზე, ვიცნობდი თუ არა ფრიდონ თოდუას, მირჩია: გაიცანი და ანდე შენი მეგობრის ჯანმრთელობა, ჩინებული ექიმი, ერთობ საიმედო კაციაო!

ახლაც მახსოვს რა ინტონაციით მითხრა: ჩინებული ექიმი!.. საიმედო კაცი!

მას შემდეგ გავიდა ნაცნობობის, თანამშრომლობის და მეგობრობის 35 წელი.

და ამ ხნის მანძილზე არ მქონია შემთხვევა, რომელიც სულ მცირე, პაწაწინა ეჭვს შეიტანდა დიდი ვლადიმერ ბურაკოვსკის რეკომენდაციაში.

ფრიდონ თოდუა დიდი დასტაქარია!

და ეს იცის არა მარტო სამედიცინო საზოგადოებამ და მთელმა საქართველომ, არამედ უამრავმა კოლეგამ, მეცნიერმა-მედიკოსმა ძალიან ბევრ ქვეყანაში!

ფრიდონ თოდუა ნაღდი კაცია! უღალატო მეგობარი!

და ბევრ ადამიანს რეალურად გამოუცდია მისი ექიმობის შედეგი, რაც პირდაპირ კავშირშია მის ვაჟკაცური ბუნებასთან, რისკთან, გაბედულებასთან, უანგარობასთან. და ყველაფერი ეს იმაზე ღაღადებს, რომ იგი მართლაც დასაყრდენია, გაჭირვებულის დამხმარე, უშურველი! ასევე უღალატოა მეგობრების მიმართ. და მის ამ თვისებაზე არა და არ მოქმედებს არც პოლიტიკური კონიუნქტურა და არც ბიოგრაფიულ-კარიერული გარდატეხები.

ამ ხნის მანძილზე მასთან მიმართებაში ზემოთჩამოთვლილის გარდა, კიდევ ბევრი სასიამოვნო და დასაფასებელი "აღმოჩენა" გაკეთდა. და მათგან უმთავრესად დასაფასებელია ის, რომ ფრიდონ თოდუა საქმის (!) კაცია-საქმის მკეთებელი, სხვისი საქმის მხარდამჭერი, წამხალისებელი, ხელისშემწყობი;

მის მიერ შექმნილი უნიკალური, თანამედროვე სამედიცინო ცენტრი და მისი კოლექტივის საქმიანობა იმაზე მეტყველებს, რომ აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა გახლავთ ბრწყინვალე ორგანიზატორი, სტრატეგი, ტაქტიკოსი, შედეგზე ორიენტირებული და, რაც მთავარია, პროგრესული აზროვნების, სიახლეების მოტრფიალე და პრაქტიკაში მისი დამნერგავი, ახალგაზრდა სპეციალისტების უანგარო გამზრდელ-დამაოსტატებელი, ნამდვილი პედაგოგი!

და კიდევ ერთი, რაც, ჩემი აზრით, ღირს რომ ახლა, სწორედ დღეს ითქვას, თანაც იმათ გასაგონად, ვისაც საქმის და სიკეთის კეთების მაგივრად შური და ქილიკი ხელეწიფებად (და ვინაიდან ბატონი ფრიდონი ანგელოზი არ არის, არც მოშურნე და მოქილიკე აკლია მას): ასეთი რანგის, ავტორიტეტული სპეციალისტებისადმი, მეცნიერებისადმი, კულტურის მოღვაწეებისადმი, მით უმეტეს, გამოჩენილი ექიმებისადმი **"ლტოლვა"** ყველა დროის ხელისუფალს ახასიათებს. გამონაკლისი არც გასული ათწლეული იყო.

ობიექტურობა მოითხოვს იმის ხაზგასმით აღნიშვნას, რომ იმდროინდელი ხელისუფლების ინიციატივით დანიშნულ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს ფრიდონ თოდუას მოუხდა დიდი სიბრძნის, მოქნილობის, თმენის, ზოგჯერ კი თავგანწირვამდე მისული პრინციპულობის გამოჩენაც, რათა ეროვნული მეცნიერებათა აკადემიისთვის აერიდებია, რბილად რომ ვთქვათ, არაკომპეტენტური ჩარევა, მავანის და მავანის უგნურება, რომლის საბოლოო მიზანი რეფორმა კი არა, ამ დიდი აკადემიის საბოლოო განადგურება გახლდათ;

ასევე, თავად ვარ მოწმე იმისი, რომ აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს ძალისხმევა არ დაუკლია, რათა აკადემიის სისტემის ცალკეული სტრუქტურების, ცალკეული მეცნიერებისთვის არ გამოეტანათ დედაუნივერსიტეტის პროფესურისადმი გამოჩენილი სამარცხვინო დამოკიდებულების მსგავსი სავარაუდო **"გამანადგურებელი განაჩენი"**, რომელიც დღევანდელი გადასახედიდან არამცთუ სუბიექტური და უსამართლო იყო, არამედ, პრიმიტიული ანგარიშსწორების გამოვლინებაც გახლდათ მაშინდელი ხელისუფლების ზოგიერთი გათავხედებული მაღალჩინოსნის მხრიდან!

და ყოველივე ამას ფრიდონ თოდუა აკეთებდა უხმაუროდ, უანგაროდ! მეცნიერული სინდისის და პატრიოტული სულისკვეთების, თავმდაბლობის, ზნეობრივი პრინციპების მაქსიმალური დაცვით.

ასე კაცები იქცევიან!

ასე ცხოვრობენ საიმედო ადამიანები!

ამის დაუნახავობა და დაუფასებლობა უმადურობა იქნებოდა.

კეისარს კეისრისა!

გაიხარეთ, ბატონო ფრიდონ!

ნუგზარ ფოფხაძე

“ყოველნი სულნი აქებდეთ უფალსა...“
ᲤᲡᲐᲚᲛᲣᲜᲘ ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡᲘ;

დაცლილან ნასახლარები,
ზოგნი სულ წმინდად აყრილან,
ამ სოფელს აღარ დამდგარან,
იმ სოფლის მკვიდრნი შაქმნილან
ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ;

„ეძებს, უზახის, უყივის, დღეებრ ღამეთა
მთეველი ...“
ᲨᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘ

ძაძუ მიქენახეს, რომელიც ძიძად მერგებოდა, 15 წლის შვილიშვილი მოუკლა დენმა. მისამძიმრება არ გადამიდვია, უმალვე ავედი მათთან.

მადლი მომაგო და მოთქმით დააყოლა: ხომ ხედავ, მე, საკუბოვე, ჯერ კიდევ ფეხზე ვდგავარ. გული კი არა კაჟი მქონია, მაგრამ აწი რომ მელის, ის ფარსაგი თქვი შენ, რკინაც ვერ გაუძლებს მას. ქო, ნანა, თაშ რე (ასეაო): ანწი მაკათაფალ ჭყვადა რშუდას, სკუა (სამყობადო მუსრი (ამოწყვეტა) გახსოვდესო, შვილო!).

ეს საზარო მერკიაფა უბედურება დამტყდარი და ჭერჩამომხობილი ადამიანისთვის ჩვეულებრივ მდგომარეობად ჩავთვალე.

სხვა რა უნდა მეფიქრა, კი იყო ზოგიერთი ჟღარუნი, მაგრამ ჩრდილოდასავლეთ საქართველოში ანუ აფხაზეთში საომარი ავანტიურისათვის ჩვენებურთაგან არავინ იჭერდა თადარიგს მაშინ: ამ ზომამდი არც გვჯეროდა და არც ველოდით იმას, რაც მოხდა.

...იმ ომში მიქენაიების ლასკარიდან არც არავინ გადარჩენილა. თვითონ ძიძაჩემი მტრის გამოსროლილი ჭურვის ნამცეცმა იმსხვერპლა სოხუმის დაცემის დღეს და ერთხანს, ათასობით სხვასთან ერთად, დაუმარხავი ეგდოო ჭირისუფალ გამოძევებულ მშობლიურ ქალაქში.

ის უბედურება, ჩვენთან ჭყვადას რომ ეძახიან და აწი უნდა შემოგვფეთებოდა, დაუკუთხავად მეც თავზე თივის ზვინის გადაწვად გადმომეთავზარა: 1993 წლის 20 სექტემბერს, როდესაც მომხდურებმა იაშთხვა აიღეს, პირველად ჩემი სახლკარი გადაწვეს. სახლი, რომელიც წელისწყვეტით ავაშენე და რომლის თითეულ აგურს თოთო ბავშვივით ვიყავი მონაფერები. ის კი არადა, ყოველ მათგანს სიმწრის ოფლში ამოვლებით ვამუხლმაგრებდი კედლად, ახლა კი, – ჭყვადად გასაგნებულ ამ წუთში, ჩემი ოდაბადის ქუდზეკაცობასთან ზურგით არ მდგარი, თავის ღირსებაში საძირკველაუკანკალებლად, დიდი ფშავლისა არ იყოს, **„ძაღლ იყოს თქვენი მკვდრისადა“**-დ იწვოდა.

ასე მგონია და, ეტყობა, ასეცაა, მან – ჩემი საადამიანო ავკარგის სადაურობად დასაწყობებამ, ჩემს ნაცვლად მიუშვირა მტრის ტყვიას **„საკირის ცეცხლ ჩანთებული“** მკერდი (ისევ უმწვერვალესს ვესესხე).

მეოთხედი საუკუნე გავიდა მას შემდეგ. ადამიანთა არაერთი პირუმტკიცობა, ღალატი, ვერაგობა, ჩასაფრება, ციდაკაცობა და ა. შ. ამეგასწვრივა ჩემი ცხოვრების სვლაგეზზე.

დავმარხე ჩემთვის ძვირფასი ადამიანები. სასახლიკაცო სიიდან ამოვშალე ათობით მოვერაგე... საოხვამური ტაბაკიდან გავრიცხე ძალიან ბევრი ორპირი.

საშუალება მომეცა, საფუძვლიანად ჩამეხედა ქვეყნის ვერ მოპატრონე ხელისუფლების თაღლითობებში. დავრწმუნდი, რომ ბოროტმოქმედება ე. წ. სახელმწიფოს სადღეისო ყოველდღიურობაა.

სოხუმიდან ჩემმა ყოფილმა მოსწავლემ დირმიტ აბრევანიძემ (აფსუამ) გამომიგზავნა ვიდეომასალა, რომელზედაც აღბეჭდილია ჩემი ნასახლარი: ნაოფლარ საკარ-მიდამოში უსაფლავო ჩონჩხივით ყრია დამწვარი სახლის ნარჩენები. შემოსავლიან ბაღად გადაქცეულა აი, ამ მარჯვენით გამოყვანილი ნამყენები, რომელთაც ჰამპარ სტამბოლიანის ბაცაცა შვილიშვილები კრეფდნენ.

ნანახმა ვერ ამაფორიაქა სიკვდილს შიგ სიფათში ჩანახედი, დასახვრეტად განაყვანი კაცი. გულქვად ვიდექი და იმ უარეს ჭყვადაზე ვფიქრობდი, აწი რომ გველოდა.

ასეთ მილევად მდგომარეობაში თავს მოხვეულ განმარტოებას, უფრო სწორად – მარტოკაცობას ვუდღისწესრიგებ საველე წესით სულის ჩასანგრებას ჩემს ქანცგამოცლილ, მაგრამ ყავლგასვლისკენ ვერ გადათრეულ სხეულში: ამასობაში ირგვლივ ჭაობური დემოკრატიის ჭუჭყში ახალ ერად მკვიდრდება სიმრავლე, რომელსაც სულიერი სისუფთავე არ გააჩნია. უვინაობაში თავდადგენა თავისუფლება ჰგონია მას. ვცდილობ, მაგრამ არ მესმის მისი დედაენა.

ამ ფეხაწყობის სულისკვეთება და ღირებულებათა შინაარსი პირწმინდად მომხმარებლური, მეტიც, აღებ-მიცემობითი და უფლისწვდომისადმი მიმდგომლურიც კი გახდა. სწორედ ამიტომ, ასეთი სიმრავლე არ ცდილობს სულის მადღესასწაულებელ ვინაობაში გაყოველდღიურებას, მისი უნჯი ლაფსა და სალაფავში ნებივრობაა.

ჩემი მსჯელობით ვასკვნი, რომ ამ არტელში მთელი კაცობრიული მანკი ქართულ ხასიათად (ნუ, საქართველოა!) უნდა გამოცხადდეს.

ცხადია, ქვეყანამ დაკარგა შინაარსი და ეპოტინება უარავინო ფორმას.

ის, რომ მსოფლიოს თვალწინ **„ᲮᲝᲨᲘ ᲛᲐᲥᲕᲡ ᲓᲐ ᲕᲐᲙᲔᲗᲔᲑᲝᲜᲡ“** წესით ყოველდღიურად ქვეყნის სიღრმისაკენ მოცოცავს დამპყრობთაგან აღმართული სასაზღვრო მავთულხლართები, ამავე დროს ქართული მიწებიდან, დღე ერთია და, ათობით თანამოძმეს – გუთნისდედას, მეჯოგეს, საფლავზე მოჭირისუფლე დედაბერსა და ხეიბარს, ჯონჯოლის საკრეფად ტყეში გასულ მოშიებულს **„ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲡ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲘᲡ“** ბრალდებით აპატიმრებენ, აუპატიურებენ, აწამებენ... სულაც ერთ ადგილზე ჰკიდია ყურდახშობილ ზეპურობას.

გასაგებია, ნამესტნიკ **„ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ“** ეს არ აღელვებს, მაგრამ არც საზოგადოებას ულახავს ის ღირსებას და არ მიიჩნევს სულში ჩაფურთხებად ამ დამცირებას. იგი, დანაშაულებრივ უნიათობაში მოყოველდღიურე, ქართველი ერისთვის ისეთივე მოვლენა გახდა, როგორც ქუსლის მოფხანა: ამ დროს ქვეყანა იმის წივილ-კივილშია, როგორმე **„ᲪᲮᲠᲐ ᲫᲛᲐ ᲮᲔᲠᲮᲔᲣᲚᲘᲫᲔᲝᲑᲐᲡ“** გაუიგივდეს ნარკოტიკის მოხმარება, ხოლო ერთნაირსქესიანთა ქორწინების სათნოების ნიმუშად დაკანონება, ლამის ისეთივე ყოფნა-არყოფნად იქცეს, დიდგორის **„ᲫᲚᲔᲕᲐᲘ ᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡ“** წინმსწრებად რომ აქუდზეკაცებდა სრულიად საქართველოს.

თაობა არ ისიგრძეგანებს, რომ ქართული ცნობიერების მოსაშლელად **„ᲭᲐᲝᲑᲣᲠ“** დემოკრატიას სჭირდება იმ გარემოს განადგურება, რომელშიც წარმოიშობა და იბადება ღვთივსათნო ვინაობა ანუ ღვთისმშობლის წილხვედრილობა. ქართველი კაცი ინტელექტით, ქრისტესმხედრობითა და გიორგიანელობით იმარჯვებდა, ამიტომ ვერ ვეტყვი საზოგადოებას, რომ მასში არ არის ის, რაც მე მძულს და რასთანაც არ დავზავდები.

ᲓᲐᲖᲝᲠ

ასეა, ვერ გავემშობლიურე ამ სიმრავლეს. მერე რა, რომ ქართული საზოგადოება ჰქვია, რომელსაც წიხლამორტყმული საჯდომით შეუძლია, სარეცელში გულისსწორს ამოუწვეს.

მე ღირსების კარნახმა და სირცხვილის ამბოხმა ამაღებინა იარაღი ჩვენს სამამულო ომში, თორემ...

...და რადგანაც სირცხვილი, როგორც ზნეობის სალესი, ყავლგასულ შინაარსად გადააქცია თაობამ, ამიტომ, კიდევ ერთხელ გეუბნებით, სწორედ ეს გახლავთ მიზეზი, ჩვენ სხვადასხვა ენაზე რომ ავლაპარაკდით, – საქართველო ჩემთვის სამშობლოდ, ანუ შეუგინებლობად დარჩა, მათთვის თვითდასამკვიდრებელ პოლიგონად იქცა.

დასახლებაში, სადაც დევნილობის მერე დავმკვიდრდი მეტრომშენის საერთო საცხოვრებლის კენტ ოთახში, აქედან ასიოდ მეტრში ერთი ოცწლოვანი თვითნებური სანაგვე იყო, სიბინძურისა და ქვეწარმავლების ბუდე.

ოდესღაც აქ რაღაც სახელოსნო ყოფილა.

პირველხანებში დევნილებს შეეძლოთ ასეთი მიტოვებული ადგილების გამოყენება.

უნდა დაიჯეროთ, შვიდასი ურიკა ნაგავი და ქვა-ღორღი გავზიდე აქედან, ამდენივე გზობა მიწა მოვიტანე ხვევიდან.

დავრგე ხილი, ვაზი, მოვიყვანე მწვანილი, კიტრი, პომიდორი, ბადრიჯანი...

სამ-ოთხ წელიწადში ხილმაც და ვაზმაც თავშესაქცევი მოსავალი მომცა.

ყოფილი სახელოსნოც ნელ-ნელა გავასუფთავე, რაღაცეები შევაკეთე, ახლად გამდიდრებულთა დაწუნებული და მათი ბინიდან გამოძევებული საწოლი, ტახტი, სკამები და ა. შ. ვიჩუქე და მათი თანხმობით შევიტანე, მაგიდა დავდგი, შუქი გავიყვანე, კარები ჩავსვი, ფარდულად დავიდგინე, კლიტე დავადე, ბაღი შემოვღობე.

ერთხელ, ნაკვეთში გასულმა შევნიშნე, რომ საერთო კვალიდან განზე ამოსულ ლობიოს სარი არ ჰქონდა და წვალობდა, მოხდა ისე, რომ ეს საქმე მიმრჩა. სამი თუ ოთხი დღე არ შემივლია იქ.

როდესაც სარის მიყავარჯნება მოვინდომე, დაუჯერებელი რამ ვნახე, – ცოტა მოშორებით აშხვართულ სიმინდს ისე გამოეწვდინა ფოთოლი, ლობიოს ისღა დარჩენოდა, დანდობილად ახვეოდა მას.

ახლა თქვენ დამისახელეთ ამ გენმოდიფიცირებული სულის თაობაში უფრო უკეთესი კეთილმეზობლობა ან სახლიკაცობა!..

ერთ დღეს, აწ უკვე ჩემს ბაღში, ანუ ყოფილ ნაგავსაყრელში, უბნის რომელიღაც კორპუსიდან, ადრინდელი საძრახი ჩვეულებისამებრ, ვიღაც უსინდისოს ნაგვის ფუთა მოესროლა, რომელიც ბლის ტოტს გამოსდებოდა.

მასში ერთი გამეტებული კნუტი, ეტყობა მთელი ღამის განმავლობაში ნაწვალები, ძალაგამოცლილი კნაოდა.

ფუთა ფრთხილად ჩამოვხსენი, კნუტი ამოვიყვანე, ძუ იყო. ფარდულში შევიყვანე და საძილე ყუთი გავუწყვე. შიგ ჩავსვი. კნავილს სუსტად, მაგრამ დაჟინებით განაგრძობდა, სიცოცხლეს ეკლანჭებოდა, საააქოს ემარწუხებოდა.

რძეზე გავიქეცი. საწოვარაც გამოვიყოლე, მერე ავუდუღე, გავუნელთბილე და ვაჭამე. ორივე თათით ჩამებღაუჭა, მომემშობლიურა, თითქოსდა გამისისხლითნათესავდა, მეტიც, შემომისახლიკაცდა და საბინადრო თანხმობის ნიშნად კრუტუნი დაიწყო.

ასე გავიჩინე საქმეც, ყოველდღიური მიზანიცა და, ღმერთო, ნუ მიკანონებ, ხმის გამცემიც, რადგან განსხვავებით ყურდახშობილი საზოგადოებისაგან, მკაფიოდ გვესმოდა ჩვენ ჩვენი ავანჩავანი.

ერთბაშად აღმოვაჩინე: ჩემს ირგვლივ ყველასთან და ყველაფერში შემოქსოვილი სახაზინო ურთიერთობა, რომელიც მთელი ეს წლები გადავლის წესით მომეარტახა, საშეღავათოდ გასიფრიფანდა თითქოს, ამავე დროს ვიგრძენი ისიც, რომ გენმოდიფიცირებული საზოგადოების გასწვრივ ამეთანამგზავრა და შემომისახლიკაცდა ბუნებრივი, არაფაბრიცირებული შინაარსი (მერე რა, რომ ის ორფეხი არ გახლდათ). იგი თავისი ჯიშისმიერებიდან ჩაუსაფრებელი კეთილმეზობლობით მიჭერქვეშდებოდა.

ღაზო დავარქვი (მოქიშპეების მიმართ მისი სამუქარო ხორხისმიერების წაბაძვით). ამ ოთხ ბგერაში უზარმაზარი მოფერება ჩამექვითკირა: ის გახდა ჩემი საუბრების თანამორაგადე, ტკივილების თანაზიარი, ჩემი ობლობისა და მარტოკაცობის მეიავნანე, ფიქრების ამძრავი ღვედი, სიკეთისკენ წამქეზებელი, ნადი შრომაში, წამგაუცდენელი მედღეური ჩემი სულიერი უსაფრთხოების, დარაჯი ხელშეუხებლობის, სურვილი მიწაზე განაბიჯების, მეხსიერება ჩემი ვინაობა-რაობის გასასიგრძეგანებლად...

არადა, მაინც რა ხვედრი ერგო ჩემი პაპისპაპის ლასკარს: სულ ცოტა, ორი საუკუნის დევნილობამ წინაპრების საფლავებით გამინიშანსვეტა დადრაჩემის გამნარეყოთ განგებისმიერ აქარავნებებში საკომლო დასადგურებათა წამზომ მიხრახნილი საბინადრო ყოვნი, რასაც მოჰყვა ჭირისუფალდანატრებული საფლავები ტრაბზონში, სოხუმში, სირ-დარიაში, ტაშკენტში, ჯამბულში, ათენში, სანკტ-პეტერბურგში, თბილისში...

ამაზე ფიქრის დროს, ერთადერთი, ვინც ჩემს უხმო მოთქმას ყურდაუხშობილად უჩონგურებდა თავის შემოჰანგებას, ღაზო იყო, ჩემი ლამაზი და ჭკვიანი ღაზო!..

თებერვლის პირველ დღეებში დამაკდა და სადღაც აპრილის ათისკენ ხუთი კნუტი მოუვლინა ამ ცოდვილ ცისქვეშეთს.

...იმ დღეს, დილიდანვე ბაღში დავსაქმდი. ღაზომ კნუტები დააძღო და ჩემთან მოვიდა, ხელში ავიყვანე, მოფერება უნდოდა. თოხი ხეს მივაყუდე, ავიყვანე და მკერდში ჩავიკარი.

დიდხანს მეკრუტუნა, მეცეკვა, ლოყაზე მისვამდა თავს. შიგა და შიგ ვიღაცას თუ რაღაცას წედან ნახსენებ მუქარასაც უმისამართებდა, როგორც განმარტებას თავისი მიწიერობის შინერსზე ანუ ღვთივნებადართულობაზე.

ამასობაში ნაშუადღევისკენ ჩავაკრიალოსნეთ დრო. ეტყობა ეშმაკი შემიჩნდა და ხელგამოღება მოვინდომე, ღაზო ღობის ბოლოს დავსვი და თოხნა განვაგრძე.

ასე, ერთ საათში, კარგა მანძილიდან, რაღაც ჩოჩქოლსა და ძაღლების გნიასს მოვკარი ყური, მაგრამ ყურადღება არ მიმიქცევია.

ოციოდ წუთში დავინახე, რამოდენიმე ბავშვი ჩემსკენ მორბოდა, ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ. ერთ-ერთ მათგანს კატის საყელური ეჭირა, რომელიც, რატომღაც ისეთივე იყო, ღაზოს რომ ეკეთა, მაგრამ გამიჭირდა მიზეზ-შედეგში გარკვევა.

იმწამსვე ცივი ოფლით დამისველდა ტანი. მივხვდი, რომ რაღაც ცუდი მომხდარიყო, რომელიც მე მეხებოდა. ერთბაშად უსიერ არაფერში აღმოვჩნდი, რომელსაც სახელს ვერ ვარქმევ, სიცხადეს ვერ ვხედავდი, არ მესმოდა, ხმას ვერ ვიღებდი, საკუთარ სხეულს ვერ ვგრძნობდი, ლამის ჰაერში ამაბუმბულებდა რაღაც.

– ძია, ეს საყელური თქვენი კატისაა, – გავარკვიე როგორღაც ბავშვის ნათქვამი.

– კი, ეგ ჩემი კატისაა, მაგრამ კატა სადაა?

– კატა მოკვდა. ძაღლებმა დაგლიჯეს, სამი დიდი ძაღლი იყო, ვერაფრით გაგაგდებინეთ. მოკვდა. ნაგავში გადავაგდეთ.

უწონადობა ვიგრძენი ისევ: ეს იყო თავზარიც, დაობლებაც, შემაძრწუნებელი გაუკაცრიელებაც, სულის ჩაწალდვაც, გულის ჩამოსხეპაც, ყველაფერს ერთად კი უმწეობა ერქვა, ვერაფერს ვცვლიდი.

უცებ, რაღაც ხავსისმაგვარ იმედს ჩავეგდაუჭე, – კატაა, ასე ადვილად არ მოკვდება, – გამიელვა თავში და გავიქეცი სანაგვე ორთვალისკენ.

ბავშვები უკან მომდევდნენ, ცელოფნის პარკზე მიმითითეს.

ხელის ცახცახით ამოვიღე, სასწაულის მოლოდინში გავხსენი და ჩავიხედე.

ღაზო, სისხლში ამოსვრილი, მაგრამ ჯერ კიდევ თბილი, თვალღია იყო... იმ მკერდში ჩავიკარი, მთელი დღე რომ ემშობლიურებოდა.

ბაღისკენ წამოვედი. არ ვიცი, ეზოში მყოფთა თვალში რანაირად გამოვიყურებოდი, მაგრამ ჩანს, უსაზღვროდ საცოდავი ვიყავი, რადგან, მართალია, მურუჟად კი ვიხსენებ, მაგრამ რასაც შეძლებისდაგვარად ვიმკაფიოებ, იმ გამოხედვებში ვერ ვლანდავ, ვინმეს დამცინავად ეკადრებინოს თვალის გამოყოლება.

ღაზო ნელა დავიწვინე ტახტზე, თავის კნუტების საბუნაგედ მიჩენილი ყუთის გვერდით.

თვალები ისევ ღია ჰქონდა. მზერა ჩაუმქრალი მომეჩვენა. იმედი მომეცა, მით უფრო, რომ ძუძუების მიდამო თბილი, ფუმფულა და ვარდისფერი იყო ჯერ.

რაღაც აუხსნელი გაგებინების საშუალებით მანიშნა, ვერ გეტყვით რანაირად, მაგრამ მანიშნა მეთქი... კნუტების მისმა მთხოვა.

ხუთივე მივუსვი. წამში დაინაწილეს სათავიანთო ძუძუები.

იმედით სავსე უბედნიერესი კაცი ვიყავი: მზერა არ მომიშორებია მისი თვალებისთვის. წამში მიწაზე ვერდატეული ნეტარებით გამიყარა თვალი თვალში. ამას საიავნანო კრუტუნი მოაყოლა. სიხარულისგან მეცხრე ცაზე ავფრინდი.

ერთი ამოიკრუტუნა, მეორე, მესამე და მეოთხეზე სისხლთან ერთად ამოახველა ნაწამები სული.

ვიბღავლე, მაგრამ ვაღიარებ, ეს არ გახლდათ მარტო ღაზოს შეცხადება, – დავსტიროდი ჩემს მარტოკაცობას, ოდაბადის გასხვისებას, ძვირფას საფლავებს, ღირებულებათა განაგვებას, ჩემი ერის მილევადობას და თაობის წვრთნაშეუსმენლობას.

შუაღამემდე ვიჯექი ტახტზე, ღაზო მკერდში მყავდა ჩაკრული. ნელა, ზარმაცად ეხუჭებოდა თვალები და იმავდროულად შეუბრალებელი თანმიმდევრობით უშეშდებოდა ლამაზი სხეული. მაძღარ კნუტებს ეძინათ, ხვალ მიწიერი სისასტიკე უთენდებოდათ.

რაღაც დროს გავიხადე პერანგი, სათუთად გავახვიე მასში ღაზო და იქ გავუთხარე სამარხი, სადაც უკანასკნელად დავსვი უხანო მიწაზე.

ᲡᲔᲠᲒᲘ ᲡᲐᲯᲐᲘᲐ

სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს” ზუგდიდის ორგანიზაცია თანაუგრძნობს ნანა, ამირან და ზაზა ქარდავებს დედის
ᲗᲘᲜᲐ ᲑᲔᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ გარდაცვალების გამო...
უფალმა ნათელში ამყოფოს ქალბატონ თინას სული...

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

წოპემ ჩემი ყელი რომ ნახა, გაოცდა, ასეთი მდგომარეობით როგორ იჭიდავეო

დღევანდელ ტრადიციულ საკვირაო მოგონებებში ერთ ცნობილ ქართველ ფალავანს გურამ საღარაძეს და მის სპორტულ კარიერას გავიხსენებთ.

მსოფლიო პირველობების ორგზის გამარჯვებული და ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალოსანი იმ დროს მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს მოჭიდავედ ითვლებოდა. მართალია ოლიმპიურ ჩემპიონობას ვერ შესწვდა, მაგრამ ამ მიზანს მოგვიანებით მაინც მიაღწია. რაც თავის დროზე გურამ საღარაძემ ვერ მოახერხა, მისმა გაწვრთნილმა დავით გობეჯიშვილმა შეძლო და ოლიმპიურ ოქროს დაეუფლა. ბატონი გურამ საღარაძე დღეს ჩვენი სტუმარია.

სკოლის დასრულებისთანავე ჩავაბარე პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და რამდენიმე დღეში საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში უკრაინაში, ოდესაში წავედი ჩემს პირველ **„დიდ"** შეჯიბრებაზე. გუნდში ძლიერმა მოჭიდავეებმა მოვიყარეთ თავი: ვლადიმერ რუბაშვილი, ჯუმბერ დავლიანიძე, ნუგზარ გოგიბედაშვილი, ლერი ძაგანია, ზაურ ძიძიკაშვილი, ქართლოს გილაური.

ჩვენი კლუბი ყოფილი ორჯონიკიძის ქუჩაზე მდებარეობდა, გაუქმებულ ეკლესიაში, **„პეტრეს დარბაზი"** კი ცნობილი მწვრთნელის პეტრე იორდანიშვილის საატივცემულოდ ეწოდა. ახალგაზრდები აღტაცებით შევცქეროდით აღიარებულ ფალავნებს: დავით ციმაკურიძეს, მირიან ცალქალამანიძეს, ვახტანგ ბალავაძეს, გიორგი სხირტლაძეს... იქვე ვარჯიშობდნენ **„კლასიკოსებიც"**: გივი კარტოზია, ავთანდილ ქორიძე, როსტომ აბაშიძე, რომან ძნელაძე...

1958 წელს, 19 წლისა, საკავშირო ნაკრების კანდიდატთა შორის მოვხვდი, 60-იან წლებში კი გუნდის მუდმივი წევრი ვიყავი. მე, რუბაშვილმა, ბერიაშვილმა და შოთა ლომიძემ საკავშირო ნაკრებში უმტკივნეულოდ შევცვალეთ სახელოვანი ქართველი ფალავნები.

იმ დროს სსრკ ნაკრების მთავარი მწვრთნელი ალექსანდრე დიაკინი იყო, ძალიან კარგი ადამიანი და თავის საქმის პროფესიონალი. დიაკინი ქართველებისადმი ყოველთვის კარგად იყო განწყობილი. რუსეთში ზურგსუკან **„კავკაზკი პლენნიკს"** ეძახდნენ.

მე ვახტანგ ბალავაძის წონაში ვჭიდაობდი. ბატონ ვახტანგს **„ჭიდაობის პროფესორს"** ეძახდნენ და ახლა თავად მიხვდით, რას ნიშნავდა ჩემთვის მის წონაში გამოსვლა. ბალავაძე რომ წავიდა, ამ წონაში უძლიერესებად მიხეილ ბეკმურზოვი და გარსევან ნებიერიძე ითვლებოდნენ. ეს უკანასკნელი კიევის სახელით ასპარეზობდა.

1963 წელს თბილისში, ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად ირანის ნაკრებიც ჩამოვიდა. ჩემს წონაში ირანელებს სახელგანთქმული იმამალი ჰაბიბი ჰყავდათ, იმ დროისთვის მელბურნის ოლიმპიური თამაშების და მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი. ძალიან ძლიერი ფალავანი იყო... პაექრობის წინ სიცხე მქონდა – გლანდები მაწუხებდა, თუმცა მაინც გავედი ხალიჩაზე და ძალიან დაძაბულ ბრძოლაში ვაჯობე. მეორე დღეს **„წოპეს"** კლინიკაში ამოვყავი თავი – გლანდები ამომაჭრეს. **„წოპემ"** ჩემი ყელი რომ ნახა, გაოცდა, ასეთი მდგომარეობით როგორ იჭიდავეო.

ტოკიოს ოლიმპიური თამაშებისთვის ვემზადებოდი. ოლიმპიადაზე მსოფლიოს ჩემპიონის სტატუსით ჩავედი – 1963 წელს მოვიგე ტიტული და იაპონიაშიც ოქროს მედლის მთავარ ფავორიტად ვითვლებოდი. ჩემს გარდა ჩემპიონობის კანდიდატებად თურქ ისმაილ ოგანს და ირანელ მოჰამედ სანათქარანს განიხილავდნენ. სამივე დამაჯერებლად მივიწევდით წინ, გადამწყვეტი ორთაბრძოლა კი ოგანთან გადამხდა – ჩვენი ჭიდაობა ფრედ დასრულდა და რადგან მეტოქეზე 700 გრამით მძიმე აღმოვჩნდი, ოქროს მედალი მას გადაეცა. ოგანი ჩემს წინააღმდეგ სულ გაქონილი გამოვიდა – ჩავლებას ვერ ვახერხებდი, თან ორთაბრძოლას გაურბოდა. იმ დროს გაფრთხილებები რომ ყოფილიყო, მოგებას მე მომაკუთვნებდნენ, მაგრამ... ძალიან გულგატეხილი ვიყავი, ვერ წარმოიდგენთ ისე დამწყდა გული.

ოგანთან შეხვედრამდე ფილიპინელი ჯობ მაიო, ავღანელი შაქარ ხან შაქარი, კანადელი ფილიპ ობერლენდერი და ინდოელი მადხო სინგხი დავამარცხე, მოჰამედ სანათქარანთან კი მსაჯებმა ფრე დააფიქსირეს. სხვათა შორის, სინგხი ბეჭებზე დავდე. ბალავაძე მიყვიროდა, შებოჭე, არ გაუშვაო, მაგრამ მთავარმა მსაჯმა მანიშნა და მეც შევეშვი. წამოვდექი და რას ვხედავ: გვერდითი მსაჯი სუფთა გდებას არ მითვლის! სინგხთან წმინდა მოგება რომ ჩამეწერა, ოგანთან ფრეს მიუხედავად, ჩემპიონი გავხდებოდი.

ტიტულებთან ერთად პოპულარულიც ვხდებოდი. იმის გამო, რომ ხშირად მიწევდა საწვრთნელი შეკრება, ინსტიტუტში ბევრი ლექცია მიცდებოდა, თუმცა საკუთარ თავს არ ვაძლევდი შედავათის მოთხოვნის უფლებას. შეჯიბრებებიდან დაბრუნებული წიგნებს ჩავუჯდებოდი და გაცდენილის ანაზღაურებას ვცდილობდი. სპორტსმენის კარიერა რომ დავასრულე, რამდენიმე წელი ჩემი სპეციალობით ვმუშაობდი: ჯერ ვარკეთილის ღვინის ქარხანაში, შემდეგ კი საკონდიტრო ფაბრიკა **„მზიურში"**.

1979-1980 წლებში საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი გახლდით. ახალგაზრდებს შორის ქვეყნის ჩემპიონატს ყვარელმა უმასპინძლა და სწორედ იქ აღმოვაჩინე დავით გობეჯიშვილი – დათო ქუთაისის სამშენებლო ტექნიკუმის სახელით გამოდიოდა. იქ მას შესანიშნავი მწვრთნელები ჰყავდა – მურად დოხტურიშვილი, მანამდე კი შურა მაისურაძე. ჩემი მოთხოვნით დათო თბილისში გადმოვიდა და როგორი სპორტსმენიც დადგა, კარგად იცით. მიუხედავად იმისა, რომ მოგვიანებით მან ოლიმპიადა და მსოფლიო ჩემპიონატები მოიგო, ვთვლი, რომ საერთაშორისო ასპარეზზე მეტის მიღწევა შეეძლო. ისე, ძალიან ძლიერი კონკურენტები კი ჰყავდა ასლან ხადარცევის და ამერიკელი ბრიუს ბაუმგარტნერის სახით.

ბევრი მეგობარი მყავს. ვცდილობ მეგობრები კარგი ადამიანებიდან ამოვარჩიო. მეგობრის არჩევისას ჩემთვის ყველაზე მთავარი ადამიანურობაა – ცხოვრებაშიც და ურთიერთობაშიც. არ შემიძლია ვიღაცას პატივი ვცე თანამდებობის გამო, მით უმეტეს, თუ პიროვნება უზნეოა.

თბილისი ძალიან მიყვარს! ეს ქალაქი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ძალიან ჩემია. თბილისის გარეშე ცხოვრება არ შემიძლია – აქ ხომ ყოველი კუთხე-კუნჭული ასე ნაცნობია. და კიდევ: თბილისში რომ ურთიერთობებია, მსგავსი არსად მინახავს და მიგრძვნია.

საერთაშორისო შეჯიბრებებზე ყოველთვის საყვარელიძეების ოჯახიდან მაცილებდნენ. არ შემიძლია ტაბილად არ მოვიგონო ჩემი მეგობარი ივიკო საყვარელიძე, მამამისი – ბატონი დავითი, მისი დები... მათთან შეხვედრა, მათი დალოცვა და კეთილი სურვილები ჩემთვის უდიდესი სტიმული იყო.

ვამაყობ იმით, რომ ქართველი ვარ. მიყვარს ყველაფერი ის, რითაც ლამაზია საქართველო. რა თქმა უნდა, ქეიფიც მიყვარს, სიმღერაც, თამადობაც, მაგრამ სამშობლოს სიყვარული ჭიქის აწევით და ლამაზი საუბრით კი არა, საქმით მტკიცდება. მეც სწორედ ამას ვცდილობ – ჩემი პატარ-პატარა საქმეებით სიკეთე მოვუტანო სამშობლოს.

ვისურვებდი, რომ ქართველები, პირველ რიგში მაღალზნეობრივნი იყვნენ, ეროვნული ტრადიციების ერთგულნი. რა თქმა უნდა, სიახლეც უნდა შეითვისონ, მაგრამ ფესვებს არ უნდა მოსწყდნენ. საერთოდ, ასე მგონია, რომ ფართოდ უნდა გავუღოთ კარი იმ პროგრესს, რომელიც ჩვენი ცხოვრების წესს ამშვენიერებს და უკეთესობისკენ ცვლის".

სანტიაგო გაუჩო

სპეციალური განცხადება

როგორც ცნობილი გახდა, "ილორს" შეექმნა ფინანსური პრობლემები, რამაც გამოიწვია მისი გამოცემის პერიოდულობის გაზრდა. როგორც თქვენთვის კარგად არის ცნობილი, გაზეთი არ ტოვებს ყურადღების გარეშე არც-ერთ საჭირბოროტო საკითხს, ის მუდამ ქვეყანაში მიმდინარე სოციალური-პოლიტიკური მოვლენების ეპიცენტრში იმყოფება! მან დაიმსახურა მკითხველი საზოგადოების პატივისცემა და დიდი სიყვარული! ამიტომ მოგმართავთ თხოვნით და შემომაქვს წინადადება, რათა, ჩვენ მკითხველი საზოგადოება დავუდგეთ გაზეთს გვერდში და ვისაც რის საშუალება გვექნება, გავუწიოთ ფინანსური დახმარება!

მსურველებისათვის ასევე განვათავსებთ რეკლამებს შედავათიან ფასებში,

ამისათვის გთავაზობთ საბანკო ანგარიშს, რომელზეც შესაძლებელი იქნება, ნებისმიერი მსურველის მიერ, ნებისმიერი თანხის ჩარიცხვა! ნათქვამია: „კეთილი გულით მოძღვნილი მცირედიც შეიწირების". ასე, რომ ჯერი ჩვენზეა!

პატივისცემით,

ანზორი დანელია

ტელ. 571 22 66 34

საბანკო ანგარიში:

ს.ს „ლიბერთი ბანკი"

ანგარიშის ნომერი: GE79LB0711188020717000

ანგარიშის ვალუტაში: GEL / USD / EUR – მულტი სავალუტო ანგარიში

მფო: 220101480

მიმღები ბანკის დასახელება და მისამართი: ს.ს. „ლიბერთი ბანკი"

ი. ჭავჭავაძის გამზირი 74

თბილისი, 0162, საქართველო

მიმღები ბანკის swift კოდი: LBRTGE22

ანგარიშის მფლობელი (მიმღები): ანზორი დანელია

იმ შემთხვევაში, თუ ჩვენს ჩანაფიქრს უწერია განხორციელება და მგონი კეთილი ხალხის ნაკლებობას საქართველო არ განიცდის, მინდა წინასწარ განვაცხადო: ჩვენი საქველმოქმედო აქციის დაწყებიდან, ყოველი სამი თვის გასვლის შემდეგ, გაზეთის ფურცლებზე, თანხის შემომწირველთა თანხმობის შემთხვევაში, ჩემს მიერ იქნება წარმოდგენილი სრული ინფორმაცია თანხის შემომწირველებისა და შემოწირული თანხის ოდენობის შესახებ!

ზუგდიდელმა მოცეკვავეებმა ისრაელში ათი ოქროს, ოთხი ვერცხლის და ორი ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს

ქალაქ ზუგდიდის მერიის „მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის" სამეჯლისო-სპორტული ცეკვების ანსამბლ „ეზის" მოცეკვავეებმა 10 ოქროს, 4 ვერცხლის, 2 კი ბრინჯაოს სინჯის მედლები მოიპოვეს.

კონკურს-ფესტივალი ისრაელის ქალაქ რეჰოვოტში გაიმართა მასპინძელი მხარის მოწვევით.

სასახლის ხელმძღვანელმა ნინელი ჭითანავამ „ლაივპრესს" უთხრა, რომ შეჯიბრი სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიასა და ნომინაციაში შედგა.

„ძალიან კმაყოფილები დარჩნენ ჩვენი მოწვევით. სასცენო ჩაცმულობა მოეწონათ, ბავშვები თავისთავად. კონკურსი ერთი დღე გაგრძელდა", – გვითხრა ნინელი ჭითანავამ.

ცეკვების ანსამბლ „ეზის" მოზარდ მოცეკვავეებს ქორეოგრაფები გოჩა კაპანაძე და მაია შამათავა წვრთნიან.

იუმორი

ავადმყოფს, რომელიც სასწრაფო დახმარების მანქანამ მიიყვანა საავადმყოფოში, კისერზე ჰკიდია დაფა წარწერით:

"ექიმო, ეს ეპილეფსიაა და არა აპენდიციტი. აპენდიციტი უკვე სამჯერ ამომაჭრეს".

* * *

ცოლი: – საყვარელო, ატყობ, რომ კიტრის ნიღაბი ძალიან უხდება ჩემს სახეს?

– კი, შევამჩნიე, მაგრამ ვერ გავიგე, რატომ არ იხსნი?

* * *

– ოფიციანტ, ეს ყავაა თუ ჩაი?
– გემოთი ვერ ხვდებით?
– ვერა.
– მაშინ, რა მნიშვნელობა აქვს?

* * *

ბოლო დროს ძალიან შეუყვარდა მიხოს სიდედრი, ყვავილები მიჰქონდა, ღობეს უღებავდა...

* * *

თუ თქვენს დანახვაზე ყოველთვის იცინიან, ე.ი. ხალხისათვის სიხარულის მომტანი ხართ.

სასწაულმოქმედი პრეპარატები "დიმენტოლი" და "გაგენოლი" მუდამ იქნებიან თქვენი ჯანმრთელობის სამსახურში

დიმენტი გაგნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შვლის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

მკურნალის საქმეს წარმატებით აგრძელებენ მისი შვილები: ზეზვა და დოდო.

კოორდინატებია: თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – 10-დან 16 საათამდე.

ტელ: 593-22-66-51, 593-62-28-48

მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან

ISSN 1987-8966 "ილორი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930

234-32-95

მთავარი რედაქტორი: **როლანდ ჯალაღანია**

გაზეთის მენეჯერი: 599-34-37-27 ტექრედაქტორი 568-01-21-32

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე **WWW.saqinform.ge**